# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 1 მაისი, 2008 წელი.

№ 80 (5937)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


გაწვდილი ხელი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აფხაზ და ოს მოსახლეობას სამშვიდობო ინიციატივით მიმართა

ძირს მტრობა!

# ჩვენ ყველანი უკვე ძალიან დაგვღალა და გაგვასავათა მრავალწლიანმა ქიშპობამ...

ამდენი საუკუნე ვცხოვრობდით ერთად. ოსები საუკუნეების განმავლობაში იყვნენ საქართველოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. აფხაზეთიდან დაიწყო საქართველოს გაერთიანება რამდენჯერმე. ამდენი ტრადიციაა მეგობრობისა და ძმობის



2

◎ დღის თემა

## მშვიდობისმყოფელები თუ მკვლელები?




9

რუსეთი საქართველოს უპასუხებს

## ეჰ, კარგი იყო მშვიდი, ჩამტკბარი პრეზიდენტი...

5

6

## უკმაყოფილების კიდევ ერთი კერა



სოსო ცინცაძე:

## ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დასავლეთი რამდენად პრინციპული იქნება რუსეთთან დაპირისპირებაში თავისი ღირსების დასაცავად

3

## ღარიბს ართმევ, მდიდარს აძლევ...









8

აფთიაქია თუ მიკიტნის დუქანი?



14

ელდარ რიაზანოვი: გაწყვეტილი კავშირები უნდა აღვადგინოთ

# ძირს მტრობა!

**● ამდენი საუკუნე ვცხოვრობდით ერთად. ოსები საუკუნეების განმავლობაში იყვნენ საქართველოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. აფხაზეთიდან დაიწყო საქართველოს გაერთიანება რამდენჯერმე. ამდენი ტრადიციაა მეგობრობისა და ძმობის**



**◎ გაწვდილი ხელი**

## ჩვენ ყველანი უკვე ძალიან დაგვღალა და გაგვასავათა მრავალწლიანმა ქიშპობამ...

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აფხაზ და ოს მოსახლეობას სამშვიდობო ინიციატივით მიმართა**

ძვირფასო თანამემამულენო, ამ დღეების განმავლობაში მე თქვენ რამდენჯერმე მოგმართეთ. დღეს კი მინდა მივმართო ჩვენი საზოგადოების ეთნიკურად აფხაზ და ეთნიკურად ოს ნაწილს.

ჩვენო აფხაზო და ოსო ძმებო და დებო...

მე ვიცი, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ძალიან ბევრ მკვიდრს, ისევე, როგორც ბევრს მთელ საქართველოში, ჯერ ძალიან უჭირს. ბევრია უმუშევარი, ბევრს არა აქვს თუნდაც მცირედი შემოსავალი და უკიდურესად უძნელდება — იქონიოს საშუალება ოჯახის სარჩენად.

ფსოუდან წითელ ხიდამდე, და როკის გვირაბიდან სარფამდე ჩვენი ოჯახების ადამიანურ ცხოვრებას უკვე მრავალი წელია უპირისპირდება სიღარიბე და გაჭირვება.

აფხაზეთის 450-500 ათასი ამაყი მკვიდრი დევნილობაშია საკუთარ სამშობლოში... ვერ უბრუნდება თავის სახლ-კარს, თავის სოფელს, ახლობლებსა და ნათესავებს, თავის წინაპართა საფლავებს და ბევრ მეგობარს, ვისთან ერთადაც აიდგა ფეხი, გაიზარდა, სწავლობდა სკოლაში.

თუ დღეს ვინმეს საქართველოში სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევს სიღარიბე, ეს პირველ რიგში ჩვენი ლტოლვილები არიან, მაგრამ არანაკლებად უჭირთ საქართველოში იმ ოჯახებსაც, რომელნიც კონფლიქტმა ბარიკადების მეორე მხარეს დატოვა და დღეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ცხოვრობენ.

ჩემო ძმებო და დებო,

დაპირისპირება და გათიშულობა ჩვენი ოჯახების ღირსეული ცხოვრების საერთო მტერია.

არადა ჩვენ ყველანი ერთად გაცილებით უფრო მეტს ვიმსახურებთ. ჩვენ შეგვიძლია ერთად ვაშენოთ ჩვენი კეთილდღეობა. ჩვენ ყველანი უკვე ძალიან დაგვღალა და გაგვასავათა მრავალწლიანმა ქიშპობამ.

დარწმუნებული ვარ, რომ ყველას საქართველოში და პირველ რიგში თქვენ — ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს, გვინდა დღევანდელზე გაცილებით უკეთესი ცხოვრება. ჩვენ ერთად ვოცნებობთ იმაზე, რომ ჩვენ შვილებს ჰქონდეთ ცხოვრების ნორმალური პირობები, არა ისეთი როგორიც ახლა გვაქვს...

ჩვენ ერთად ვოცნებობთ იმაზე, რომ გვქონდეს სამუშაო ადგილები, სტაბილური შემოსავლები, მომავლის იმედი; მშვიდი და ადამიანური ცხოვრება.

რომ არ გვეშინოდეს ხვალინდელი დღის, ვცხოვრობდეთ ისე, რომ არ ილახებოდეს ჩვენი ღირსება.

ჩემი და ჩემი მთავრობის მთელი მუშაობა სწორედ ამ მიზანს ეძღვნება.

ჩვენი სამოქმედო გეგმაა არა ომი, არამედ ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; არა დაპირისპირება, არამედ ჩვენს მოხუცებზე და ბავშვებზე ზრუნვა, პენსიების ზრდა, უკეთესი სკოლების და საავადმყოფოების მშენებლობა; არა გათიშულობა, არამედ ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარება, ხალხის შემოსავლების ზრდა, წარმატებული ცხოვრებისათვის სათანადო შესაძლებლობების ყველასათვის გაჩენა;

დარწმუნებული ვარ, რომ ამ გეგმას ჩვენ ერთად ასმაგად წარმატებით შევასრულებთ. ჩვენი ურყევი კურსია არა ნგრევა მტრობით, არამედ შენება სიყვარულით.

მე ძალიან კარგად ვიცი, რა ხდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და ვიცი, თუ რა მძიმე მდგომარეობაში უწევთ თქვენს ოჯახებს ცხოვრება სეპარატისტული, მთლიანად კორუმპირებული და კრიმინალური რეჟიმების ბატონების ქვეშ. ასეთი ცხოვრება ნამდვილად არ იყო თქვენი არჩევანი, მაგრამ დღეს ერთი დიდი, თავზეხელაღებული აგრესიული ძალა აძლევს თავს უფლებას თქვენს მაგივრად მიიღოს გადაწყვეტილებები. თქვენს მაგივრად მოახდინოს არჩევანი და მუდმივად გვამყოფოს კონფლიქტისა და დაპირისპირების ისეთ რეჟიმში, რომელიც თავიდანვე თავს მოგვახვია და რომელმაც ბოლო 15 წელია ნგრევისა და უკუსვლის მეტი არაფერი მოგვიტანა.

ეს თავზეხელაღებული და უპასუხისმგებლო ძალა დღესაც ცდილობს, რომ ჩვენთვის საბოლოოდ დამანგრეველ და მისთვის სასარგებლო დაპირისპირებაში კიდევ ერთხელ ჩაგვითრიოს. ცდილობს, დაგვაჯეროს, რომ კეთილდღეობას ნგრევითა და მტრობით ავაშენებთ.

შეიძლება, რომელიმე ჩვენგანს წლების წინ მართლა სჯეროდა ამისა, მაგრამ დღეს ხომ ჩვენ უკვე კარგად ვიცით, რომ ეს სრული სიცრუეა... ჩვენ ხომ უკვე 15-წლიანი გამოცდილებით ვიცით, რომ შეუძლებელია, რომ მტრობითა და ნგრევით მოტანილ უბედურებაზე ბედნიერება აშენდეს.

მთელი ცივილიზებული სამყარო დღეს ღიად და ხმამაღლა აცხადებს, რომ საქართველოს დაქუცმაცების და მისი ცალკ-ცალკე რეგიონებად განვითარების პროექტი ვერასოდეს განხორციელდება. ბოლო საათებში მე ვისაუბრე რამდენიმე ცნობილ წამყვან პოლიტიკოსთან — ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს, რომ მსოფლიო არასოდეს ცნობს სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს და საქართველოს ძალით, ხალხის ნების წინააღმდეგ, თავსმოხვეული კონფლიქტებით დაშლას. თუ ეს არ მოგვარდა, ჩვენი შვილები ვერასოდეს მიიღებენ სრულფასოვანი განვითარების საშუალებას და მუდმივად ომის, მტრობისა და შიშის აჩრდილთან ერთად იცხოვრებენ.

ჩვენ ეს არ უნდა დავუშვათ. ერთად უნდა დავდგეთ და ვთქვათ, რომ ჩვენ არა ვართ ერთმანეთის მტრები, რომ ჩვენ ერთი საერთო მტერი გვყავს და ეს არის თავად მტრობა. მტრობა, რომელიც ჩვენი ფესვებიდან არ მოდის, თავს მოგვახვიეს და ჩვენ არასოდეს აგვირჩევია.

ამიტომ საერთო მიზნების მისაღწევად, რომელიც უპირველეს ყოვლისა ჩვენი ოჯახების კეთილდღეობა და სიღარიბის დამარცხებაა, ჩვენ მხოლოდ ერთი გზა გვაქვს წინ. ეს არის გზა თავისუფლებასა და დემოკრატიისაკენ, გზა თანამშრომლობითა და ერთიანი ძალებით კეთილდღეობისა და ძლიერი სახელმწიფოს შენებისაკენ, რომელიც ერთნაირად ეკუთვნის ყველა ეთნიკურ ჯგუფს, ყველა თავისუფალ მოქალაქეს. ეს არის ერთადერთი გზა ჩვენი ოჯახებისა და ჩვენი შვილების წინსვლისა და განვითარებისაკენ.

და ეს არ არის ჰაერზე ნათქვამი სიტყვები. ამისათვის საქართველოს მთავრობამ შევიმუშავეთ სამშვიდობო გეგმა, რომელსაც მთელი დემოკრატიული სამყარო ერთხმად უჭერს მხარს და რომელიც წარმოადგენს სრულ გარანტიას, რომ ერთიან საქართველოში დაცული იქნება ყოველი მისი მოქალაქის უსაფრთხოება, ყოველი ეთნიკური ჯგუფის უფლებები და თავისუფლებები; უზრუნველყოფილი იქნება აფხაზი და ოსი ხალხის დიდ კულტურათა თვითმყოფადობა, პოლიტიკური და ეკონომიკური ავტონომია.

კიდევ ერთხელ წარმოგიდგენთ საქართველოს სამშვიდობო ინიციატივებს, რაც აფხაზეთთან მიმართებაში გულისხმობს:

ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას აფხაზებისათვის, რომელსაც ექნება აფხაზეთთან დაკავშირებით ყველა საკონსტიტუციო საკითხზე ვეტოს უფლება;

გარანტირებულ წარმომადგენლობას საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში;

საერთაშორისო გარანტიებს აფხაზეთისადმი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ფართო ფედერალიზმი და შეუზღუდავი ავტონომია;

კულტურის, ენის და ეთნიკური იდენტურობის დაცვის გარანტიებს;

უსაფრთხოების გარანტიებს;

ერთიანი სამართალდაცვითი, საბაჟო და სასაზღვრო სივრცის ჩამოყალიბებას;

ერთობლივი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას.

ჩვენი მიზანია არა მხოლოდ ტერიტორიების გაერთიანება, არამედ იმ ურთიერთობების აღდგენა და შემდგომი განვითარება, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში აკავშირებდა ჩვენს ხალხებს და რომლებიც დროებით შეწყდა უცხო ძალის დამანგრეველი ზემოქმედების შედეგად.

ერთად ჩვენ დიდი მომავალი გვაქვს წინ, დანგრეულის აღსადგენად ერთად ბევრი უნდა ვიმუშაოთ, მაგრამ სანამ მომავალზე ვილაპარაკებთ მინდა გითხრათ, რომ დღევანდელი საქართველოც, რომელიც ჩვენი საერთო სამშობლოა, უკვე დღეს, ბევრ რამეს გთავაზობთ თქვენ.

დღევანდელი საქართველო და მასში ჩვენი ერთად ყოფნა გთავაზობთ სიმშვიდესა და დაცულობას, რაც ასე გაკლიათ;

დღევანდელი საქართველო გთავაზობთ ცხოვრებას ბანდების თარეშისა და კრიმინალური ავტორიტეტების ბოგინის გარეშე...

დღევანდელი საქართველო გთავაზობთ ცხოვრებას კორუფციის გარეშე, როდესაც ვეღარავინ ვეღარასოდეს წაგართმევთ ქრთამს ან თქვენი ბიზნესის წილს...

დღევანდელი საქართველო გთავაზობთ თავისუფალი და კანონიერი ბიზნეს საქმიანობის სრულ შესაძლებლობებს, სადაც ვერავინ შეზღუდავს თქვენს ინიციატივას...

გთავაზობთ გაცილებით უკეთეს ჯანდაცვისა და განათლების პირობებს თქვენი ოჯახებისთვის...

დღევანდელი საქართველო გთავაზობთ არჩევანის ნამდვილ თავისუფლებას... სადაც ვეღარავინ დაგაძალებთ ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეობას და სადაც აღარ დაგაპატიმრებენ იმისათვის, რომ გინდათ აირჩიოთ საკუთარი ქვეყნის პარლამენტი და პრეზიდენტი..

დღევანდელი საქართველო გთავაზობთ, გახსნილ ეკონომიკასა და საზღვრებს.. წესრიგსა და კანონის უზენაესობას... დაცულობასა და განვითარების უკეთეს პერსპექტივას...

დღევანდელი საქართველო გთავაზობთ მშვიდობას და გიწვდით ძმობის ხელს.

მაგრამ, სამწუხაროდ, არსებობს ერთი აგრესიული ძალა, რომელიც აცხადებს, რომ თქვენ მაგივრად შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება თქვენსავე მომავალზე. ნუთუ ნორმალურია ის სიტუაცია, როდესაც მიწები მთლიანად გადასულია უცხოელების ხელში? როდესაც ადგილზე დარჩენილ მოსახლეობას უცხოელების მიერ პრივატიზებულ სანაპიროსთან 5 კილომეტრზე არ აკარებენ. თუმცა ისინი სრულიად კანონიერად და ისტორიულად ეკუთვნით მათ. დღეს ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევძლოთ ამ სიტუაციის შემობრუნება.

რამდენადაც ჩვენ ვლაპარაკობთ მშვიდობაზე, იმდენად ლაპარაკობს ეს ძალა ომზე...

ჩვენ ვსაუბრობთ დემილიტარიზაციაზე, ხოლო ეს ძალა თქვენი სახელით საუბრობს გამალებულ მილიტარიზაციაზე...

ჩვენ ვსაუბრობთ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებზე, ხოლო ეს ძალა საუბრობს ახალი სამხედრო ბაზების და საგუშაგო პუნქტების გახსნაზე...

ჩვენ ვსაუბრობთ ეკონომიკური კავშირების გაზრდაზე, ხოლო ეს ძალა ისევ თქვენი სახელით საუბრობს სამხედრო კონტინგენტის გაზრდაზე.

რატომ ხდება ასე?

ჩვენ არ შეიძლება გვინდოდეს ომი და გამორიცხულია, რომ ეს გინდოდეთ თქვენ. დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზ და ოს ხალხს, როგორც მცირე ერებს, არაფერში არ სჭირდებათ კონფრონტაცია. მათ მხოლოდ დაცვა და გაფრთხილება ესაჭიროებათ.

დაპირისპირება კი მხოლოდ იმ ძალას უნდა, ვინც თქვენ არ გიტოვებთ არჩევნის უფლებას და თქვენი სახელით გველაპარაკება.

უნდა იმიტომ, რომ ორივე მხარე მუდმივად დამარცხებულები ვიყოთ, ძმებო. მინდა ყველას გვესმოდეს, რომ ამ ძალის მონაწილეობა არ ნიშნავს აფხაზების ან ოსების დახმარებას ქართველების წინააღმდეგ. ამ ძალის მონაწილეობა ნიშნავს მხოლოდ მტრობის გაჩაღებას ქართველების, აფხაზების და ოსების ერთად დასამარცხებლად.

აფხაზები არის არამრავალრიცხოვანი, მაგრამ დიდი ტრადიციების და დიდი კულტურის მქონე ხალხი. ამ ხალხს სჭირდება, დაცვა, მოვლა და განვითარება.

მაგრამ, როგორც ჩანს, არსებობს ძალა, რომელსაც სურს ისეთ გლობალურ კონფრონტაციაში ჩვენი ჩათრევა, რომლის შედეგადაც ყველაზე უფრო სახიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდება აფხაზი და ოსი ერი.

ჩვენ არც ერთი აფხაზი არ გვემეტება კონფლიქტში ჩასათრევად, ჩვენ არ უნდა დავუშვათ აფხაზი ერის არსებობის და განვითარების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება.

უნდა მოგცეთ პირობა, რომ მე ამას არ დავუშვებ...

ამდენი საუკუნე ვცხოვრობდით ერთად. ოსები საუკუნეების განმავლობაში იყვნენ საქართველოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. აფხაზეთიდან დაიწყო საქართველოს გაერთიანება რამდენჯერმე. ამდენი ტრადიციაა მეგობრობისა და ძმობის.

მე არ მივცემ ამ ბოროტ ძალას საშუალებას, რომ მტრობისა და სისხლისღვრის მორევში ჩაითრიოს ჩვენი სამშობლო და ხალხი.

და მე ამაში პირველ რიგში თქვენი იმედი მაქვს, რადგანაც ახლა, როდესაც საერთო ავისმოსურნე თავის მზაკვრულ გეგმას გვახვევს თავს, დგება მომენტი, როდესაც გადაწყვეტილება მომავალი თაობების წინაშე დიდი პასუხისმგებლობის კარგად გაცნობიერებით უნდა მივიღოთ.

ჩვენი ერთად ყოფნა ახლა ისტორიული აუცილებლობაა. ჩვენი ერთობლივი დემოკრატიული გახსნილი საზოგადოების მშენებლობა ეს არის ერთადერთი გზა გადარჩენისა და წინსვლისაკენ.

დიდი მადლობა.

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური**

№ 80. ხუთშაბათი, 1 მაისი, 2008 წელი.

# დაპირისპირება

● ჩემი აზრით, მთავარი სიტყვა დღეს ნატოს ეკუთვნის, ვინაიდან რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირება საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრების პერსპექტივასთან დაკავშირებით დაიწყო. კრიზისის დეტონატორი იყო ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება. აქ უკვე, საკუთარი პრესტიჟი თავად ნატომ უნდა დაიცვას





## ◉ კითხული კაცის აზრი

# სოსო ცინცაძე: ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დასავლეთი რამდენად პრინციპული იქნება რუსეთთან დაპირისპირებაში თავისი ღირსების დასაცავად

***მას შემდეგ, რაც დასავლეთმა რუსეთს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში გატარებული პოლიტიკის გამო კრიტიკული შენიშვნები წერილობით გადასცა და აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით პრეზიდენტ პუტინის 16 აპრილის განკარგულების გაუქმება მოითხოვა, რუსეთის საგარეო საქმეთა უწყებამ საქართველოსთან დაკავშირებით მარტო 29 აპრილს სამი სპეციალური განცხადება გაავრცელა.***

***სერგეი ლავროვისა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებები იმის დასტურია, რომ მოსკოვი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით გეგმებს აღარც კი ნიღბავს. შექმნილ ვითარებაზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ესაუბრა.***

**— ბატონო სოსო, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინიტრომ საქართველოსთან დაკავშირებით სამი განცხადება გაავრცელა. როგორ შეაფასებდით, რუსეთის განცხადებას აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების კონტინგენტის გაზრდის შესახებ?**

— ეს სიახლე არ არის, ამის თაობაზე განცხადება რუსეთმა ორი კვირის წინათ, პუტინის მიერ 16 აპრილს მიღებული დადგენილების შემდეგ გააკეთა, რომელიც რუსეთის აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების გაღრმავებას ეხებოდა. მაშინ ითქვა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთი სამშვიდობო ძალებს გაასამმაგებდა. რუსეთს ამ შემთხვევაში არგუმენტად მოჰყავს ის, რომ დღეისათვის აფხაზეთში სამშვიდობოები ნაკლები არიან, ვიდრე ამას 1994 წლის 14 მაისის შეთანხმება ითვალისწინებს. როგორც თავად ამბობენ, ამჟამად აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მშვიდობისმყოფელთა კვოტის მხოლოდ 30 პროცენტია განლაგებული.

მოსკოვი თავის მოქმედებას იურიდიულად იმით ამართლებს, რომ ახლა აფხაზეთში ვითარება თითქოს გამწვავდა და კვოტის შევსების აუცილებლობაა. სხვა საკითხია ამას შემდეგ როგორ გამოიყენებენ, როდესაც კვოტას გაზრდიან. ამის შემდეგ ტექნიკური საკითხი იქნება აფხაზეთთან სამხედრო ხელშეკრულების დადება.

რუსეთის იმპერიიდან მოყოლებული რუსეთი არარუსულ ტერიტორიებზე რუსეთის გავლენის წყაროდ მიიჩნევდა ჯარის არსებობას. სადაც რუსი ჯარისკაცი იდგა, იქ იყო რუსეთის გავლენა. ტრადიციულად ასე იმიტომ იყო, რომ ამა თუ იმ ტერიტორიას რუსეთი ეკონომიკურად და კულტურულად ვერასოდეს ინარჩუნებდა. საბჭოთა კავშირიც ასე იყო. მოსკოვი ბაზებს განალაგებდა ყველგან — ქამრალიდან დაწყებული კუბით დამთავრებული. რუსებისათვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. ახლა ისიც დაემთხვა, რომ რუსეთის მმართველი პარტია ყოფილი ცკ-ს შენობაში გადადის, რუსეთში ყველაფერი ძველ, საბჭოურ სისტემას უბრუნდება.

**— თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია რუსეთმა აფხაზეთთან გააფორმოს ხელშეკრულება სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ?**

— რასაკვირველია შესაძლებელია, თუმცა, შეიძლება მას არ ერქვას სამხედრო სფეროში რუსეთსა და აფხაზეთს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება. ისინი ხელშეკრულებას მათი თვალთახედვით ნეიტრალურ სახელს მოუძებნიან, ვთქვათ, აფხაზეთში სტაბილურობის შენარჩუნების, რუსეთის მოქალაქეების სიცოცხლის, ქონების დაცვის ხელშეკრულება, საბაბად და საფუძვლად ამის აუცილებლობა დასახელდება.

**— როგორ ფიქრობთ, რუსეთი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით დასავლეთის პოზიციას ანგარიშს არ გაუწევს, თუ მოსკოვი თბილისთან მიმართებაში მხოლოდ შანტაჟისა და „ნერვების თამაშის“ პოლიტიკას აგრძელებს?**

— რატომღაც რუსეთს ჰგონია, რომ დასავლეთს მოსკოვის წინააღმდეგ განცხადებების გარდა სხვა იარაღი არ გააჩნია. თავისი მოქმედებით რუსეთი დასავლეთსაც კუთხეში ამწყვდევს, აიძულებს დასავლეთს, რომ რუსეთს, საქართველოს, მთელ მსოფლიოს დაუმტკიცოს, რომ მას განცხადებების გარდა მოსკოვის წინააღმდეგ სხვა ქმედითი საშუალებები აქვს.

არ არის აუცილებელი რუსეთის დაბომბვა და ომის გამოცხადება, თუმცა მე არ მესმის ერთი რამ, როდესაც დღეს, თავად რუსი ექსპერტების შეფასებით, ნატოს სამხედრო ძალა რუსეთის სამხედრო ძალაზე 13-ჯერ ძლიერია, რატომ არ უწევს ამას ანგარიშს რუსეთი?

შეიძლება რუსეთს იმის იმედი აქვს, რომ მას დასავლეთისაგან ესმის ერთი ფორმულირება — პრობლემების დიპლომატიური საშუალებებით მოგვარების შესახებ. რუსეთზე დიპლომატიური ენა არ მოქმედებს, ასე იყო მეფის რუსეთში, ასე იყო საბჭოთა კავშირის დროს და ასეა ახლაც. დიპლომატიური ენა რუსეთზე ცოტა ხანი ელცინის დროს მოქმედებდა. ეს იყო მაშინ, როცა რუსეთი სუსტი იყო და რუსეთს დასავლეთის კრედიტები განუწყვეტლივ სჭირდებოდა. როგორც კი რუსეთი გაძლიერდა, მასთან დიპლომატიური ენა ყრუ-მუნჯთან საუბარს დაემსგავსა.

**— რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებებით ცხადი ხდება, რომ მოსკოვი დასავლეთისათვის ანგარიშის გაწევას არ აპირებს, მაგრამ რამდენად მზადაა თავად დასავლეთი, ადეკვატურად უპასუხოს პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის თავხედობას. თქვენი აზრით, რამდენად რადიკალური და მწვავე შეიძლება იყოს დღეს დასავლეთი რუსეთთან დამოკიდებულებაში?**

— საქმეც ამაშია. რუსეთის მოქმედებებით თავად დასავლეთი ნელ-ნელა კუთხეში ემწყვდევა. დასავლესაც ხომ თავისი პრესტიჟი, იმიჯი, ავტორიტეტი და თავისი ღირსების გრძნობა აქვს, ამიტომ დასავლეთთან ურთიერთობაში რუსეთმა წითელი ხაზი არ უნდა გადალახოს.

სხეფერთან დაკავშირებით როგოზინის შეურაცხმყოფელი განცხადებები იმას მოწმობს, რომ ნატოში რუსეთის წარმომადგენელი, რბილად რომ ვთქვათ, ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ სხეფერი მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის — ნატოს ლიდერი და გენმდივანია.

ეტყობა რუსეთმა ირწმუნა, რომ შექმნილ ვითარებაში დასავლეთი, განცხადებების გარდა არაფერს გააკეთებს. რუსი პოლიტოლოგები ღიად წერენ, რომ რუსეთი მიეჩვია ამა თუ იმ საკითხზე დასავლეთის მხოლოდ კრიტიკულ და უხერხემლო განცხადებებს. მოსკოვში იმედოვნებენ, რომ ამ მწვავე საკითხებზე დასავლეთი იყაყანებს, იყაყანებს, მწვავე განცხადებები გაკეთდება და ერთ თვეში ყველაფერი დავიწყებას მიეცემა.

ის, რომ დასავლეთი რუსეთისგან მკაცრად მოითხოვს პრეზიდენტ პუტინის 16 აპრილის განკარგულების გაუქმებას, ეს უკვე დასავლეთის პრესტიჟის საკითხია. ახლა ან რუსეთმა უნდა დაიხიოს უკან ან დასავლეთმა, ჩუმად, მორცხვად უკან წაიღოს მისი კატეგორიული მოთხოვნა, რაც პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთისათვის კარტ-ბლანშის მიცემა იქნება. ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ყველაფერი სუდეტებიდან დაიწყო. დასავლეთმა ჰიტლერს ჯერ სუდეტები, შემდეგ მიუნხენის გარიგებით ნახევარი ჩეხოსლოვაკია დაუთმო.

**— თქვენ საქართველოს გამო ასეთ გლობალურ დაპირისპირებასაც არ გამორიცხავთ?**

— დაპირისპირება დიპლომატიურ დონეზე უკვე არის. რაში გადაიზრდება ეს დაპირისპირება, ახლა საუბარი იმაზეა, თუ რამდენად პრინციპული იქნება დასავლეთი თავისი რენომეს დაცვაში. სად რუსეთი და სად ევროპა, სად ნატო და სად ბალუევსკისა და სერდიუკოვის არმია, მათი შედარებაც კი სასაცილოა. აქ უკვე საქართველოზე საუბარი არ არის. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, დასავლეთი რამდენად პრინციპული იქნება რუსეთთან დაპირისპირებაში თავისი ღირსების დასაცავად. ახლა საქმე დასავლეთის პრესტიჟს ეხება, დასავლეთის მიერ თავისივე ღირებულებებისა და ფასეულობების დაცვისათვის მზადყოფნას და იმას, საჭიროების შემთხვევაში წავა თუ არა დასავლეთი რისკზე. დღეს ასე დგას საკითხი. ვითარების დიპლომატიურ ჭრილში განხილვა ცხადყოფს, რომ თანამედროვე მსოფლიოში დღეს ძალზე მწვავე კრიზისია. ასეთი მწვავე კრიზისი რუსეთსა და დასავლეთს შორის 70-იან წლებში, პერშინგების განლაგება რომ დაიწყო, მას შემდეგ არ ყოფილა. აღარაფერს ვამბობ 1961 წელს კუბის კრიზისზე.

მაშინ, ამ ორივე შემთხვევაში, დასავლეთმა გამოავლინა ნება, მაგრამ ეს ნება ძირითადად ვაშინგტონმა გამოხატა. შესაძლოა რუსეთს იმედი აქვს, რომ დღევანდელი ვაშინგტონი ის ვაშინგტონი აღარ არის, როგორიც იყო კენედის დროს, მოგვიანებით, რეიგანის დროს. აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები ფინიშის სწორზეა. კონგრესი კი ღებულობს გადაწყვეტილებებს, რეზოლუციებს, მაგრამ მკვეთრ ნაბიჯებზე არც ბუში წავა და არც კონგრესი, ამიტომ ცოტა დელიკატური სიტუაციაა.

ჩემი აზრით, მთავარი სიტყვა დღეს ნატოს ეკუთვნის, ვინაიდან რუსეთ-დასავლეთის დაპირისპირება საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრების პერსპექტივასთან დაკავშირებით დაიწყო. კრიზისის დეტონატორი იყო ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება. აქ უკვე, საკუთარი პრესტიჟი თავად ნატომ უნდა დაიცვას.

**ესაუბრა**
**კობა ბენდელიანი**

## ◉ კომენტარი

# პაატა ზაქარეიშვილი: კრემლი ცდილობს საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს აგრესიულობაში დაარწმუნოს

**„რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენელი, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას ქართული მხარის მიერ საომარ მზადებასთან დაკავშირებით, არასერიოზულს უწოდებს. მან აღნიშნა, რომ მსგავსი განცხადებებით კრემლი ცდილობს, საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს აგრესიულობაში დაარწმუნოს.**

**„ბოლო პერიოდში რუსულ-ქართულ ურთიერთობებში დაძაბულობამ იმატა, რასაც ლავროვის განცხადებაც მოწმობს. ორივე მხრიდან ისმის რიტორიკა შეიარაღებული მოქმედებების დაწყების შესახებ, თუმცა არა მგონია საქმე მთლად ასე სერიოზულად იყოს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის ფაქტი, რომ გაეროს დამკვირვებლები მსგავს განცხადებებზე არანაირ რეაგირებას არ ახდენენ“, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.**

**მისივე თქმით, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებული კამპანია მისასალმებელია, თუმცა არა პირველხარისხოვანი.**

**— რა თქმა უნდა საერთაშორისო ვექტორი მნიშვნელოვანია, თუმცა მთავარია კონტაქტის დამყარება აფხაზებთან მოვახერხოთ, — აღნიშნა ზაქარეიშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ◉ თვალსაზრისი

# სერგეი ლავროვი: რუსეთი საქართველოსთან ომს არ აპირებს

**ლუქსემბურგში მყოფმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი აფხაზეთში საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე მოქმედებს, — იუწყება რადიო „თავისუფლება“.**

**„რუსი სამშვიდობოების რაოდენობა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის ზონაში არ გადაამეტებს საერთაშორისო შეთანხმების ნორმებს“, — აღნიშნა ლავროვმა.**

**ლუქსემბურგში, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი საქართველოსთან ომს არ აპირებს.**

**მისი თქმით, „სწორედ საქართველო აპირებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ძალოვანი ქმედებების გეგმის განხორციელებას“.**

**ევროკავშირის საგარეო საქმეთა პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ჰავიერ სოლანამ კი თავის მხრივ განაცხადა, რომ მოსკოვის გადაწყვეტილება — გაზარდოს სამშვიდობოთა კონტინგენტი აფხაზეთში, „ბრძნული გადაწყვეტილება ნამდვილოად არ არის“.**

ინტერპრესნიუსი

## ◉ აგრესია

# გაიხსნა 15 ახალი საგუშაგო

**საქართველოს ხელისუფლება უპასუხისმგებლო და პროვოკაციულ ნაბიჯად აფასებს და მკაცრად გმობს რუსეთის მიერ საქართველოსთან შეთანხმების გარეშე აფხაზეთში მშვიდობისმყოფელთა რაოდენობის ცალმხრივად გაზრდის ფაქტს.**

**საქართველო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რუსეთის შეიარაღებული აგრესიის აღსაკვეთად ადეკვატური, გადამჭრელი და დროული ზომები მიიღონ.**

**საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყება სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და რუსეთის მიერ გადადგმულ ნაბიჯს „სამშვიდობო ოპერაციად შენიღბულ აგრესიას“ უწოდებს.**

**როგორც განცხადებაშია აღნიშნული, გუშინწინ მდინარე ფსოუზე საქართველოს სახელმწიფო საზღვარი გადმოლახეს რუსულმა ჯავშანტექნიკამ, მძიმე არტილერიამ და დამატებითმა სამხედრო შენაერთებმა. ამასთანავე, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადების თანახმად, აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე საქართველოს ხელისუფლების თანხმობის გარეშე თხუთმეტი ახალი საგუშაგო გაიხსნა.**

**„სამხედრო ძალის ფართომასშტაბიანი ზრდა აფხაზეთში წარმოადგენს აგრესიის კიდევ ერთ ფაქტს და რუსეთის ფედერაციის მორიგ სახიფათო ნაბიჯს, რომელიც ზრდის კონფლიქტის ესკალაციის რისკს და საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უსაფრთხოებას რეგიონში“, — აღნიშნულია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.**

ინტერპრესნიუსი

# საით?..

**რუსეთთან ჭიდაობის უფლება ჩვენ არ გვაქვს. ეს უფლება რუსეთს კი არ წაურთმევია ჩვენთვის, არამედ ჩვენივე სახელმწიფოს ინტერესებმა წაგვართვა. უნდა ვიცოდეთ ჩვენი ადგილი მსოფლიო სახელმწიფოთა სისტემაში**



## ◉ არის ასეთი აზრიც

# რუსეთი და საქართველო

**აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაწყვეტის გასაღები მოსკოვის ხელშიაო, ამბობდა შევარდნაძე, მაგრამ ამ გასაღებს დასავლეთში, გაეროში, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ეძებდა და მათი მეშვეობით „უტევდა" რუსეთს. მან ვერ ჩაიგდო ხელში „გასაღები" და გადააბარა ხელისუფლება თავის მემკვიდრეებს უგასაღებოდ და მოქმედების წესიც იგივე უანდერძა.** დღევანდელი ხელისუფლებაც იმავე კურს აგრძელებს. ნიუ-იორკიდან, სტრასბურგიდან, ბრიუსელიდან, ვენიდან, სტამბოლიდან „უტევს" რუსეთს. მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსების ჯაფა ფუჭი ვაზნების სროლას ჰგავს, რადგან შედეგი იყო და არის იგივე — ნული!

„ცივილიზებული" ევროპა და აშშ 15 წელიწადია „გვეხმარებიან" კონფლიქტების მოგვარებაში, აღიარებენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, საერთაშორისო ორგანიზაციები ღებულობენ რეზოლუციებს ჩვენს მხარდასაჭერად. გაერომ 35 რეზოლუცია მიიღო აფხაზეთის საკითხზე. შედეგი — ნული!

მხოლოდ 2005 წლის სექტემბერში პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ზურაბიშვილმა განაცხადეს, რომ ვერც გაერო და ვერც ეუთო ვერ დაგვეხმარა კონფლიქტების მოგვარებაში და მკაცრად გააკრიტიკეს ისინი. ამით ფაქტობრივად აღიარეს, რომ შევარდნაძისა და მისი მემკვიდრეების რუსეთზე დასავლეთიდან 12-წლიანი „შეტევა" უაზრობა იყო.

**საქმეც ის არის, რომ ჩვენი დასავლელი „მეგობრები" ჩვენი პრობლემების გადაწყვეტისათვის განცხადებებსა და რეზოლუციებზე შორს არ მიდიან და არც წავლენ, მით უფრო ომს არ დაუწყებენ რუსეთს. ამიტომ მათი უთვალავი რეზოლუციები და მოწოდებები რუსეთისადმი ფარისევლური საფარველია, აფერაა, რომელთაც რუსეთი აღარც აქცევს ყურადღებას. ჩვენ რომ მათ ნამდვილად და დიდი ხნით გადაგვკიდეს რუსეთს, აი ეს მწარე რეალობაა.** მათი ასეთი „დახმარებით" მრავალი წლის შემდეგაც ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს წინ აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნების გზაზე, ესეც აშკარაა.

რუსეთ-საქართველოს შორის უმძაფრეს დაპირისპირებას, ცივი ომის მდგომარეობაში ყოფნას ჩვენი პოლიტიკური ელიტა მთლიანად რუსეთის ხელისუფლებას აბრალებს. მიზეზი? იგი, **რუსეთი, ერთადერთი სახელმწიფოა დედამიწის ზურგზე, რომელიც ვერ შეურიგდა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობას და გაძლიერებას.** დაუჯერებელია რადგან მაშინათვე იბადება კითხვა: რუსეთი თუ შეურიგდა აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსიის და ა. შ. დამოუკიდებლობას, მათთან აქვს ნორმალური სახელმწიფოებრივი ურთიერთობა, ყოველ შემთხვევაში არ არის ცივი ომის მდგომარეობაში, როგორც ჩვენთან, რაღა მაინც და მაინც საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ შეურიგდა?

რუსეთის ხელისუფლების მიერ ქართული ღვინის, „ბორჯომის" შეტანის აკრძალვა ეს ჩვენი თავისუფლების, დამოუკიდებლობის ფასიაო, გაჰკივიან ჩვენი მმართველნი. რუსეთს სურს წაგვართვას სახელწიფოებრივი დამოუკიდებლობაო. **ესეც დაუჯერებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ორასი წლის მანძილზე ქართველი ერის ნაოცნებარი და ნანატრი ჩვენი დამოუკიდებლობა, მოპოვებული 1991 წელს, ჯერ კიდევ შევარდნაძემ ჩააბარა ამერიკის შეერთებულ შტატებს. შემდეგ, კერძო საუბრებში წუწუნებდა: ესენი ვინ ყოფილან, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ მათთან შეუთანხმებლადო. ერთი სიტყვით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ჩვენ დღეს აღარ გვაქვს და როგორ წაგვართმევს რუსეთი იმას, რაც არ გვაქვს?**

საქმე სხვაგვარადაა. ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რაც ჩვენ გვინდა და მოვითხოვდით და მოვითხოვთ რუსეთისაგან: გაიყვანოს თავისი სამხედრო ბაზები ჩვენი ტერიტორიიდან და რუსი სამშვიდობო ძალები — კონფლიქტის ზონებიდან; დაგვიბრუნოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი; მიიღოს მის ბაზარზე ჩვენი ხარისხიანი და უხარისხო საქონელი განურჩევლად; შეურიგდეს იმას, რომ ჩვენ ნატოში მივდივართ და ნატოს სამხედრო ბაზები იქნება ჩვენს ტერიტორიაზე. ამავე დროს ჩვენმა პრეზიდენტმა თავისი საქმიანობის მთავარ ამოცანად დაისახა რუსეთის სახელმწიფოს იმიჯის დისკრედიტაცია მსოფლიო არენაზე, როგორც „არასაიმედო პარტნიორისა". უფრო მეტიც, საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებმა საფუძველი ჩაუყარეს „დემოკრატიულ არჩევანს" — ე. წ. დემოკრატიულ სახელმწიფოების თანამეგობრობას, რომლის მიზანია რუსეთის ირგვლივ მტრულ სახელმწიფოთა ბლოკის შექმნა და შექმნეს კიდეც.

ნატოს და დასავლეთი ნახევარსფეროს სახელმწიფოს აშშ-ს აქვს და კიდეც უნდა ჰქონდეს სტრატეგიული ინტერესები საქართველოშიო. ეს არავისი განსჯის საგანი არ უნდა იყოსო. ხოლო ჩვენს ჩრდილოელ დიდ სახელმწიფოს — რუსეთს, „კარის მეზობელს" უფრო მეტი სტრატეგიული ინტერესები რომ ჰქონდეს საქართველოში, ამის შესახებ კითხვის დასმაც კი მკრეხელობად ითვლება და შეიძლება ერის მოღალატედ გამოაცხადონ კითხვის ავტორი. რა ჩვენი საქმეა რა სურს რუსეთს, ვინ ჰკითხავს რუსეთს ჩვენ საით მივდივართო, აცხადებენ ისინი. ერთი სიტყვით, ჩვენმა პოლიტიკურმა ელიტამ რუსეთი დიდი ხანია „ჩამოწერა" ანგარიშიდან და ამ ქვეყნად მისი არსებობა ჩვენში მხოლოდ მისი ლანძღვით იგრძნობა.

აი ასეთია სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ჩვენი პოლიტიკური ელიტისეული გაგება, პოლიტიკა და დიპლომატია.

ყოველივე ამის შემდეგ კარგს რას უნდა ველოდოთ რუსეთისაგან?

ნატოში შესვლა ყველა ქართველის, საქართველოს ყველა მოქალაქის „საუკუნოებრივი ოცნებაა", ნებააო. ხოლო დღევანდელი პოლიტიკური ელიტა ამ ოცნების, ქართველი ხალხის ამ ნების აღსრულებაზე ზრუნავს, მისთვის არის დამაშვრალიო.

შეიძლება ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ ჩატარდა დისკუსია ამ საკითხზე, რათა გაგვეანალიზებინა თუ ნატოში შესვლით რას მოიგებს და რას წააგებს საქართველო? ჩვენ, ქართველებს, თუნდაც ყველას რომ გვინდოდეს ნატოში შესვლა, მრავალეროვანი საქართველოს სხვა ერების მოსახლეობას, **მათ შორის ოსებსა და აფხაზებს, ჩვენი სახელმწიფოს სრულუფლებიან მოქალაქეებს, ასევე სწყურიათ ნატოში შესვლა? ჰკითხეს კი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას, ამის შესახებ, რომელთა დაბრუნებაზეც ჩვენ ყველა ნამდვილად ვოცნებობთ?** თუ მათ აზრს არ აქვს მნიშვნელობა? ასე, რომ ქართველი ხალხის „საუკუნოებრივი ოცნება" ნატოში შესვლაზე ცოტა სხვანაირად უნდა განვიხილოთ.

ნატოში შესვლა რუსეთის მტრად გადაკიდების ფასად? თანაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღსადგენი გაქვს. მართალია, როგორც საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებს, მსოფლიოს ყველა ქვეყანა მხარს გვიჭერს, გარდა რუსეთისა, მაგრამ ხომ სწორედ ჩვენი ხელისუფლება აცხადებს იმასაც, რომ რუსეთის მხარდაჭერაა გადამწყვეტი ამ საკითხში? თანაც არც ერთი სხვა სახელმწიფოს მხარდაჭერა ზეპირ განცხადებებზე შორს არ მიდის. **არც ერთი სახელმწიფო, მათ შორის აშშ, არ გაიფუჭებს ურთიერთობას რუსეთთან სხვანაირი მხარდაჭერით ჩვენდამი.** უკანასკნელი 15 წლის ისტორია ამას ადასტურებს. მხოლოდ რუსეთის მხარდაჭერა რომ გვქონოდა, დღეს უფრო ახლოს ვიქნებოდით ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის გადაწყვეტასთან, ვიდრე მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობის სიტყვიერი მხარდაჭერის პირობებში, გარდა რუსეთისა. შეიძლებოდა აღნიშნული პრობლემა საერთოდ არ გვქონოდა.

**ამჟამად, აშშ-რუსეთს შორის ცივ ომში ამერიკის მხარეზე ვართ ჩართული და მთლიანად იქიდან ვიმართებით. ამიტომ ვართ ჩვენც დიდ მეზობელთან — რუსეთთან ცივი ომის მდგომარეობაში, რაც აბსოლუტურად არ უპასუხებს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, პირიქით, ამ ინტერესების საწინააღმდეგოა და ამაშია ჩვენი უბედურება.**

რუსეთთან ჭიდაობის უფლება ჩვენ არ გვაქვს. ეს უფლება რუსეთს კი არ წაურთმევია ჩვენთვის, არამედ ჩვენივე სახელმწიფოს ინტერესებმა წაგვართვა. უნდა ვიცოდეთ ჩვენი ადგილი მსოფლიო სახელმწიფოთა სისტემაში. რუსეთს ჩვენ ვერ შევეჯიბრებით ვერც ტერიტორიის მასშტაბებით, ვერც მოსახლეობის რიცხოვნობით, ვერც ეკონომიკური, სამხედრო და სხვა რესურსული პოტენციალით. ამიტომ თუ მას დავუწყებთ ჭიდაობას, ცხადზე უცხადესია, რომ დავმარცხდებით. განსხვავება ძალიან დიდია და მაშასადამე აშკარაა. იგი არ შეიძლება არ დაინახოს მხოლოდ იმან, ვისაც არ სურს, რომ დაინახოს.

გასათვალისწინებელია თვით რუსეთის განვითარების პერსპექტივები. რუსეთის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი დღითი დღე ძლიერდება, მისი ავტორიტეტი მსოფლიოში სისტემატურად იზრდება, მისი გეოპოლიტიკური პრეტენზიებიც მატულობს, რასაც სულ უფრო და უფრო ველარ ეწინააღმდეგება უსამართლო ომების ჭაობში უიმედოდ ჩაფლული აშშ.

**ერთი რამ, აბსოლუტურად ნათელია: ვიდრე არ ვიქნებით დამოუკიდებელი ნეიტრალური სახელმწიფო, არ გვექნება რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ოცნებაც ზედმეტია. ჩავებით რა რუსეთთან ცივ ომში, უკვე წინასწარ მოვაწერეთ ხელი ჩვენი კაპიტულაციის აქტს!**

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელიც 1990-იან წლებში მთლიანად მართავდა რუსეთს, არ შეაჩერა სეპარატისტებისადმი რუსეთის დახმარება და აფხაზეთში ომი წაგვაგებინა. ამიტომაც არ აცხადებდა იგი მაშინ პროტესტს რუსეთის თვითმფრინავების მიერ აფხაზეთის დაბომბვის, ეთნიკური წმენდის, გენოციდის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო.

რუსეთთან „ცხელ" ომში, დღეს თუ იგი დაიწყება, რეალურად აშშ არ დაგვეხმარება. მართალია, ამჯერად, მწამს, ზეპირ განცხადებებს არ დაგვამადლის. მაგრამ რუსეთთან ჩვენი ომი საქართველოს სრული დაშლით დამთავრდება.

ნუთუ 15 წლის გამოცდილება საკმარისი არ არის, რომ ვინც ფიქრობს საკუთარი ქვეყნის სიკეთეზე, იბრძვის ჩვენი საკუთარი ეროვნული და არა გადამთიელთა ინტერესებისათვის, გაიგოს, რომ რუსეთთან კონფრონტაციის პოლიტიკას არ მივყავართ და მით უფრო მომავალში არ მიგვიყვანს სასურველ შედეგთან და იგი კარდინალურად უნდა შეიცვალოს.

ამასობაში, „ცივილიზებულ" დასავლეთთან „ჩახუტებულები" ვკარგავთ ენას, მამულს, სარწმუნოებასა და ეროვნულ სულიერებასაც. გვისპობენ მეცნიერებას, განათლებას, ეროვნულ კულტურას.

ქართველი ხალხი უნდა მიხვდეს ყოველივე ამას. რეალურად შეაფასოს შექმნილი სიტუაცია და შეეცადოს გამოიყვანოს ქვეყანა გაჭიანურებული დამანგრეველი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სულიერი კრიზისიდან, აღადგინოს ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა.

**ვალერიან ადვაძე**

## ◉ ინფორმაცია

# ცივი ომის მდგომარეობიდან საომარ ვითარებაში

**რესპუბლიკური პარტიის წევრი ირაკლი ბათიაშვილი საქართველოს კონფლიქტურ ზონებთან დაკავშირებულ ბოლო პროცესებს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას უკავშირებს.**

**როგორც ბათიაშვილმა განაცხადა, სწორედ კოსოვოს აღიარებას მოჰყვა შემდგომი პროცესები, მათ შორის ვითარების გამწვავება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, ასევე ტიბეტში.**

**— რუსეთთან ვიყავით ცივი ომის მდგომარეობაში, ახლა კი საომარი ვითარების ზღვარზეც კი ვართ, — აღნიშნა ბათიაშვილმა.**

**ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატის თქმით, დღევანდელ მდგომარეობაში ნებისმიერი სამხედრო მოქმედებები აფხაზეთში კატასტროფული შედეგით დამთავრდება.**

**— საქართველოს ხელისუფლება ამ ნაბიჯზე არ წავა და ამის სურვილიც არ აქვს, — აცხადებს ბათიაშვილი. მისივე შეფასებით, მთავარია, ხელისუფლება არ წამოეგოს რუსეთის პროვოკაციას.**

**რუსეთი იმუქრება, რომ აღიარებს აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, მაგრამ, ბათიაშვილის თქმით, ამ ნაბიჯზე ის ჯერ არ წავა.**

**ბათიაშვილის ინფორმაციით, აფხაზეთში, გალისა და ლათას მიმართულებით მაიკოპის ბრიგადის დამატებითი ძალებია შეყვანილი.**

**ბათიაშვილი ყველაზე დიდ საფრთხეებს კოდორის ხეობისა და გალის რაიონის მიმართულებით ხედავს. მისი აზრით, საჭიროა კოდორის ხეობის მაქსიმალური გამაგრება, ხოლო გალის რაიონში აფხაზების მხრიდან პროვოკაციები არ არის გამორიცხული.**

**რესპუბლიკური პარტიის წევრის განცხადებით, ხელისუფლებას უყვარს არჩევნების წინ ყურადღების სხვა თემებზე გადატანა, მაგრამ ამ სიტუაციაში არსებობს რეალური საფრთხე და ვითარება რეალურად გამწვავებულია.**

**ინტერპრესნიუსი**

# გამოხმაურება

მისტერ ბრაიზამ რა ლამაზად და მართლაც ძმურად დაგვაიმედა, რუსეთმა დამატებითი, „თუმცა ლეგიტიმური“ სამხედრო კონტინგენტი რომ შემოიყვანა აფხაზეთში, ეს ძალიან ცუდი ქმედება არისო, მაგრამ თქვენ დემოკრატიის გზას არ გადაუხვიოთო. აბა, თქვენ იცითო





ჭირი დანახული სჯობს

## ეჰ, კარგი იყო მშვიდი, ჩამტკბარი პრეზიდენტი...

გუშინდელი ფოსტიდან

**ბატონი პრეზიდენტი იყო მშვიდი, მომღიმარი, მჭევრმეტყველი.**

**იყო კეთილგანწყობილი, კეთილისმსურველი და კეთილისმყოფელი.**

**ლაპარაკობდა გულწრფელად, ლოგიკურად, დამაჯერებლად...**

ვიტყვი პირდაპირ: მე მომეწონა პრეზიდენტის სამშვიდობო მიმართვა აფხაზი და ოსი დებისა და ძმებისადმი, დავივიწყოთ რაც იყო და ახალი ცხოვრება დავიწყოთ ერთადო.

ის არასოდეს ყოფილა ასეთი საინტერესო და გულმისასვლელი, არ ყვიროდა, გააფთრებული მუშტებს არ იქნევდა, მოწინააღმდეგეს მოსპობით, განადგურებით არ ემუქრებოდა, ისტორიას არ აყალბებდა.

მან მხოლოდ გადაკვრით (აი ისე, „ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე რომ არის, გვარს არ დავასახელებ“-ქ მიანიშნა „ერთ აგრესიულ ძალაზე“, რომელიც საშველს არ გვაძლევს ქართველებს და მოძმე აფხაზებს, ოსებს...

გაგიხარიათ, კარგი იყო არააგრესიული, ჩამტკბარი პრეზიდენტი.

მაგრამ...

მაგრამ მგონი ძალიან, უიმედოდ დაგვიანებულია ეს მტრედების აფრენა.

სანამ ჩვენი პრეზიდენტი ნებისმიერ მიტინგსა თუ შეხვედრა-შეკრებაზე ქოქოლას აყრიდა და წუნწუხს ასხამდა იმ „ერთ აგრესიულ ძალას“ (ვთქვათ მიუკიბ-მოუკიბავად, — დასავლელი პარტნიორების იმედითა და მხარდაჭერით), იმ „ერთმა აგრესიულმა ძალამ“ ნაბიჯ-ნაბიჯ, წვეთ-წვეთად შექლო აფხაზებისა და ოსების დარწმუნება, რომ მას იქით ხსნა არ აქვთ, იმ დონეზე, რომ აფხაზებს საქართველოს ხსენებაზე თვალები მოხარშული თევზივით უთეთრდებათ.

რის იმედად ვაცხადებდით, რომ „ახალწლის ღამეს ცხინვალში გავითენებდით“, რის საფუძველზე დავუბაკუნეთ ფეხი, თუ აფხაზი სეპარატისტები დაუყოვნებლივ არ გამოუშვებენ დაკავებულ ჟურნალისტს, მას სპეცოპერაციის საშუალებით გავათავისუფლებთო.

მოგვიტანა რამე სხვის იმედად დაუსრულებელმა ფახიფუხ-ბაქი-ბუქმა და ნერვებაშლილმა მრისხანე ტირადებმა?.. ან რა მზვერავი თვითმფრინავების შეგზავნები აგვიტყდა ამ დენთის კასრზე დგომისას?

კვლავ ერთად ვიყოთო...

თქვენს პირს შაქარი, მაგრამ გეთქვათ ეს, ბატონო პრეზიდენტო, მოსვლის უმალ, მთელი ამ ხნის მანძილზე ყოფილიყავით ასეთი კონსტრუქციული და მიმზიდველი.

მოგეგვარებინათ ურთიერთობა იმ „ერთ აგრესიულ ძალასთან“, ნებისმიერი გზითა და საშუალებით, რაკილა თავს ზევით ძალა არ არის, ყოფილიყავით მისთვის პარტნიორი და არა ჩასაფრებული ავისმოსურნე, რომელიც ყოველ წამს მზად არის კვანტის დასადებად. აკი ნათქვამია, დათვი რომ მოგერევა, ბაბა დაუძახეო.

დაგაგვიანდათ, იქამდეც კი, რომ ვითარება ომის ზღვარზეა მისული.

იმ „ერთმა აგრესიულმა ძალამ“ ჯერ ყოველგვარი შეზღუდვა მოხსნა და აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან ფაქტობრივად დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა, ახლა კი დამატებითი სამხედრო კონტინგენტი შეიყვანა კონფლიქტის ზონაში, ანუ ფაქტობრივი ანექსია განახორციელა.

სად არიან მეგობრები, რომელთა ზურგის იმედითაც ხანძრამდე მივიყვანეთ საქმე?

ო, ისინი ადგილზე არიან, უკვე გამოხატეს და კვლავაც გამოხატავენ უკმაყოფილებას შექმნილი ვითარებით, მიილებენ რეზოლუციებს, მიუთითებენ, დაგმობენ და მორჩებიან. ჩვენ კი კვლავაც მარტოდმარტო შევრჩით იმ „ძალას“ პირისპირ უიმედოდ და უსასრულოდ გადადებული, მოუგვარებელი პრობლემებით.

აი, ჩვენმა მისტერ ბრაიზამ რა ლამაზად და მართლაც ძმურად დაგვაიმედა, რუსეთმა დამატებითი, „თუმცა ლეგიტიმური“ სამხედრო კონტინგენტი რომ შემოიყვანა აფხაზეთში, ეს ძალიან ცუდი ქმედება არისო, მაგრამ თქვენ დემოკრატიის გზას არ გადაუხვიოთო. აბა, თქვენ იცითო.

ესეც შენი თავგადაგლეჯილი დახმარება.

ალბათ მართლაც რაღაც განსაკუთრებული უნდა მოხდეს, რომ დასავლეთმა იარაღს სტაცოს ხელი და წინ აგვეფაროს.

ჯერჯერობით ამ თავგამოდების ნიშანიც არ ჩანს!..

და მაინც ამ სტილში გააგრძელეთ, ბატონო პრეზიდენტო, კიდევ ეს სჯობს იმას, რასაც, სამწუხაროდ, მივეჩვიეთ თქვენგან.

იმან სიკეთე არ მოგვიტანა, არც აწი მოგვიტანს.

შეიძლება არც ამ გზამ აღარ დაგვაყაროს ხეირი, მაგრამ ეს მაინც უკეთესია.

**ალექსანდრე კუტალაძე,**
თბილისი

№ 80. ხუთშაბათი, 1 მაისი, 2008 წელი.

ინფორმაცია

### შამბა ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის შექმნას ითხოვს



**გაეროს დამკვირვებელთა მისია 20 აპრილის საჰაერო ინციდენტის გამოძიების მიზნით მხარეებს ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის შექმნას სთავაზობს.**

**ამის შესახებ აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ „რია ნოვოსტის“ განუცხადა. მისივე ინფორმაციით, საგამოძიებო ჯგუფში თბილისის, სოხუმის, გაეროს მისიისა და დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები შევლენ.**

**გაერო ჯგუფის პირველი შეხვედრის გამართვას გალში 2 მაისისთვის გვთავაზობს. აფხაზური მხარე ამ ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას აპირებს. ჩვენი მხრიდან მონაწილეების სია პირველ მაისს უნდა წარვადგინოთ, — განაცხადა დე ფაქტო მინისტრმა.**

**შამბა განმარტავს, რომ გაეროს მისია შეთავაზებას ყველა მხარეს გაუგზავნის, მაგრამ თუ რომელიმე მათგანი ჯგუფის შექმნაზე უარს განაცხადებს, გამოძიება არ ჩატარდება.**

**საქართველოს პოზიციის კომენტირებისას შამბამ განაცხადა, რომ სოხუმი ამ სახელმწიფოებთან საუბარს საერთოდ არ აპირებს. ქართული მხარე 20 აპრილის ინციდენტის გამოძიებას ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის, ესტონეთის, შვედეთის, აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის ექსპერტების მონაწილეობით აპირებს.**

**ეს ანგაჟირებული პუბლიკაა. ნათელია, რომ საქართველომ ისეთი ჯგუფი შეკრიბა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად იმას დაუჭერს მხარს, რასაც საქართველო იტყვის, — განაცხადა შამბამ.**

### შეშფოთებული ევროკავშირი ჩვენ გვიჭერს მხარს

**ევროკავშირი შეშფოთებულია აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში არსებული სიტუაციით, — იუწყება სააგენტო „რია-ნოვოსტი“ ევროკომისარ ბენიტა ფერერო-ვალდნერის განცხადებაზე დაყრდნობით.**

**ჩვენ გვაშფოთებს დაძაბულობის ზრდა, — განაცხადა ფერერო-ვალდნერმა ლუქსემბურგში ჟურნალისტებთან საუბარში.**

**მისივე თქმით, ევროკავშირი თავის მხრივ გააკეთებს ყველაფერს, რათა რუსეთსა და საქართველოს შორის კარგი ურთიერთობები აღადგინოს.**

**ამასთან, ევროკავშირის წარმომადგენელმა ჰავიერ სოლანამ ლუქსემბურგში განაცხადა, რომ ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.**

### ბაღაფში და კოკოითი შეთავაზებაზე უარს ამბობენ



**აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკების პრეზიდენტები სერგეი ბაღაფში და ედუარდ კოკოითი საქართველოს პრეზიდენტის შეთავაზებებსა და ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე უარს აცხადებენ. ამის შესახებ სააგენტო „ინტერფაქსი“ იუწყება.**

**საქართველოსა და აფხაზეთის ერთიან შემადგენლობაში არსებობა შეუძლებელია, — განაცხადა სერგეი ბაღაფშმა.**

**ედუარდ კოკოითის თქმით კი, სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში უკვე იყო და ოსი ხალხი გენოციდის მსხვერპლი არა ერთხელ გახდა.**

**სამხრეთ ოსეთის ხალხმა დამოუკიდებელი სახელმწიფო უკვე აირჩია და ჩვენ — რესპუბლიკის ხელმძღვანელები, ამ გზიდან არ გადავუხვევთ, — განაცხადა კოკოითმა.**



### აფხაზეთში რუსი სამხედროები და ჯავშანტექნიკა შემოდის

**საქართველოს სახელმწიფო საზღვარი მდინარე ფსოუზე რუსულმა ჯავშანტექნიკამ, მძიმე არტილერიამ და დამატებითმა სამხედრო შენაერთებმა გადმოლახა. იუწყება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.**

**რუსეთის ფედერაციამ გადადგა კიდევ ერთი უპასუხიმგებლო და პროვოკაციული ნაბიჯი — საქართველოს ხელისუფლებასთან წინასწარი შეთანხმებისა და თანხმობის გარეშე ცალმხრივად გაზარდა ე. წ. მშვიდობისმყოფელთა რიცხვი აფხაზეთში, — ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

**საქართველოს ხელისუფლება გმობს სამშვიდობო ოპერაციად შენიღბულ აგრესიის ამ აქტს და მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას მიიღონ ადეკვატური, გადამჭრელი და დროული ზომები, საქართველოს მიმართ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული აგრესიის ალსაკვეთად.**




### რუსი პოლკოვნიკი აფხაზეთის მაღალჩინოსანი ხდება

**აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრის მოადგილედ რუსი პოლკოვნიკი ალექსანდრე პავლუშკო დაინიშნა. როგორც ე. წ. თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, გენერალური შტაბის უფროსმა ანატოლი ზაიცევმა განაცხადა, ახალი მოადგილე საბრძოლო მომზადების სფეროს გაუწევს კურირებას.**

**პოლკოვნიკი პავლუშკო რუსული სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში წლების განმავლობაში მსახურობდა და იგი 2007 წლის 30 ოქტომბერს განმუხურში მომხდარი ინციდენტის ერთ-ერთ ორგანიზატორად სახელდება. თუმცა, ზაიცევი აღნიშნულ ინფორმაციას არ ადასტურებს.**

**ვფიქრობ, იმის დაკონკრეტება, თუ სად მსახურობდა პოლკოვნიკი პავლუშკო — სამშვიდობო ძალებში თუ სხვაგან, აუცილებელი არ არის, — განაცხადა ანატოლი ზაიცევმა.**

**დე ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის მიერ პავლუშკოს დანიშვნის შესახებ ბრძანებულება აფხაზურ ე.წ. შეიარაღებულ ძალებში მორიგ სამხედრო მომზადებას დაემთხვა, რომელიც ამჯერად ოჩამჩირის რაიონში მიმდინარეობს.**

### რუსეთის სამხედრო ინტერვენცია გრძელდება



**რუსეთის ქმედებები საბჭოთა დიპლომატიის გაგრძელებაა, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებში სამხედრო ინტერვენციები საბუთებით ხდებოდა. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ბაქრაძემ განაცხადა.**

**სამწუხაროა, რომ რუსეთმა საბჭოთა დიპლომატიის გზა აირჩია. მინდა მათ შევახსენო თუ როგორ დაასრულა არსებობა საბჭოთა ხელისუფლებამ. ჩვენ საქართველოში რუსეთის სამხედრო კონტინგენტის ზრდას ვერ დავთანხმდებით, რადგან გამუდმებით ვისმენთ განცხადებებს, რომ რუსეთი კონფლიქტებში მონაწილეობას მიიღებს როგორც მხარე, — განაცხადა ბაქრაძემ.**

ინტერპრესნიუსი და ХИ-ЕИВ-ЕНИ

საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევს, რომ მხოლოდ ის არის ჭეშმარიტება, რასაც აცხადებს ან თვლის, რომ მხოლოდ ცალმხრივი ინფორმაციის პირობებში მოსახლეობა სინამდვილეს ვერ გაიგებს ან მას მიაჩნია, რომ მართალია ის, ვინც პირველი ამბობს. ამ შემთხვევაში მარტივი თეორია – მე ვთქვი და გინდ დაიჯერე, გინდ არა, გამოკვეთილია



SIC!

# უკმაყოფილების კიდევ ერთი კერა

**შემოქმედებითი გაერთიანებების გაუქმებისა თუ მათთვის შენობების ჩამორთმევა საქართველოში უკვე სამწუხარო ტრადიციად იქცა. დღესდღეობით ჯერი ესთეტიკური აღზრდის ცენტრზე მიდგა, რომლის შენობა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილებით ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს გადაეცა, თვითონ კი საკუთარ შენობაში უკანონო და უუფლებო სუბიექტად იქცა.**

ესთეტიკური აღზრდის ცენტრს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი 1960 წელს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ჯიმშერ მუჯირმა დააარსა, ხოლო შემდეგ, წლების განმავლობაში, ელენე ახვლედიანი კურირებდა. ამჟამად ცენტრში 600-მდე მოსწავლეა, რესპუბლიკის მასშტაბით კი დაქვემდებარებულ შემოქმედებით გაერთიანებებს მოიცავს. აქ არა მხოლოდ ხელოვნების დარგები, არამედ, როგორც თავად ცენტრში აღნიშნავენ, უპირველესად მორალი, ქართველობა და ადამიანობა ისწავლება. მაისში ცენტრს რამდენიმე ფართომასშტაბიანი ღონისძიება აქვს დაგეგმილი, რომლებიც ჩაშლის პირასაა შენობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი პრობლემების გამო.

ესთეტიკური აღზრდის ცენტრი უშედეგოდ ცდილობს მმართველ ორგანოებთან დაკავშირებას. თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მოულოდნელად აღმოჩენილმა ცენტრმა თხოვნით მიმართა პრემიერ-მინისტრს, გადაეყვანათ საპატრიარქოს დაქვემდებარებაში. საპატრიარქოს მხრიდან უკვე აქვთ თანხმობა და მოწონება ამ ინიციატივასთან დაკავშირებით.

– ჩვენ საკუთარი საქმის ერთგული, შემოქმედი ხალხი ვართ. არ გვსურს არც პოლიტიკაში და, მით უმეტეს, არც დაპირისპირებაში ჩართვა. ვფიქრობთ კეთილი ნების პირობებში დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს ამ პრობლემის გადაწყვეტა. დაუშვებელია ფუნქციურად განსხვავებული ორი ცენტრის ერთმანეთით ჩანაცვლება, მით უმეტეს ჩვენ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანიზაცია ვართ. თავისუფლად შეიძლება შენობა კანონიერად გაიყოს ორივე სუბიექტს შორის – აცხადებენ ესთეტიკური აღზრდის ცენტრის თანამშრომლები.

თუმცა მათ შორის უფრო რადიკალური მოსაზრებებიც ფიქსირდება:

– ეს არის მიზანმიმართული დაპირისპირება საარჩევნოდ. ცენტრის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უკან დგას ოჯახები, რაც ათასობით ამომრჩეველს წარმოადგენს. წინასაარჩევნოდ ხელისულებას ხელს არ უნდა აძლევდეს უკმაყოფილების კიდევ ერთი კერის წარმოქმნა. ამიტომ ვფიქრობთ ხელისუფლებაში ვიღაც საკმაოდ გააზრებულად და გამიზნულად მოქმედებს ხელისუფლებისავე საზიანოდ. ეს ფაქტი შეიძლება წარმატებით გამოიყენოს ოპოზიციამ. სამწუხაროა, რომ ჩვენნაირი ორგანიზაციები მავანთა ამბიციებსა და კაპრიზებს ეწირებიან.

**ანა ვეშაგურიძე**

ინფორმაცია

## ჰეიკი ტალვიტიე აღშფოთებულია

**ეუთოს** თავმჯდომარის სპეციალური წარმომადგენელი ჰეიკი ტალვიტიე შეშფოთებულია აფხაზეთში 20 აპრილს მომხდარი საჰაერო ინციდენტის გამო.

ჰეიკი ტალვიტიემ ამის შესახებ საქართველოში ვიზიტისა და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის შედეგებზე საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, ვენაში ეუთოს მუდმივი საბჭოს სპეცილაურ შეხვედრაზე განიხილება ქართული უპილოტო საფრენი აპარატის ჩამოგდების საკითხი.

ტალვიტიეს განცხადებით, ეუთო მხარს უჭერს აფხაზეთში გაეროს მიერ განხორციელებულ ნაბიჯებს და აქტიურად ეძებს გზებს ამ მხარდაჭერის გასააქტიურებლად.

როგორც სპეციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, საქართველოში გამართული შეხვედრებზე, ასევე, იმსჯელეს 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობასა და მზადების მიმდინარეობაზე.

## დაინტერესდნენ დევნილთა პრობლემებით

**ლტოლვილთა** და განსახლების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი კობა სუბელიანი, საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი და აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი მალხაზ აკიშბაია ამბროლაურში დევნილებს შეხვდნენ.

როგორც რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, სტუმრები დევნილების პრობლემებით დაინტერესდნენ. დევნილებს ასევე უფასო სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდათ.

## ნაძალადევში ეკა ბესელიას საარჩევნო შტაბი გაიხსნა

**ნაძალადევის** რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი ეკა ბესელიას საარჩევნო შტაბი დადიანის №120-ში განთავსდა. „შენი დამცველი პარლამენტში“, – ამ ლოზუნგით იწყებს ეკა ბესელია წინასაარჩევნო კამპანიას და აცხადებს, რომ დადიანის ქუჩაზე გახსნილი საარჩევნო შტაბი მოქალაქეებს ყოველდღიურ რეჟიმში მიიღებს.

გაეცნობა მათ პრობლემებს და შეძლებისდაგვარად გადაწყვეტს მათ. თავად მაჟორიტარობის კანდიდატი კი ამომრჩევლებს ყოველდღე 20:00-დან 22:00 საათამდე მიიღებს. ბესელიას განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ მან წარმატება მოიპოვა მისი საარჩევნო რეჟიმი გაგრძელდება არჩევნების შემდგომ პერიოდშიც. არჩევნების შემდეგ იქნება გახსნილი მუდმივი ბიურო, რომელიც იზრუნებს ნაძალადევის რაიონის მოსახლეობის პრობლემების გადაჭრაზე.

ამომრჩევლების ღირსება არ გაიყიდება სააკაშვილის ფულზე და ამას ნაძალადევის რაიონი 21 მაისს დაამტკიცებს, – განაცხადა საარჩევნო შტაბის პრეზენტაციისას ეკა ბესელიამ და დასძინა, რომ გაერთიანებული ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობისთვის არც ერთი მანდატის დათმობას არ აპირებს.

## კუსიანი არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს

**ნაციონალური** მოძრაობის საარჩევნო სიიდან სიის 56-ე ნომერი, დეპუტატი რომან კუსიანი თავისივე სურვილის საფუძველზე ამოიღეს.

როგორც კუსიანმა საუბრისას განაცხადა, მისი გადაწყვეტილება შიდაპარტიული მოვლენებიდან გამომდინარეობს და უკავშირდება ნინო ბურჯანაძის ცნობილ გადაწყვეტილებას, კენჭი არ იყაროს 21 მაისის პარლამენტის არჩევნებში.

დეპუტატის ინფორმაციით, მისი სიიდან ამოღება არა პარტიის გადაწყვეტილებით, არამედ საკუთარი განცხადების საფუძველზე მოხდა.

კონკრეტულ მოტივებზე არ ვსაუბრობ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ამ სიაში ჩემი ადგილი არ იყო და გადაწყვეტილება ბოლო დროს პარტიაში განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება, – განაცხადა კუსიანმა.

**ინტერპრესნიუსი და ХИ-ЭЙЧ-ЭНИ**

გლობუსი

# კონსტრუქციული

**არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ საქართველოს მოსახლეობა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მოჭარბებულად ემოციურ-სტრესულ გარემოში ცხოვრობს, არც იმაში შევცდებით თუ ვიტყვით, რომ საქართველოს დაუდგრომელი ხელისუფლება გარკვეულ დისკომფორტს უქმნის არა მარტო მეზობელ რუსეთის პოლიტიკურ წრეებს, არამედ აფხაზეთის კონფლიქტიდან გამომდინარე, გაეროს მეგობარი ქვეყნებისა და თვით გაეროს პოლიტიკოსებს: დღე ისე არ ჩაივლის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ახალი „უტყუარი“ ფაქტით არ „გაახაროს“ არა მარტო ისინი, არამედ მსოფლიო საზოგადოება, მათ შორის ჩვენც.** სტრესული გარემო განსაკუთრებით ფართოვდება ნებისმიერი სახის არჩევნების წინ და საარჩევნო მარათონის დროს, ამ შემთხვევაში ქვეყნის პირველი პირი სისტემატურად აკეთებს ქვეყნისათვის „უმნიშვნელოვანეს“ განცხადებას ყველა ტელეარხზე, პირქუში სახით. ისე, როგორც ყოველთვის, სალანძღავი ობიექტი ერთია – რუსეთი და მისი ხელისუფლება. **პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადებები არაახალია. მსმენელმა კარგად იცის რა სიტყვას რა მოჰყვება, ამდენად ნაკლებად აღწევს მიზანს, თუმცა ფსიქოლოგთა აზრით მაყურებლის გუნება-განწყობილებაზე უდავოდ ნეგატიურად მოქმედებს. მოჭარბებულმა, თუნდაც სასიამოვნო ერთი და იგივემ მობეზრება იცის, მით უმეტეს უარყოფითმა.**

ასე იყო ამჯერადაც, საქართველოს მზვერავი თვითმფრინავის ჩამოგდების დროს. ასე იყო რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის მიმართ ეკონომიკური სანქციების მოხსნისას, ნატოში გაწევრიანების მსჯელობისას და სხვა. ხელისუფლების განცხადებები მასმედიის წყალობით მოდის ჩვენამდე. მოდის ზუსტად ისე, როგორც ხელისუფლებას აწყობს, ჟურნალისტური ან ექსპერტთა აზრის გარეშე. უფრო მეტიც, ის რაც ხელისუფლებამ დააკლო მასმედიამ შეავსო, ცხადია ნდობის მოპოვების მიზნით. ვინ იცის, როდის დაგიფასებენ და დამსახურებისთვის შესაბამისი სახრავით დაგაკმაყოფილებენ. მაგალითები უხვადაა. ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები ფასდაუდებელი საქმიანობისათვის დღეს დიპლომატიას ამდიდრებენ. **ტელეარხებზე კომენტარის დროს ექსპერტებისა და ჟურნალისტების მოსაზრება იმდენად იდენტურია ხელისუფლების მოსაზრებასთან, რომ მაყურებელს საშური ერთიანობის ილუზია ექმნება. ხელისუფლება-მასმედიის წყალობით ქართული საზოგადოება ცალმხრივი ინფორმაციით არის გადაპიპინებული, რომლის მიხედვით ეკონომიკური აღმავლობაც გვაქვს, კარგადაც ვცხოვრობთ, წარმატებებსაც ვაღწევთ, განსაკუთრებით საერთაშორისო არენაზე, რუსეთსაც ვამარცხებთ და სხვა. ორიგინალურად „დამაჯერებელი“ იყო განცხადება, რომ საქართველოსათვის „მაპის“ პროგრამის არ მიცემა უკეთესია ნატოში შესასვლელად.**

რაც მართალია, „მაპის“ მიუნიჭებლობა, შესაძლოა, მართლაც კარგი იყოს, რამეთუ მან, ამ ეტაპზე მაინც, დაიხსნა საქართველო დე იურე დაქუცმაცებისაგან. დღეს უკვე ნათლად იკვეთება მოსკოვის მოლაპარაკების ძირითადი აქცენტები, ანუ ის, თუ რა თქვა პუტინმა სააკაშვილთან შეხვედრის დროს. ის, რაც საქართველოს წარგზავნილებმა გვიმტკიცეს – პუტინმა ფიცი დადო არასდროს ვაღიარებ სეპარატისტულ რეგიონებსო, რომ ქართველი მეზაჟეები ჩადგებიან საქართველო-რუსეთის საზღვრის საკონტროლო პუნქტში, რომ ქართულმა დიპლომატიამ ბეჭებზე დადო რუსეთი და სხვა, რბილად რომ ვთქვათ არ გამოდგა მართალი, ისე, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ, თვითმფრინავის ჩამოგდებისათვის რუსეთის ყურების დახევა. უშიშროების საბჭომ მხოლოდ მოისმინა ორივე მხარის პრეტენზია, ისე რომ, საქართველოს ხელისუფლების წარგზავნილი ვიდეო მასალა არცკი უნახავს. უშიშროების საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ, გაეროს ფარგლებს მიღმა, გაეროს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება რუსეთის სეპარატისტულ რეგიონებთან თანამშრომლობის თაობაზე და ურჩიეს რუსეთს ძალიან არ შეტოპოს ამ დარგში.

**საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევს, რომ მხოლოდ ის არის ჭეშმარიტება, რასაც აცხადებს ან თვლის, რომ მხოლოდ ცალმხრივი ინფორმაციის პირობებში მოსახლეობა სინამდვილეს ვერ გაიგებს ან მას მიაჩნია, რომ მართალია ის, ვინც პირველი ამბობს. ამ შემთხვევაში მარტივი თეორია – მე ვთქვი და გინდ დაიჯერე, გინდ არა, გამოკვეთილია.**

საერთაშორისო ურთიერთობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნდობის ფაქტორს. ის, რაც დახურულ კარს მიღმა ითქმება, საიდუმლოდ უნდა დარჩეს. მხარეები თანხმდებიან რა ითქვას და რა არა. მიუღებელია სასურველის სინამდვილედ წარმოჩენა. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს არაერთხელ ჰქონია ადგილი ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ. ფაქტების სხვაგვარი ინტერპრეტაცია სერიოზულ გაღიზიანებას იწვევს მხარეში, რასაც მაღალ დონეზე შეხვედრების გამეჩხერება მოჰყვება, რაც ჩვენთვის უცხო არ არის, თუ თვალს გადავავლებთ ბოლო წლების ისტორიას.

მოლაპარაკების მონაწილე პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ქართულ ტელეარხებზე თავის ქება, მიუღწეველი გამარჯვების ზეიმი, აიძულა მეორე მხარე გაებათილებინა საქართველოს ხელისუფალთა განცხადებები. მოსკოვის შეხვედრის დროს ითქვა – გააკეთებთ ამას, ჩვენც თქვენდა სასიკეთოდ მოვიქცევით, თუ არა, წინააღმდეგობას წააწყდებითო. შედეგიც ცხადია – ბუქარესტის ნატოს სამიტი. მართალია მან მთლად ჩალაგამოვლებული არ დატოვა თბილისი და კიევი, მაგრამ პრეტენზიები, რომლებიც იქ დასახელდა, ყოველ შემთხვევაში ა. წ. დეკემბრამდე, შეუსრულებადია.

**იმ მრავალი საკითხიდან, რომლის შესრულებას ნატო საქართველოს ავალებს, არის მთავარი – საკუთარ ტერიტორიაზე კონფლიქტური ვითარების აღმოფხვრა, მეზობელ ქვეყანასთან ტერიტორიული კონფლიქტის გამორიცხვა.**

პრინციპი, რომელიც ნატოში არსებობს – ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის, უმალ ამოქმედდება საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრებისთანავე. სეპარატისტულ რეგიონებთან კონფლიქტი მარტო თბილისის კონფლიქტი კი არა, ბრიუსელის კონფლიქტადაც გადაიქცევა, რაც თავისთავად ქმნის ნატო-რუსეთის კონფრონტაციის საფრთხეს, ჯერაც გამოუცნობი, მძიმე შედეგებით. სწორედ არასახარბიელო პერსპექტივამ გადააწყვეტინა დასავლეთ ევროპას ამ ეტაპზე თავი შეეკავებინა საქართველო-უკრაინის გაწევრიანებაზე. „მსუქან დასავლელ ევროპელ კატებს, რომელთაც არ აინტერესებთ საქართველოს ბედი და



№ 80. ხუთშაბათი, 1 მაისი, 2008 წელი.

**სეპარატისტებთან ურთიერთობა წარმოუდგენლად დაიძაბა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ. ამერიკას აყოლილი ქართველი პოლიტიკოსების განცხადებები, რომ კოსოვოს მაგალითი საქართველოზე არ იმოქმედებს, არ გამართლდა. მან თავისთავად გაუჩინა კითხვა სეპარატისტებს – თუ კოსოვოსთვის შეიძლება, მათთვის რატომ არ შეიძლება?**


# ჩვენ ვაგროვებთ, დააგროვეთ თქვენც!

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

დაგროვება ყველას შეუძლია და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული ჩვენგანისათვის. ბევრ ჩვენგანს ხშირად კითხვაზე „რატომ უნდა დავაგროვოთ“ გვიწევს პასუხის გაცემა. პასუხი კი ამ კითხვაზე ძალიან ბევრი შეიძლება მოიძებნოს. ვაგროვებთ, ვზოგავთ, იმიტომ რომ:

– არსებობს ბევრი რამე, რასაც ვერ შევწვდებით იმ ფულით, რაც დღეს გვაქვს

– დაგროვებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი ადამიანებს ეხმარება მიზნების მიღწევაში, გაუთვალისწინებელი დანახარჯებისთვის მზადყოფნაში, ქონების მოგროვებასა და მომავლის დაგეგმვაში.

– უმჯობესია დაგროვების ადრევე დაწყება, მაშინაც კი თუ მხოლოდ უმნიშვნელო თანხის გადადება შეგიძლიათ.

– დაგროვება, თანხის დაზოგვა არც თუ ისე მარტივია, მაგრამ ეს ყველას შეუძლია, მიუხედავად ასაკისა და ანაზღაურებისა.

დაგროვება არც თუ ისე მარტივია მაშინ, როდესაც ყოველი ლარი გათვლილია, მაგრამ თუ თქვენ გაითავისებთ დაგროვების აუცილებლობას და უპირატესობას, თქვენ აუცილებლად შეძლებთ დაიწყოთ დაგროვება მცირედი თანხით – ზუსტად იმდენით, რამდენის შესაძლებლობაც გაქვთ. განიხილეთ თქვენი დანაზოგი, როგორც თქვენი ვალდებულება ოჯახისა და საკუთარი თავის წინაშე. დღეს გადადებული ფული მომავალში თქვენი გეგმების რეალიზებაში დაგეხმარებათ.

**– დანაზოგი დაგეხმარებათ დაფაროთ გაუთვალისწინებელი ხარჯები**

თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გაიტანოთ თანხა ანაბრიდან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენი ანაბრის ვადა ჯერ არ დასრულებულა. განიხილეთ თქვენი ანაბარი ბანკში, როგორც ყულაბა, რომლიდანაც თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ამოიღოთ თანხა გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის.

**– როცა აგროვებთ, თქვენს შემოსავალს სრულად არ ხარჯავთ**

როდესაც თქვენ ყოველთვიურად მცირედ თანხას გადადებთ, ნახავთ, რომ თქვენი დანაზოგი იზრდება, ისევე როგორც ანაბარზე დარიცხული სარგებელი, ისე რომ შემოსავალს სრულად არ ხარჯავთ.

**– დღეს გადადებული თითოეული ლარი შეიძლება მომავალში განათლებისათვის, ჯანმრთელობისათვის და სხვა მიზნებისათვის გამოიყენოთ**

შედარებით ადვილია თანხის დაზოგვა, თუ თქვენ გახსოვთ ის უპირატესობები, რომელსაც თქვენ შედეგად იღებთ (განათლება, დასვენება, მანქანის შეძენა, რემონტი და სხვ.). აუცილებელია გქონდეთ მტკიცედ განსაზღვრული სამომავლო გეგმები და ემზადებოდეთ მათ განსახორციელებლად.

**– გაქვთ შესაძლებლობა მიიღოთ დამატებითი სარგებელი**

შედარებით ადვილია კრედიტის აღება და ფულის ერთიანად დახარჯვა, მაგრამ ყოველთვის არ არის შესაძლებელი კრედიტის თქვენთვის სასურველ დროს აღება, მაშინ როდესაც ძალიან გჭირდებათ ფული. გარდა ამისა, კრედიტის აღების შემთხვევაში თქვენ ბანკს უხდით პროცენტებს, მაგრამ თუ თქვენ ბანკში ანაბარს გახსნით, ბანკი თქვენ გადაგიხდით პროცენტებს.

**რატომ უნდა დავაგროვოთ ბანკში?**

ანაბარი – ეს არის საბანკო ანგარიში, რომელზეც თქვენ განათავსებთ თანხას გარკვეული ვადით შენახვის, დაგროვების, დაზოგვის და პროცენტული შემოსავლის მიღების მიზნით. მაშინ როდესაც ბანკში აგროვებთ:

– ხართ მშვიდად, რადგან თქვენი დანაზოგი უსაფრთხო ადგილას არის შენახული;

– იღებთ გარანტირებულ სარგებელს;

– დაგროვება ბანკში არ არის ხარჯებთან დაკავშირებული. ანაბრის გახსნა, მომსახურება, ანაბრიდან თანხის გამოტანა ჩვენს ბანკში უფასოა.

– მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ განკარგოთ თქვენი დანაზოგი;

– მხოლოდ თქვენ და სხვა არავის ეცოდინება თქვენი დანაზოგის შესახებ. ინფორმაცია ბანკის კლიენტების შესახებ კონფიდენციალურია;

– არსებობს 2 სახის ანაბარი: ვადიანი და შემნახველი. შემნახველი ანაბრით უმჯობესია ისარგებლოთ იმ შემთხვევაში, როდესაც გსურთ ნებისმიერ დროს განკარგოთ თქვენი თანხა. ვადიანი ანაბარი მოსახერხებელია, თუ გაქვთ გარკვეული დანაზოგი, იცით რომ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ის არ დაგჭირდებათ და გსურთ მიიღოთ მეტი სარგებელი.

„პროკრედიტ ბანკის“ ანაბრების მრავალსახეობა (ვადიანი, მოქნილი, ზრდადი, საბავშვო, შემნახველი ანაბარი და ანაბარი „ჩემი ყულაბა“) საშუალებას გაძლევთ აირჩიოთ თანხის შენახვის და განკარგვის თქვენთვის ყველაზე მოსახერხებელი გზა.

„პროკრედიტ ბანკი“ არის სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი ბანკი. ჩვენ მოსახლეობას ვთავაზობთ გამჭვირვალე საბანკო მომსახურებას. ბანკი აქტიურად უწყობს ხელს დაზოგვის კულტურის დამკვიდრებას საქართველოში.

დღესდღეობით კლიენტთა მოზიდული სახსრები პროკრედიტ ბანკში 270 მილიონ ლარზე მეტია, ხოლო კლიენტთა ანგარიშების მთლიანმა რაოდენობამ 500 000-ს გადააჭარბა. აქედან 100 000-მდე შემნახველი და ვადიანი ანაბრებია. მათი უმეტესობა 1 000 ლარზე ნაკლები თანხისაა. მცირე მოცულობის შემნახველი ანაბრების ასეთი დიდი რაოდენობა ნათლად ასახავს იმ ფაქტს, რომ პროკრედიტ ბანკს მკვეთრი ორიენტაცია აქვს აღებული „პასუხისმგებლობის მატარებელ საბანკო საქმიანობაზე“, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.


გლობუსი

# ურთიერთობისათვის

უნგრეთის გამყიდველ მთავრობას, რომელმაც ბუქარესტის სამიტზე საქართველოს წინააღმდეგაც კი მისცა ხმა“ (ეს სიტყვები ქართველ პოლიტოლოგს ეკუთვნის), უნდა უმადლოდეს საქართველო ტერიტორიების იურიდიულ შენარჩუნებას. რუსეთის განცხადება, საქართველოს ნატოში შესვლა დააჩქარებს სეპარატისტული რეგიონების აღიარებასო, ლიტონი სიტყვები არ არის. რუსეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას, რაც კარგად გაიგო დასავლეთ ევროპამ და ამიტომაც დაამუხრუჭა. ეს ვერ გაიგო ამერიკამ ან მას სხვა მიზნები ამოძრავებს. ვინ იცის გულში რუსეთის საწინააღმდეგოდ ლამპარის აგიზგიზების მომხრეც არის, რაც თავისთავად გადააქცევს საქართველოს სამხედრო მოქმედების თეატრად.

ნატოში შესვლისთვის მეორე ბარიერი, რუსეთთან დაძაბული ურთიერთობაა. მუდამ იმის ძახილი, რომ რუსეთი ახორციელებს საქართველოს ტერიტორიების ანექსიას, აშკარად მიანიშნებს დასავლეთ ევროპელ „მსუქან კატებს“, რომ ალიანსში გაწევრების მსურველი ვერ აკმაყოფილებს ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას – მეზობელთან კონფლიქტური ურთიერთობის მოწესრიგებას. ასე რომ, რუსეთის ლანძღვა ისევ საქართველოს ვნებს.

**ნაკლებად გასაზიარებელია ზოგიერთის მოსაზრება, რომ რუსეთთან დაძაბულობა აიძულებს დასავლეთს ნატოში შეიფაროს საქართველო. მსგავსი რამ უმალ გამოიწვევს სეპარატისტული რეგიონების რუსეთის მხრიდან აღიარებას და არა მარტო რუსეთის მხრიდან. ძნელია იმის დაჯერებაც, რომ ნატო გადაწყვეტს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს. ეს ორგანიზაცია არასდროს ყოფილა ამ დარგში ეფექტიანი ინსტრუმენტი. ამიტომაც არ იღებს ის თავის რიგებში ამ დარგში პრობლემებიან სახელმწიფოს.**

ნატოში შესვლის გარდა საქართველოს ხელისუფლებას სხვა საკითხიც აღელვებს, რაც რუს სამშვიდობოებს ეხება. საქართველოს ხელისუფლება ძალას არ იშურებს რუსი სამშვიდობოების დისკრედიტაციისა და განდევნისათვის. პირველ ეტაპზე ოფიციალური თბილისი სულგრძელობასაც ავლენს, ამბობს რა, რომ რუსეთის სამშვიდობოების განდევნა კი არ სურს, არამედ მათთან ერთად სხვების შემოყვანა. ეს მოსაზრება ძველია. ჩანაფიქრი იმდენად გამჭვირვალეა, რომ დიდი თავის მტვრევა არ არის საჭირო მიზნის ამოცნობისათვის. სხვა სამშვიდობოების, მაგალითად უკრაინელთა შემთხვევაში, ვინაიდან ჯერჯერობით მხოლოდ ისინი გამოთქვამენ სურვილს რუსების ჩანაცვლებაში, ოფიციალური თბილისი გვერდზე გაწევს მათ და შევა ავტონომიად წოდებულ თავისსავე ტერიტორიაზე. თუ რა მოჰყვება ამას ძნელი გამოსაცნობი არ არის. აი ამ ვარიანტის განხორციელებას ემსახურება რუსი სამშვიდობოების დისკრედიტაცია, მზვერავი თვითმფრინავების შეგზავნა „აფხაზეთის საჰაერო სივრცეში“, ანუ საქართველოს საჰაერო სივრცეში. ზოგისათვის სასაცილო არის იმის მოსმენა, რომ თბილისს თავისსავე ტერიტორიაზე ფრენის უფლება არ აქვს. ამაში გასაოცარი არაფერია, ვინაიდან მავანს ნაკლებად მოეთხოვება საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნების ცოდნა, მაგრამ პრეზიდენტს? მისი განცხადება, რომ თვითმფრინავები სადაც მას უნდა იქ იფრენენ – გამოწვევას და მოსკოვის 1994 წლის ხელშეკრულების ფეხზე დაკიდებას ჰგავს. სწორედ ამ ხელშეკრულების წყალობით სერიოზულ სამხედრო დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. ხელშეკრულების მიხედვით აფხაზეთის საჰაერო სივრცე, ისე, როგორც კოდორი, კონფლიქტის ზონად ითვლება და დემილიტარიზებული უნდა იყოს.

გაეროს მოწოდება, რომ თბილისმა სოხუმის მიმართ კონსტრუქციული ნაბიჯი გადადგას, მოწოდებად რჩება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბუქარესტის სამიტის წინ და სამიტისათვის გაკეთებულ განცხადებას. ძნელია ფაქტობრივად დამოუკიდებელი, ათი წლით უკან დააბრუნო საქართველოს ხელისუფლებაში ვიცე-პრეზიდენტის ან სხვა მაღალ პოსტების მიღებისათვის. მსგავსი სატყუარით ქართველ „ბიზნესმენებს“ და ხელოვნების უპრინციპო მუშაკს თუ მოხიბლავ. წინადადებებით, მარტო ამერიკელები ანუ რეალური ავტორები ან თანაავტორები თუ იხიბლებიან. ამიტომაც უწევენ ისინი თავდავიწყებულ რეკლამას.

და ბოლოს იმ რიტორიკის შესახებ, რომელსაც ხშირად მიმართავენ ქართველი პოლიტიკოსები, და რომლის შეწყვეტის შესახებ არაერთხელ მიგვანიშნა გაეროს უშიშროების საბჭომ. ამ მხრივ ბოლოდროინდელმა ლანძღვა-გინებამ, როგორც რუსეთის ხელისუფლების ისე სეპარატისტული რეგიონების ფაქტობრივი ხელისუფლების მიმართ, ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. რაც მთავარია, მან კიდევ ერთხელ დაარწმუნა დასავლეთი, რომ განდეგილებისათვის შეთავაზებული წინადადებები სარეკლამო იყო და უფრო ბუქარესტისათვის იყო გამიზნული. ფაქტიურობისათვის გუშინდელი კამფეტები, დღევანდელი სადამსჯელო კვერთხით შეიცვალა. მსგავსი მიუღებელი ზიგზაგები წინა ხელისუფლებასაც ახასიათებდა, რამაც რწმენა განუმტკიცა სეპარატისტებს, რომ თბილისთან მოლაპარაკება შეუძლებელია. საქართველოს ყველა ხელისუფლების, მათ შორის კომუნისტების მიერ დაშვებული უხეში შეცდომები არ იძლევა მოლაპარაკებისათვის საჭირო კლიმატის შექმნის შესაძლებლობას, ნდობის ფაქტორის გაჩენას.

სეპარატისტებთან ურთიერთობა წარმოუდგენლად დაიძაბა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ. ამერიკას აყოლილი ქართველი პოლიტიკოსების განცხადებები, რომ კოსოვოს მაგალითი საქართველოზე არ იმოქმედებს, არ გამართლდა. მან თავისთავად გაუჩინა კითხვა სეპარატისტებს – თუ კოსოვოსთვის შეიძლება, მათთვის რატომ არ შეიძლება?

ასეთ ვითარებაში ლოგიკურად იბადება კითხვა, რა უნდა ვიღონოთ მათ შემოსაბრუნებლად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ შესაძლებელი – ნდობის ფაქტორის აღდგენა, ლანძღვა-გინების შეწყვეტა. თუნდაც ისეთი გამონათქვამებისაგან თავის შეკავება, რასაც ზოგიერთი პოლიტოლოგი აკეთებს: „მე მეცოდება აფხაზები, ეს პატარა და ამაყი ხალხი, მაგრამ ისინი თავად არიან დამნაშავენი, რაც მოხდა“. საინტერესოა რაში ადანაშაულებს აფხაზებს? ომის დაწყებაში? ან თუ ასე ეცოდებოდა ისინი, რატომ მაშინ არ ამოიღო ხმა, როდესაც თბილისის თხოვნით დსთ-მ უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები შემოიღო მათ წინააღმდეგ? მავანს შეუძლია გაეცნოს დოკუმენტს და თვით გააკეთოს დასკვნები. შეცოდება იმით არის გამოწვეული, რომ რუსები აფხაზებს გაარუსებენ. ამასთან დაკავშირებით აფხაზებმა რამდენიმე წლის წინათ მოსწრებულად განაცხადეს, რომ – ტბაში დახრჩობას, ზღვაში დახრჩობა ურჩევნიათ.

**შეცდომებისაგან არავინაა დაზღვეული. შეცდომებს ვუშვებთ ყველა, შესაძლოა ყოველ საათსა და წუთს, ჩვენი შეცდომები ჩვენს თავსა და ირგვლივმყოფთ ვნებთ, ფართო საზოგადოებაზე ის ნაკლებად აისახება. სხვაა პოლიტიკოსის, ქვეყნის მეთაურის დაშვებული შეცდომები. ის მთელ ქვეყანაზე მოქმედებს და მრავალი წლით აფერხებს მის განვითარებას. ასეთ შეცდომებს მიეკუთვნება 1992 წელს აფხაზეთის მიმართ გადადგმული მილიტარისტული ნაბიჯი და მასზე ადრე ცხინვალის მიმართ ჩატარებული ოპერაცია. ქართული საზოგადოება რახანია მოითხოვს აღნიშნული მოვლენების სერიოზულ შესწავლას – გამოქვეყნებას, თუმცა უშედეგოდ. ნდობის აღდგენისათვის, პირველ ეტაპზე ამის გაკეთება აუცილებელია. სწორედ მან უნდა მისცეს ბიძგი კონსტრუქციულ მოლაპარაკებას და არა ლანძღვა-გინებამ.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

**ამათი თქმით, გამოდის, რომ ქვეყნის აფთიაქარ-ბოსები არსენას არშინით მუშაობენ, ოღონ იმ განსხვავებით, რომ ისინი საპირისპირო სლოგანით მოქმედებენ – ღარიბს ართმევენ და მდიდარს აძლევენ... რას იზამს, ამ მთავრობამ მარტო საკუთარი ქმედება კი არა, სამკურნალწამლო მორალიც თავდაყირა დააყენა!**

ავერსი
ლიდერი ლიდერთა შორის
ავერსი AVERSI






## სამკურნალწამლო ბიზნესი

# ღარიბს ართმევ, მდიდარს აძლევ...



## აფთიაქია თუ მიკირტუმას დუქანი?

**ასაკმა თავისი ქნა, წამალი ჩემი განუყრელი „მეგობარი“ გახდა. დღე ისე როგორ გაივლის, შინ მედიკამენტების ბოხჩით ხელდამშვენებული არ დავბრუნდე. გუშინაც, მეტროდან ამოსულმა, უპირველესად სასურსათო მაღაზიას კი არა, აფთიაქს მივაშურე, სადაც ჩემდაუნებურად უხერხულ საუბარს გადავეყარე.**

– შვილო, შენ გაზრდას, გრიპმა შამაღონა და „ტაიქოლდი“ მომეცი, – სთხოვა ჯოხზე დაყრდნობილმა მოხუცმა წამლებს შორის მოცქრიალე ქერა გოგონას, თან ჯიბე მოიქექა და ზედმეტი ხმარებისგან ერთიანად გაცრეცილ-დაძენძილი ლარიანი გაუწოდა.

– ლარი არ ეყოფა, ბაბუ, კიდევ უნდა დაამატო.

– ათიანს არ გეუბნები, შვილო, სამაბიანი მომეცი.

– სწორედ მაგ სამაბიანს უნდა 1 ლარი და 65 თეთრი.

– რას მეუბნები, – შეიცხადა მოხუცმა, – ადრე 90 თეთრად ვყიდულობდი?

– ეგ ადრე იყო, ბაბუ, მას შემდეგ წამლები ბარე სამჯერ გაძვირდა.

– კარგით, შვილებო, კარგით, მეტი რა ჩარაა, ისევ ცაცხვის ჩაის დავლევ, – თქვა და წასვლა დააპირა, მაგრამ თითქოს რაღაც გაახსენდაო, ისევ შეტრიალდა:

– ხვალ პენსია იქნება, – გული დაიმშვიდა ბერიკაცმა, – „ტაიქოლდს“ უეჭველად ვიყიდი, მაგრამ ისიც მინდა გავიგო, „ომნიკის“ შესაძენად რამდენი დამჭირდება?

აფთიაქარმა კომპიუტერში ჩაიხედა და პასუხი უმალვე დაუბრუნა:

– 70 ლარი, ბაბუ.

– ვა, გულთმისნები არიან, – გაკვირდა მოხუცი, – საიდან გაიგეს, რომ პენსია 70 ლარი გამიხდა?

– ეტყობა გაიგეს, – ირიბად ჩაიღიმილა ქერამ, – ზემოთ ყველაფერი იციან, ბაბუ, და იმის მიხედვით ადებენ ფასებს.

– მაგრამ ჭამაც რო მინდა, ეს აღარ იციან? – ცოტა არ იყოს, გული მოუვიდა პენსიონერს, – თუ ფული აღარ დამრჩა, შვილებო, გინდა უწამლობას მოვუკვლივარ და გინდა შიმშილს, რა ბედენაა!

– არც მასეა საქმე, ბაბუ, პენსიონერებს წამლებს 10 პროცენტის ფასდაკლებით ვაძლევთ. ასე რომ, იმ 70 ლარიდან კაი 7 ლარის მოგება დაგრჩება, – გული გაუკეთეს ბერიკაცს.

– იი, ჩემ მტერს დარჩა მაგეთი მოგება, მაგ 7 ლარითა, შვილებო, საჭმელი ვიყიდო, დენის ფული გავისტუმრო თუ გაზისა? – უმალ გამოითვალა პენსიონერმა ის თანხა, რასაც მთავრობაში კარგახანია ითვლიან, მაგრამ ვერ გამოუთვლიათ.

– „ომნიკის“ შემცვლელი რომ მოგცეთ, ბაბუ?

– რომელი შემცვლელი, შვილებო? – დაინტერესდა ბერიკაცი.

– აი, მაგალითად, „პროსტამოლი“, ფასდაკლებით სულ რაღაც 24 ლარამდე დაგიჯდებათ.

– მაგას კაიხანია ვსვამ, ჩემო კარგებო, მაგრამ ვერაფერი მიშველა. ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი, მთავარია მთავრობა გვყავდეს კარგად, თორემ მე რაღა საკითხავი ვარ, – ჩაიქნია ხელი მოხუცმა და ჯოხის ბაკუნით კარისკენ გალასლასდა.

– მაგრა იყავი, ბაბუ, მაგრა! – მიაძახეს აქეთ-იქიდან პენსიონერს კეთილისმსურველმა აფთიაქარებმა.

რა კარგია, გავიფიქრე, სამკურნალწამლო ურთიერთობებში ესთეტიკამ რომ დაიმკვიდრა. ძველად ამას სად ნახავდი. მართალია მაშინ მედიკამენტები რაღაც კაპიკები ღირდა, მაგრამ სამაგიეროდ არ იყო ესთეტიკა – წამალს ისე მოგიგდებდნენ, ზედაც არ შემოგხედავდნენ, აგე ახლა პენსიონერმა მართალია წამლის ყიდვა ვერ შეძლო, მაგრამ ჯანმრთელობის სურვილი გზაში მაინც დააყოლეს. აი, ვინც მედიკამენტების ნაღდი მყიდველია, იმას ხომ მთლად ზედ გადასდევენ – კარამდე აცილებენ და ორმაგი და ზოგჯერ სამმაგი ჯანმრთელობითაც ასაჩუქრებენ.

ასე უნდა, აბა როგორ, ხომ შეიძლება წამლების ფასის გამუდმებული მატებით გაღიზიანებულ მომხმარებელს პროტესტის გრძნობა გაუჩნდეს, აფთიაქში ერთი ალიაქოთი ატეხოს და გაბრაზებულ გულზე მთავრობის გადადგომაც კი მოითხოვოს? ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ აძლევთ ხელს საააფთიაქო ქსელის თავკაცებს, რომელთაც, როგორც ამბობენ, სახელისუფლებო ბოსებთან მეგობრულ-ძმაკაცური ურთიერთობები აკავშირებთ.

ჰოდა, თუ გინდა ეს შეხმატკბილება არ მოიშალოს, მომხმარებელს ისე უნდა მოემსახურო, რომ ათმაგად გაძვირებული წამლებიც იაფად მოეჩვენოს. ყოველ შემთხვევაში, რომც არ მოეჩვენოს, არ განერვიულდეს და არ აყვირდეს მაინც. ამისთვის წამალზე უკეთესი წამალია ორი სიტყვით უსურვო: ჯანმრთელად იყავი!

ასეთი სურვილის შემდეგ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ქართველს იმდენი კულტურა კი შერჩენია, არ შემოგაგინოს, ღიმილით დაგემშვიდობოს და შინისკენ მიმავალ გზას ღიღინ-ღიღინით გაუყვეს. მართალია, შინ მისულს, წამლების ამოლაგების შემდეგ შეიძლება პროტესტის გრძნობა კვლავ მოექაოს, მაგრამ ამას უკვე ტელერეკლამა გაუქარვებს, თანაც თუ ყაბზობა, ანუ კუჭში შეკრულობა აწუხებს და ამ უხერხული პრობლემის დელიკატურ გადაწყვეტას სთავაზობენ, რა გული გაუძლებს, სმენად არ გაიკრიფოს?

შეიძლება იმ წამლის მოხმარებამ, რომელსაც სთავაზობენ, ძალიანაც გაანერვიულოს, რადგან საჭმელზე ძვირი მისი მონელება დაუჯდება („გუტალაქსი“, მაგალითად, კაი 15 ლარი ღირსძ, მაგრამ იმის შეგრძნებას, რომ უხერხულ პრობლემას სულ იოლად და თანაც დელიკატურად მოიცილებს, რომელი დანახარჯი შეედრება!

მედიკამენტების სიძვირეზე გამახსენდა. რამდენჯერ მსმენია საყვედური: ამ წამლებს ყველა თავის ქეიფზე რომ ადებს ფასებს, ბოლოს და ბოლოს აფთიაქია თუ მიკირტუმას დუქანიო? ამას, მე მგონი, უფრო „ავერსისა“ და „პსპ“-ს მესვეურთა გასაგონად ამბობენ, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ, რომ აღნიშნული კომპანიები ქართული სამკურნალწამლო ბიზნესის გამორჩეული ლიდერები არიან. ჰოდა, თუ ლიდერები არიან, რაღას ვერჩით, ფასების ზრდაშიც ხომ უნდა ილიდერონ?

ეს ჩემი პირადი აზრია, მთავრობისა არ გეგონოთ (მას, რა თქმა უნდა, შეუძლია, სრულიად საწინააღმდეგო აზრისა იყოსძ, თუმცა ერთი რამ ჩემთვისაც გაუგებარია: ამ ორი ლიდერიდან რანაირად ხდება, რომ ერთი („პსპ“ძ მხოლოდ ლიდერია, ხოლო მეორე („ავერსი“ძ ლიდერთა შორის ლიდერი? საინტერესოა, „პსპ“-ს საააფთიაქო ქსელის გარდა კიდევ ვინ მოიაზრებიან ლიდერებად, ისინი ხომ არა, წამლებს ვითომ „საბითუმო ფასებში“ რომ ყიდიან?

თუმცა, რას ავიჩემე ეს ლიდერები, ისეთებიც ხომ არიან, რომლებსაც „პსპ“-ისა და „ავერსი“-სთვის ლიდერობა ეცოტავებათ და მათ მონოპოლისტებად და ოლიგარქებადაც კი ნათლავენ? ამას წინათ ლეიბორისტული პარტიიდან ვიღაც მიმტკიცებდა, მაგათი თავკაცები აფთიაქში ფასებს ყოველდღიურად იმიტომ ზრდიან, რომ სამთავრობო კლანებთან არიან შეკრული და ღატაკი ხალხის კისრიდან ამოღებულ ფულებს თანაბრად ინაწილებენო.

მოდი და დაუჯერე, რას აღარ იტყვის განაწყენებული კაცის ენა, მით უფრო ოპოზიციონერისა. მე მათ ვეკითხები: კი მაგრამ, თუ მართლა ოლიგარქები და ყაჩაღები არიან, ქველმოქმედებას როგორღა ეწევიან? წარმოიდგინეთ, ამაზეც აქვთ პასუხი: ქველმოქმედება უდიდესი მადლია, მაგრამ ეგენი ამას მადლის საქმნელად კი არა, არჩევნებზე ხალხის მოსყიდვის მიზნით აკეთებენო. ნათქვამის საილუსტრაციოდ უფლის ნაუბარს იშველიებენ: „როცა მოწყალებას გასცემ, ნუ გაახმაურებ შენს წინაშე, როგორც თვალთმაქცნი აკეთებენ, რათა ხალხმა აქოს ისინი“. ეგენი ზუსტად ისე იქცევიან, ტელევიზიით ახმიანებენ – ნახეთ რა სასწაულებს ჩავდივართო, სინამდვილეში კი თვალთმაქცობენ, წამლებზე გაათამაგებული ფასებით ხალხს ტყავს აძრობენ, იმათ კისრიდან ამოღეული ფულის მცირე ნაწილს, ქვეყნის თვალის ასახვევად, ქველმოქმედებას ახმარებენ, უფრო დიდ ნაწილს კი მსხვილ-მსხვილ ჩინოვნიკებთან ერთად იჯიბავენ.

ამათი თქმით, გამოდის, რომ ქვეყნის აფთიაქარ-ბოსები არსენას არშინით მუშაობენ, ოღონ იმ განსხვავებით, რომ ისინი საპირისპირო სლოგანით მოქმედებენ – ღარიბს ართმევენ და მდიდარს აძლევენ... რას იზამს, ამ მთავრობამ მარტო საკუთარი ქმედება კი არა, სამკურნალწამლო მორალიც თავდაყირა დააყენა!

**ოთარ ხუციშვილი**

## მხარე

# ოცნება ფრთებს ისხამს 16 წლის შემდეგ

***სენაკის რაიონის გაზიფიცირების სამუშაოები ჯერ კიდევ 1990 წელს დაიწყო. მაშინ ქალაქის მოსახლეობის 60-მა პროცენტმა მიიღო გაზი. სამწუხაროდ, სენაკელთა სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან დასავლეთ საქართველოში დატრიალებული ცნობილი მოვლენების შემდეგ ქალაქი ცისფერი ალის გარეშე დარჩა. მაშინდელი ხელმძღვანელობის განმარტებით, არეულობისას ქალაქში დაზიანდა გაზის მაგისტრალი, ასევე, ორი მთავარი მარეგულირებელი სადგური, გაიძარცვა გაზის საშუალო წნევიდან დაბალ წნევაზე გადამყვანი ხუთი კარადა, 11 ელექტროქიმიური კოროზიის საწინააღმდეგო და მიწისქვეშა გაზსადენების დამცველი მოწყობილობა და სხვა.***

თხუთმეტი წლის შემდეგ სენაკელთა სამართლიანი მოთხოვნა ყურად იღეს შესაბამისმა ორგანოებმა. გამოიყო სათანადო თანხა და სარეაბილიტაციო სამუშაოებიც დაიწყო. უპირველესად, ახალსოფლის ცენტრალური მაგისტრალიდან გაზი ქალაქში შემოიყვანეს. სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება საკუთარ თავზე აიღო შპს „გასკო“-მა, რომელსაც გამოცდილი სპეციალისტი სოსო დგებუაძე უდგას სათავეში. თავდადებული გარჯის შედეგად ჯერ კიდევ 2007 წელს აღადგინეს ცენტრალური მაგისტრალის საშუალო წნევის გაზსადენის 11-კილომეტრიანი მონაკვეთი რაიონული ბიუჯეტის დაფინანსებით. ამის შედეგი ის იყო, რომ შარშან რუსთაველის ქუჩის №211-ში 15 წლის შემდეგ პირველად მოქალაქე ყურაშვილის ბინაში ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირადად აანთო ცისფერი ალი და სენაკელებს მოსახლეობას გაზის მიწოდების აღდგენა მიულოცა.



– შპს „გასკო“ კერძო ფირმაა, რომელიც საცხოვრებელ ბინებსა თუ კერძო სახლებში გაზსადენი ქსელების სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებს და ახალი ქსელები გაჰყავს, – გვითხრა ფირმის გენერალურმა დირექტორმა **სოსო დგებუაძემ**. – საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციამ, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ ჩვენ მოგვცა სენაკსა და მთელ რაიონში მოსახლეობის გზით უზრუნველსაყოფად გაზის გამანაწილებელი ქსელის მშენებლობის, გაზმომარაგებისა და ექსპლუატაციის ნებართვა და ლიცენზია. ხელისუფლებამ გაითვალისწინა მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და გაზით მათი უზრუნველყოფის მიზნით გაწეული ხარჯები განვადებით დაიფარება.

**– დიდ საქმეს შეჭიდებიხართ, ბატონო სოსო. მარტოს, ალბათ, გამიჭირდებათ. ვინ გეხმარებათ?**

– უპირველესად, „საქთხევადგაზისა“ და მარეგულირებელი კომისიის ხელმძღვანელები. პრაქტიკულ დახმარებას გვიწევენ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის თავკაცები და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორი ზაზა გოროზია. თუ ასეთი თანადგომა იქნება, სენაკელთა ოცნება მალე რეალობად იქცევა.

**გურამ მისაბიშვილი, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი:** ქალაქში ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენის დღიდან სარეაბილიტაციო სამუშაოები წარმატებით გრძელდება. ამჟამად გაზს ქალაქის 450-ზე მეტი ოჯახი იღებს. სამუშაოები მანამ არ შეწყდება, სანამ ცისფერი ალი რაიონის მოსახლეობის ყველა სახლში არ აინთება.

ესაუბრა
**იოსებ გობეჩია**
**„სრ“ საკ. კორ. სენაკი**

# უცხოური პრესა

საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაცია დღეისათვის, ალბათ, ყველაზე სკანდალურია მსგავს შემთხვევებთან შედარებით, რომლებიც ხორციელდებოდა სხვადასხვა ცხელ წერტილებში




## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მშვიდობისმყოფელები თუ მქევლები?

**ბრიუსელში გაიმართება რუსეთი-ნატოს სხდომა, რომელზეც, როგორც ელოდებიან, განხილული იქნება საკითხი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სიტუაციის გამწვავებასთან დაკავშირებით. წინა დღით რუსეთმა განაცხადა თავისი სამშვიდობო კონტინგენტის გაძლიერების შესახებ საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ახალი კრიტიკა მოსკოვის მისამართით თბილისისა და მისი დასავლეთელი პარტნიორების მხრიდან.**

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ალექსანდრ კოლმაკოვი აღნიშნავს: „ჩვენ შევასრულებთ ჩვენს მისიას, როგორი მოწოდებებიც არ უნდა გაისმოდეს ნატოს შტაბ-ბინიდან“. ასე გამოეხმაურა გენერალ-პოლკოვნიკი ალიანსის მიერ უკვე უარყოფილ ცნობას ქართული ინფორმაციის მასობრივი საშუალებებისა იმის შესახებ, რომ ნატოს ყველა ქვეყანა გამოვიდა კონფლიქტების ზონიდან რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის გამოყვანის მხარდაჭერით. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ ვითარება „გვიკარნახებს დსთ-ს კოლექტიური ძალების პირადი შემადგენლობის გაზრდის აუცილებლობას მშვიდობის შესანარჩუნებლად“. ეს ნაბიჯი გადაიდგა „ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია საქართველოს მხრიდან მადესტაბილიზებელი ხასიათის ზომების მიღებით“.

მათ შორის დასახელებულია: 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის ხელშეკრულებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის დარღვევა საქართველოს სამხედრო და პოლიციური ძალების კონტინგენტის განთავსებასთან დაკავშირებით ზემო აფხაზეთში; ქართული მზვერავი თვითმფრინავების ფრენის გააქტიურება უსაფრთხოების ზონის თავზე; თბილისის უარი, გაეროს გენერალური მდივნის რეკომენდაციის მიუხედავად, დახუროს სამხედრო პატრიოტული ბანაკი „პატრიოტი“, რომელიც პროვოკაციების წყაროდ იქცა.

უკანასკნელი დროის მოვლენები არაჯანსაღ ატმოსფეროს ქმნიან რუსეთი-ნატოს შეხვედრის წინ. შეგახსენებთ, რომ დასავლეთმა გააკიცხა პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გადაწყვეტილება, თბილისის გვერდის ავლით, გაუწიოს ჰუმანიტარული დახმარება რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს, რომლებიც იმყოფებიან კონფლიქტის ზონაში, აგრეთვე დააკისრა მოსკოვს პასუხისმგებლობა ქართული უპილოტო მზვერავი თვითმფრინავის ინციდენტისათვის, რომელიც ჩამოგდებული იქცა 20 აპრილს აფხაზეთის თავზე. ამას გარდა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ნატომ ეჭვქვეშ დააყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ „შეუძლია კი რუსეთს შეასრულოს შუამავლის ფუნქცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში“. ასეთი პოზიცია, მართალია, არ შეესაბამება საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ვერსიას, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ ალიანსის მოთხოვნას სამშვიდობოების გამოყვანის შესახებ, მაგრამ მაინც მოსკოვისათვის არის სერიოზული ნიშანი.

დასავლეთი, რუსეთისაგან განსხვავებით, არ მიიჩნევს მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკას პროვოკაციულად. ამერიკის შეერთებული შტატები და ნატო სულ უფრო მეტ შეუპოვრობას იჩენენ იმისათვის, რომ შეიცვალოს სამშვიდობო ოპერაციების ფორმატი აფხაზეთში და შემცირდეს რუსეთის გავლენა რეგიონში.

როგორც ჩანს, მოსკოვისა და დასავლეთის ძირითადი სახელმწიფოების შეხედულებანი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. და ველოდოთ მხარეების ურთიერთგაგებას, ჯერჯერობით ამის იმედი არ არსებობს. უფრო მეტიც, დაძაბულობის მორიგ მომენტად შეიძლება გადაიქცეს რუსეთის გადაწყვეტილება სამშვიდობო კონტინგენტის გაძლიერების შესახებ. იგი ხომ მიღებულია ამ მისიისადმი ნდობის გამოხატვის ფონზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი რიგი ქვეყნების მხრიდან.

საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაცია დღეისათვის, ალბათ, ყველაზე სკანდალურია მსგავს შემთხვევებთან შედარებით, რომლებიც ხორციელდებოდა სხვადასხვა ცხელ წერტილებში. კოსოვოში საერთაშორისო ძალების ყოფნაც კი – მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ამან გამოიწვია განხეთქილება. ცნობილია, რომ ნებისმიერი სამშვიდობო ოპერაციის წარმატების საფუძველი არის შეთანხმება მისი განხორციელების შესახებ მოკონფლიქტე მხარეების მიერ, აგრეთვე დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის კონსენსუსის მიღწევა. სამხედრო მოსამსახურეთა უსაფრთხოება და ავტორიტეტი პირდაპირ არის დამოკიდებული აღნიშნულ ფაქტორებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მშვიდობისმყოფელები აღმოჩნდებიან გარკვეული პოლიტიკის მქევლებად, აქედან გამომდინარე ყოველგვარი რისკით.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# საქართველოს ტელევიზია ნატოს წაქეზდა

**შემთხვევითი არ არის, რომ ოპოზიციონერები საქართველოს სამთავრობო ტელეარხებს „სააკაშვილის სპეცნაზს“ უწოდებენ. ამჯერად შემზარავი დავის ცენტრში აღმოჩნდა საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზია. ნატოს ოფიციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი ბრალს სდებს ჟურნალისტებს მისი სიტყვების „საზიზღარ დამახინჯებაში“.**

ალიანსის წარმომადგენელი ასეთი ემოციური, ალბათ, არასოდეს ყოფილა. „ეს საშინელი, ყველაზე ცუდი დამახინჯებაა ინფორმაციისა, რასაც კი შევხვედრივარ“, – აღნიშნა მან. საკითხი შეეხებოდა აპატურაის ინტერვიუს ქართველ ჟურნალისტებთან ნატოს საბჭოს სხდომის – ფორმატით „26 პლუს 1“– შედეგებთან დაკავშირებით. საქართველოს აქ წარმოადგენდა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, ამჟერად კი მიხეილ სააკაშვილის სპეციალური წარმომადგენელი და მმართველი პარტიის საარჩევნო სიის ნომერ პირველი პირი დავით ბაქრაძე. სხდომის შემდეგ საზოგადოებრივმა ტელევიზიამ გადასცა აპატურაის კომენტარები. მას წინ უძღოდა ტექსტი: „ალიანსის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თქვა, რომ საქართველომ ნატოს ქვეყნებთან ერთად უნდა გააგრძელოს კონსულტაციები საქართველოს კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოების ფორმატისა და რუსეთის სამშვიდობო ძალების შეცვლის შესახებ“. შემდეგ კი წავიდა ინტერვიუს სინქრონული თარგმანი, რომელშიც აპატურაიმ, თითქოს, თქვა: „საქართველომ ნატოსთან ერთად უახლოეს მომავალში უნდა განიხილოს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი“.

– მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს ცნობა სრული სიცრუეა. მე ამის მსგავსი არაფერი განმიცხადებია და ნატოს საბჭოზეც ამგვარი არაფერი თქმულა, – თქვა აპატურაიმ მეორე დღეს. – ალიანსის არც ერთ ქვეყანას არ განუცხადებია, რომ სამშვიდობოები გამოყვანილ უნდა იქნენ კონფლიქტის ზონიდან ან ისინი უნდა შეიცვალონ სხვა ძალებით.

ეს „მთარგმნელობითი სკანდალი“ პირველი შემთხვევა როდია და, ალბათ, არც უკანასკნელი სააკაშვილის კარის ჟურნალისტების სასამსახურო სიაში. მართალია, დღემდე უფრო ხშირად „გამოირჩეოდნენ ტელეკომპანია „რუსთავი“-2 და „ მზე“.

ტელეინტერვიუებისა და უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ორიგინალების და მათი თარგმანების შედარება ზოგჯერ ერთობ სახალისო საქმეა. სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტის მოწინააღმდეგეთა გამოსვლებიც ზოგჯერ იცვლება მნიშვნელოვნად, სადაც ოპოზიციის ლიდერები გამოიყურებიან ლამის გულმხურვალე მომხრეებად სააკაშვილისა.

**ალექსანდრე იაშვილი**

ИЗВЕСТИЯ

# რუსეთი საქართველოს უპასუხებს

**რუსეთი არ აპირებს საქართველოსთან ომს. აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მოსკოვის გადაწყვეტილებანი მიზნად ისახავს იქ მცხოვრები რუსი მოქალაქეების უფლებების დაცვას.**

მაგრამ სერგეი ლავროვი აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელმძღვანელობას შეუძლია ულიარებელ რესპუბლიკებთან პრობლემის მოგვარების ძალოვანი გადაწყვეტილების ვარიანტის განხილვა. საქართველოს ხელმძღვანელობა ყიდულობს შეტევითი შეიარაღების მნიშვნელოვან რაოდენობას. თავის მხრივ, ულიარებელი რესპუბლიკებიც მზად არიან დაიცვან თავი საქართველოსაგან. საქართველოს მხრიდან რუსეთის მისამართით მწვავე კრიტიკის შემდეგ მოსკოვის მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან



დაკავშირებით ეკონომიკური სანქციების მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილებისა და პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განკარგულების გამო გაუწიონ ულიარებელ რესპუბლიკებში მცხოვრებ რუს მოქალაქეებს საგნობრივი დახმარება, სიტუაცია შეიძლება შემობრუნდეს, როგორც სამხედრო კონფლიქტი.

„საქართველოს ხელმძღვანელობა პირდაპირ ან ფარულად იძენს შეტევითი შეიარაღების მნიშვნელოვან რაოდენობას“. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სამშაბათს გამოვიდა პრესკონფერენციაზე ლუქსემბურგში, რათა მოეთხრო მოსკოვის შემდგომ მოქმედებებზე. პირველ რიგში მან დაამშვიდა საერთაშორისო თანამეგობრობა სიტყვებით იმის შესახებ, რომ რუსეთი არ აპირებს საქართველოსთან ბრძოლას. „რუსეთი არ აპირებს ეომოს საქართველოს“, – განაცხადა მინისტრმა.

მაგრამ მისი სიტყვებით, არის ფაქტები, „რომლებიც მეტყველებენ იმაზე, რომ საქართველოს ხელმძღვანელობას შეიძლება ჰქონდეს გეგმები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების ძალოვანი გადაჭრის თაობაზე“.

კონფლიქტის სამხედრო სიბრტყეზე გადაყვანის სერიოზული საფრთხე წამოიჭრა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მკაცრი განცხადების შემდეგ, რომელიც გვპირდებოდა, რომ მკაცრად უპასუხებდა თბილისის ნებისმიერ მცდელობას, გამოიყენოს ძალა „ცისფერჩაფხუტიანებისა“ და ულიარებელ რესპუბლიკებში რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ. აგრეთვე იტყობინებოდნენ 15 დამატებითი სამეთვალყურეო პოსტის ორგანიზაციის შესახებ საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში, რომლებიც იხსნება „ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით“.

კონფლიქტის ზონებში სამშვიდობო კონტინგენტის გაზრდას საქართველომ უწოდა ფაქტორები, რომლებიც ახდენენ ძალადობის ესკალაციის პროვოცირებას. მაგრამ, ლავროვის სიტყვებით, სამშვიდობოების რიცხვი შეესაბამება საერთაშორისო ხელშეკრულებათა რაოდენობას. მით უმეტეს, რომ ბოლო მომენტამდე იგი „სრულად არ იყო მოყვანილი მოქმედებაში“, ამიტომ „რუსეთის სამშვიდობოების დამატებითი შეყვანა კოლექტიური ძალების შემადგენლობაში მშვიდობის შესანარჩუნებლად ხორციელდება საერთოდ შეთანხმებული რაოდენობის შესაბამისად“.

მისივე სიტყვებით, თვითმფრინავის ფრენა აფხაზეთის საჰაერო სივრცეში გაეროს წარმომადგენლების შეფასებით არის „კონფლიქტის ზონაში დაწესებული რეჟიმის უხეში დარღვევა“. რუსეთის დიპლომატის მეთაური დაჰპირდა ევროკავშირის წარმომადგენლებს, რომ გადასცემს მათ „დამადასტურებელ საბუთებს საქართველოს მხრიდან შეთანხმებების დარღვევების შესახებ“. ამრიგად მალე უნდა ველოდოთ ევროკავშირის მხრიდან ახალ განცხადებებს საქართველო-აფხაზეთისა და საქართველო-ოსეთის კონფლიქტის თაობაზე.

სერგეი ლავროვის გარდა სიტუაციაში სიცხადის შეტანას შეეცადა თავად რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყება. ადრე სმოლენსკის მოედანზე აცხადებდნენ, რომ რუსეთის ნაბიჯები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით მიზნად ისახავს რუსეთის მოქალაქეთა უფლებების დაცვას ამ ულიარებელ რესპუბლიკებში მაშინ, როდესაც საქართველო აქ აძლიერებს თავის სამხედრო ძალებს. ერთ-ერთმა პირველებმა საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფების რაოდენობის გაზრდის შესახებ განცხადებები გააკეთეს ულიარებელი რესპუბლიკების ლიდერებმა – აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველო ამზადებს პლაცდარმს სამხედრო ოპერაციისათვის კოდორის ხეობაში. საიტზე უწყების მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოს სამხედრო და პოლიციური ქვედანაყოფების რაოდენობამ კოდორის ხეობაში გადააჭარბა 1500 კაცს. იქითკენვე გადაჰყავთ არტილერია, სურსათი და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს ინფორმაცია უმალვე უარყო, უწოდა მას „აშკარა დეზინფორმაცია“.

აფხაზეთმაც გაგვიზიარა თავისი დაზვერვის მონაცემები. აფხაზეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა გალის რაიონში რუსლან ქიშმარიამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის საზღვრების მახლობლად კოდორის ხეობის ზემო ნაწილში თავმოყრილია 7 ათასი ქართველი სამხედრო მოსამსახურე.

„საქართველოს სამხედრო ბაზაზე სენაკში, აფხაზეთის საზღვართან რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით, თავმოყრილია 5,5 ათასი სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის 2,5 ათასი რეზერვისტი“, – განაცხადა რუსლან ქიშმარიამ.

**ანდრეი რეზჩიკოვი**

ВЗГЛЯД ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 32-85-76; 98-65-87

№2/11127-06

# განჩინება

**საქართველოს სახელით**
**(პუბლიკაციის მეშვეობით საჯარო შეტყობინების შესახებ)**

**8 აპრილი, 2008 წელი ქ. თბილისი**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე სოფიო მაჭავარიანმა განიხილა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის სარჩელზე საჯარო პუბლიკაციის გამოყენების საკითხი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. ეცნობოს **ზურაბ ზურაბიშვილს** (მის. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 47/ა ბინა 23), რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია საქმე №2/11127-06 საქმე სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის სარჩელისა გამო მოპასუხეების: თამაზ რუხაძის, გია თავართქილაძის, ავთანდილ ყულჯანიშვილისა და ზურაბ ზურაბიშვილის მიმართ დანაშაულის შედეგად სახელმწიფოზე მიყენებული ზიანის – 1781 700 ლარის ანაზღაურების შესახებ;
2. ხსენებულ განჩინებასთან ერთად გამოქვეყნდება სარჩელი და თანდართული მასალები, ასევე მოპასუხისათვის განკუთვნილი გზავნილის ფორმა და დამატებით მოპასუხეს განემარტა, რომ მას დამატებითი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა აქვს სასამართლოში;
3. **ზურაბ ზურაბიშვილს ეცნობოს, რომ საქმეზე მთავარი სხდომა დანიშნულია 2008 წლის 29 მაისს, 13:00 საათზე, რომელიც ჩატარდება თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6-ში მდებარე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში;**
4. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“;
5. განჩინება ქვეყნდება მოსარჩელის ხარჯით;
6. სასამართლო უწყება სხდომის დღის შესახებ, სარჩელი, თანდართული მასალები და გზავნილი მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;
7. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

**მოსამართლე: ს. მაჭავარიანი**

**ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს ქალბატონ ცირა მაისურაძეს**

**მოსარჩელე: სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურა**

**მისამართი – ქ. ახალციხე, მერაბ კოსტავას ქ. №27**

**მოპასუხე: თამაზ რუხაძე მცხ. ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. №76**

**გია თავართქილაძე მცხ. ქ. თბილისი, თემქა III მ/ რ-ნი, II კვარტალი, 23 კორპ. ბინა №53**

**ავთანდილ ყულჯანიშვილი მცხ. ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. 11/ა**

**ზურაბ ზურაბიშვილი მცხ. ქ. თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზირი 47/ა, ბინა 23.**

## სასარჩელო განცხადება

**(სისხლის სამართლის №8406857 საქმეზე, სახელმწიფოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ)**

2006 წლის 23 მაისს სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურაში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №8406857 საქმეზე, საბაჟო „ვალე“-ს ყოფილ თანამშრომელთა ზურაბ ზურაბიშვილის, თამაზ რუხაძის, გია თავართქილაძის და ავთანდილ ყულჯანიშვილის მიმართ, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტით. აღნიშნული საქმე 2006 წლის 25 მაისს გადაგზავნილი იქნა ახალციხის რაიონულ სასამართლოში, ზურაბ ზურაბიშვილის მიმართ საბრალდებო დასკვნით, ხოლო თამაზ რუხაძის, გია თავართქილაძის და ავთანდილ ყულჯანიშვილის მიმართ საპროცესო შეთანხმებით. გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ 1999 წლის 01 მარტიდან 2001 წლის დეკემბრის თვის ჩათვლით ზურაბ ზურაბიშვილის, თამაზ რუხაძის, გია თავართქილაძის და ავთანდილ ყულჯანიშვილის მხრიდან, თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით სახელმწიფოზე მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 1 781 700 (ერთი მილიონ შვიდას ოთხმოცდაერთი ათას შვიდასი) ლარი, რითაც სახელმწიფომ განიცადა მნიშვნელოვანი ზიანი, რაც გამოძიების პროცესში არ ყოფილა ანაზღაურებული. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე ზემოხსენებულ ბრალდებულთა მიერ სახელმწიფოზე მიყენებული ზიანი დადასტურებულია საქართველოს კონტროლის პალატის 2000 წლის 18 აპრილის რევიზიის აქტით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი კრიმინალისტიკური სამმართველოს 2005 წლის 11 ივნისის შუალედური აქტით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2005 წლის 24 ივლისის რევიზიის აქტით და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლით, ვითხოვთ ზურაბ ზურაბიშვილს, თამაზ რუხაძის, გია თავართქილაძეს და ავთანდილ ყულჯანიშვილს დაეკისროთ, მათი დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული ზიანის 1 781 700 (ერთი მილიონ შვიდას ოთხმოცდაერთი ათას შვიდასი) ლარის ანაზღაურება.

**მოსარჩელე: სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსი: ლაშა არეშიძე**

**საქმე 2/11127-06**

**8 აპრილი, 2008 წ.**

**მოპასუხისადმი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტის ასლების**

## გზავნილი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია მის. ქ. წამებულის გამზირი №1**

**ზურაბ ზურაბიშვილი**
**მის. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №47/ა, ბინა №23**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, გეგზავნებათ მოსარჩელე სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლები 05 ფურცლად.

თქვენ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის მიხედვით (როგორც წესი, ნაბეჭდი სახით) უნდა შეადგინოთ პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, მოსაზრებები სარჩელზე დართული საბუთების შესახებ და წარუდგინოთ __________ სასამართლოს მათი ჩაბარებიდან ________ დღის ვადაში. **სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით დადგენილი წესით.**

ინფორმაციას, პასუხის (შესაგებლის) შევსების წესების, აგრეთვე მისი წარუდგენლობით გამოწვეული შედეგების შესახებ, გაეცანით შესაგებლის შევსების ინსტრუქციაში (თან ერთვის პასუხის (შესაგებლის) ფორმას).

**მოსამართლის თანაშემწე: (ხელმოწერილია)**

## გთხოვთ გაითვალისწინოთ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სარჩელის, პასუხის (შესაგებლის), სააპელაციო საჩივრის, სააპელაციო პასუხის (შესაგებლის), საკასაციო საჩივრისა და საკასაციო პასუხის (შესაგებლის) ფორმები შეგიძლიათ მიიღოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოში (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა (ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. №12) და ნებისმიერ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, აგრეთვე მოიძიოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (www.hcoj.gov.ge), საქართველოს უზენაესი სასამართლოს (www.supremecourt.ge), თბილისის სააპელაციო სასამართლოსა (www.tbilisiappeal.court.gov.ge/index.php) და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის (www.gba.ge) საიტებზე.

**საქმე №1-174**

# განაჩენი

**საქართველოს სახელით**

**20 დეკემბერი 2006 წ. ქ. ახალციხე**

**ახალციხის რაიონული სასამართლო, მოსამართლე – რევაზ კაჭკაჭაშვილი, სხდომის მდივანი – ლეილა გოგიშვილი,**

**პროკურორი – ლაშა არეშიძე, დამცველი – ნუგზარ სამარჯიშვილი, განსასჯელი – ზურაბ ალექსანდრეს ძე ზურაბიშვილი (დასწრების გარეშე)**

ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე განსასჯელის ზურაბ ალექსანდრეს ძე ზურაბიშვილის – დაბადებული 1947 წლის 05 სექტემბერს ოზურგეთში, ქართველის, საქართველოს მოქალაქის, უმაღლესი განათლების მქონეს, ცოლშვილიანის, თანამდებობის პირის – საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტ „ვალეს“ უფროსის, ნასამართლობის არმქონეს, მცხოვრების ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზირი №74 ა, ბინა 23-ში, აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარ პატიმრობა შერჩეულის, ამჟამად მიმალვაში მყოფის – მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის ბრალდებისა გამო.

**გამოარკვია:**

ახალციხის რაიონულ სასამართლოში არსებითად განსახილველად სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურიდან წარმოდგენილი იქნა სისხლის სამართლის №8406857 საქმე მიმალვაში მყოფი თანამდებობის პირის – განსასჯელ ზურაბ ალექსანდრეს ძე ზურაბიშვილის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, რომელიც წინასწარი გამოძიებისას ბრალდებულის სახითაა მიცემული პასუხისგებაში ამავე დანაშაულისათვის ბრალდებისა გამო და 2005 წლის 14 დეკემბრიდან მის დაუსწრებლად შერჩეული აქვს აღკვეთის ღონისძიება წინასწარი პატიმრობა, ხოლო 2005 წლის 15 დეკემბრიდან მის მიმართ პროკურატურის დადგენილებით გამოცხადებულია ძებნა და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოებში გამოცხადებას.

სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 443-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით განსასჯელის მონაწილეობის გარეშე განიხილა რა წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმე, საქმის ობიექტურად განხილვისა და უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე დადგენილად ცნო, რომ განსასჯელ ზურაბ ზურაბიშვილს ჩადენილი აქვს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ესე იგი მოხელის მიერ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის რაიმე გამორჩენის მიღების მიზნით, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი არაერთგზის წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფთან ერთად – დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით.

განსასჯელის ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ზურაბ ზურაბიშვილი 1999 წლიდან 2001 წლის 13 აგვისტომდე მუშაობდა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვებ პუნქტ „ვალეს“ უფროსად და ითვლებოდა რა სახელმწიფო მოხელედ, შესაბამისად ევალებოდა საერთო კონტროლი მისდამი დაქვემდებარებული სამსახურის საქმიანობაზე, მათ შორის ევალებოდა კონტროლი საფინანსო-საგადასახადო და სტატისტიკის განყოფილებაზე, რომელიც ახორციელებდა საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსავლისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტვირთამწეობისათვის დაწესებული გადასახადების აკრეფას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 203-ე მუხლის მიხედვით გადამხდელებად განსაზღვრული სუბიექტებისაგან, რა დროსაც ივსებოდა მკაცრი აღრიცხვის ქვითრები სამ პირად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი რჩებოდა საბაჟოში, ერთი კი ეძლეოდა მძღოლს.

1999 წლის მარტის თვიდან დეკემბრის თვის ჩათვლით ზ. ზურაბიშვილმა საფინანსო-საგადასახადო და სტატისტიკის განყოფილების უფროს თამაზ რუხაძესთან და ინსპექტორებთან გია თავართქილაძესა და ავთანდილ ყულჯანიშვილთან ერთად წინასწარი შეთანხმებით საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დაწესებული თანხის გადასახადების გარკვეული ნაწილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გზით მიითვისა, რა დროსაც მისგან თანხმობის საფუძველზე ზემოთ ხსენებული პირები ხელოვნურად ამცირებდნენ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტვირთამწეობას, განზრახ შეჰქონდათ არასწორი ინფორმაცია მკაცრი აღრიცხვის ქვითრებში, თითქოს მათი ტვირთამწეობა იყო მხოლოდ 3 (სამი) ტონა, რის შედეგადაც თითოეულ ავტომანქანაზე გადასახადი სახელმწიფოსათვის შეჰქონდათ მხოლოდ 230 ლარის ოდენობით, ხოლო დანარჩენ უმეტეს თანხას ითვისებდნენ

№ 80. ხუთშაბათი, 1 მაისი, 2008 წელი.

**რეკლამა**

*„საქართველოს რესპუბლიკაში"* 899 32-85-76; 98-65-87


და ინაწილებდნენ ისე, რომ ზ. ზურაბიშვილს თავის წილად ამგვარად რჩებოდა გამორჩენის სახით მითვისებული თანხებიდან 40 პროცენტი.

აღნიშნული დანაშაულებრივი და არაერთგზისი საქმიანობის შედეგად 7331 ავტომანქანა ზურაბ ზურაბიშვილის მიერ სხვა აღნიშნულ პირებთან ერთად სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გზით, კანონით დადგენილი გადასახადის ხელოვნური და მართლსაწინააღმდეგო შემცირების გამო, ნაცვლად 2839385 ლარისა, სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი იქნა მხოლოდ 1429470 ლარი, რის გამოც შესაბამისად განყოფილების უფროსთან და ინსპექტორებთან ერთად მითვისა და გამორჩენის სახით მიიღო სახელმწიფოს კუთვნილი 1409915 ლარი, რითაც სახელმწიფოს მიაყენა მნიშვნელოვანი ზარალი.

2000 წელს სახელმწიფო კონტროლის პალატის მიერ საბაჟო „ვალეში" ჩატარდა რევიზია, რითაც გამოვლენილი იქნა აღნიშნული დარღვევები, თუმცა ზ. ზურაბიშვილმა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მოახერხა დანაშაულებრივი საქმიანობის დაფარვა და შემდგომ კვლავ გააგრძელა გამორჩენის მისაღებად ანალოგიური დანაშაულებრივი საქმიანობა, რომლის შედეგადაც 1999 წლიდან 2001 წლის განმავლობაში მისი შესაბამის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ზემოთ აღნიშნულ პირებთან ერთად არაერთგზისი დანაშაულებრივი ქმედებებით სახელმწიფოს მიადგა მნიშვნელოვანი ზარალი 1 781 700 ლარის ოდენობით.

ვინაიდან საქმის სასამართლო განხილვისას არ მონაწილეობდა განსასჯელი, იგი არ დაკითხულა.

სასამართლო სხდომაზე მოწმე ავთანდილ ყულჯანიშვილმა აჩვენა, რომ იგი მთლიანად ადასტურებს მის მიერ წინასწარი გამოძიებისადმი ბრალდებულად დაკითხვისას მიცემულ ჩვენებას და სასამართლოს განუმარტა, რომ იგი ნამდვილად მუშაობდა საბაჟო გამშვებ პუნქტ „ვალეს" საფინანსო-საგადასახადო და სტატისტიკის განყოფილების ინსპექტორად, 1999-2001 წლებში ამავე საბაჟოს უფროსად მუშაობდა ზურაბ ზურაბიშვილი, საფინანსო-საგადასახადო და სტატისტიკის განყოფილების უფროსად თამაზ რუხაძე, ხოლო ამავე განყოფილების ინსპექტორად აგრეთვე გია თავართქილაძე. აღნიშნულ პერიოდში ერთობლივი ინტერესებიდან და ურთიერთშეთანხმებით ზურაბ ზურაბიშვილთან, თამაზ რუხაძესთან და გია თავართქილაძესთან სისტემატურად ახორციელებდნენ საბაჟო გამშვებ პუნქტზე გამავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტვირთამწეობის შემცირებული მაჩვენებლებით აღრიცხვას მკაცრი აღრიცხვის ბარათებში, რითაც იღებდნენ გამორჩენას და სახელმწიფო ბიუჯეტში გაცილებით ნაკლები თანხები შეჰქონდათ, ვიდრე რეალურად აღრიცხვისას იქნებოდა შესატანი.

მანვე დაადასტურა, რომ ტვირთამწეობის შემცირების შედეგად მითვისებული და გამორჩენის მიზნით მიღებულ ფული ნაწილდებოდა მათ შორის, საიდანაც 10-10 პროცენტი რჩებოდათ ინსპექტორებს, ხოლო დანარჩენი 80 პროცენტს ინაწილებდნენ საბაჟოს უფროსი ზ. ზურაბიშვილი და განყოფილების უფროსი თ. რუხაძე. მანვე განაცხადა, რომ პირადად ზ. ზურაბიშვილს თავის წილ თანხას გადასცემდა თ. რუხაძე — განყოფილების ფროსი. მანვე განაცხადა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც მას, როგორც ინსპექტორს, ტრანსპორტის ტვირთამწეობის მაჩვენებლები შეუმცირებია ზ. ზურაბიშვილის თანდასწრებითაც, რაც ცნობილი იყო თვით ზ. ზურაბიშვილისთვის.

მანვე დაადასტურა, რომ 2000 წელს კონტროლის პალატის მიერ, როცა პირველად შემოწმდა საბაჟოს საფინანსო საქმიანობა და გამოვლინდა დარღვევები, მისთვის ცნობილია, რომ დანაშაულებრივი საქმიანობის დაფარვა მოხერხდა ზ. ზურაბიშვილის აქტიური მოქმედებით, რა დროსაც მან და ინსპექტორმა გ. თავართქილაძემ გადაიხადეს 3500-3500 აშშ დოლარი, რაც ქრთამის სახით გადასაცემად მისცეს თ. რუხაძეს და მისი გადმოცემით იცის, რომ ამ საქმეში მთლიანად იყო საქმის კურსში ზ. ზურაბიშვილი.

სასამართლო სხდომაზე მოწმე გია თავართქილაძემ დაადასტურა იგივე გარემოებანი და თავის მხრივ ჩვენების მიცემისას განმარტა, რომ იგი ნამდვილად მუშაობდა საბაჟო გამშვებ პუნქტ „ვალეს" საფინანსო-საგადასახადო და სტატისტიკის განყოფილების ინსპექტორად, რა დროსაც ინსპექტორად მასთან ერთად მუშაობდა ავთანდილ ყულჯანიშვილი, განყოფილების უფროსად თამაზ რუხაძე, ხოლო საბაჟოს უფროსად ზურაბ ზურაბიშვილი, რა დროსაც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სისტემატურად და პირადი გამორჩენის მიზნით სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ამცირებდნენ გამშვებ პუნქტზე გამავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტვირთამწეობის შემცირებას და ამ გზით პირადი გამორჩენისათვის ითვისებდნენ თანხებს, ამ თანხებიდან 10-10 პროცენტი რჩებოდათ ინსპექტორებს, ხოლო დანარჩენ 80 პროცენტს ინაწილებდნენ ზ. ზურაბიშვილი და თ. რუხაძე. მანვე განაცხადა, რომ ზ. ზურაბიშვილის თანდასწრებითაც ბევრჯერ შეუმცირებიათ ტრანსპორტის ტვირთამწეობა შესაბამის მკაცრი აღრიცხვის ჩანაწერებში შეტანისას, 2000 წელს კონტროლის პალატის შემოწმებისას კი ზ. ზურაბიშვილის მოქმედებით მოხერხდა დანაშაულებრივი საქმიანობის დაფარვა, რა დროსაც მან თ. რუხაძის მეშვეობით გადაიხადა 3500 აშშ დოლარი.

მოწმე თამაზ რუხაძემ სასამართლოს სხდომაზე თავისი ჩვენებების მიხედვით დაადასტურა ზემოთ აღნიშნულ მოწმეება ჩვენებების მიხედვით შესაბამისი გარემოებანი და აღნიშნა, რომ 1999-2001 წლებში მუშაობდა საბაჟო პუნქტ „ვალეს" საფინანსო-საგადასახადო და სტატისტიკის განყოფილების უფროსად, რა დროსაც ამავე განყოფილების ინსპექტორებად მუშაობდნენ ავთანდილ ყულჯანიშვილი და გია თავართქილაძე, ხოლო საბაჟოს უფროსად კი მუშაობდა ზურაბ ზურაბიშვილი. ერთად მუშაობის პერიოდში ურთიერთშეთანხმებით და ზ. ზურაბიშვილის ნებართვით, ინსპექტორები სისტემატურად ახდენდნენ გამშვებ საბაჟო პუნქტზე გამავალი სატრანსპორტო საშუალებების ტვირთამწეობის შემცირებული მაჩვენებლებით აღრიცხვას მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტებში, რის საშუალებითაც შემცირებული ოდენობით შეჰქონდათ შესაბამისი თანხები სახ. ბიუჯეტში, ძირითადად თანხებს კი გამორჩენის მიზნით ითვისებდნენ და ინაწილებდნენ ერთმანეთში, ისე, რომ ინსპექტორებს რჩებოდათ 10-10 პროცენტი, დანარჩენი თანხა კი ნაწილდებოდა 40-40 პროცენტის ოდენობით თ. რუხაძესა და ზ. ზურაბიშვილს შორის, რომელსაც თ. რუხაძე პირადად გადასცემდა მის წილ თანხას.

თ. რუხაძემ აგრეთვე დაადასტურა, რომ ზ. ზურაბიშვილი, როგორც საბაჟოს უფროსი, ყოველთვის ცდილობდა დანაშაულებრივი ქმედება არ გამჟღავნებულიყო და საჭიროების შემთხვევაში აგვარებდა კიდეც საქმეს.

ის გარემოება, რომ ზ. ზურაბიშვილი დაინტერესებული და თანახმა იყო, რათა ინსპექტორებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტში თანხების შემცირებული მაჩვენებლების შეტანის გზით მოეპოვებინა უკანონო თანხები, ამის შესახებ, როგორც თ. რუხაძემ განაცხადა, უშუალოდ მისგან იცოდნენ ინსპექტორებმა ა. ყულჯანიშვილმა და გ. თავართქილაძემ, რაზედაც თავის მხრივ თანხმობა ჰქონდათ მიღებული ზ. ზურაბიშვილისაგან.

**სამოტივაციო ნაწილი:**

სასამართლომ მოისმინა მოწმეების ა. ყულჯანიშვილის, გ. თავართქილაძის, თ. რუხაძის მიერ სასამართლოს გამოძიებისას მიცემული ჩვენებები, შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებანი და მიიჩნია, რომ სასამართლო განხილვისას გამოკვლეულ უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე დამტკიცდა ზურაბ ალექსანდრეს ძე ზურაბიშვილის მიერ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა. დადასტურებული იქნა, რომ 1999 წლიდან 2001 წლის 13 აგვისტომდე ზურაბ ზურაბიშვილი მუშაობდა „ვალეს" საბაჟო გამშვები პუნქტის უფროსის თანამდებობაზე, როგორც მოხელე, რომელმაც საბაჟოს შესაბამის თანამშრომლებთან შეთანხმებით, თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ თავისთვის გამორჩენის მისაღებად, რითაც არსებითად დაირღვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები. აღნიშნული დადასტურდა მოწმეთა ჩვენებებით, საქართველოს კონტროლის პალატის 2000 წლის 18 აპრილის რევიზიის აქტით, შს სამინისტროს მთავარი კრიმინალისტიკური სამმართველოს 2005 წლის 11 ივნისის შუალედური აქტით, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2005 წლის 24 ივლისის რევიზიის აქტით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ინფორმაციით, ავტომანქანების ტექ. პასპორტების ქსეროასლებით, ფულად გამამართლებელი და მკაცრი აღრიცხვის საფინანსო საბუღალტრო დოკუმენტაციებით.

სასამართლო მიიჩნევს, რომ დადგენილ იქნა რა ზურაბ ზურაბიშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, იგი ბრალად შეერაცხება განსასჯელს ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის გამო და მის მიმართ გამოტანილი უნდა იქნას გამამტყუნებელი განაჩენი კანონით დადგენილი სასჯელის აღნიშვნით დანაშაულის ჩადენის დროისათვის (1999 წლიდან 2001 წლის 18 აგვისტომდე პერიოდისათვისძ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის სახისა და ზომის გათვალისწინებით, ვინაიდან აღნიშნული დანაშაულის ჩადენის დროისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის ვადის მინიმალური ზღვარისა და დღეისათვის მოქმედი კანონით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის ვადის მინიმალური ზღვარის მხედველობაში მიღებით და საქართველოს სსკ-ის მე-2 და მე-3 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ამასთანავე, სასამართლომ მხედველობაში მიიღო განსასჯელის მიმართ სასჯელის დანიშვნისას მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, დანაშაულის ჩადენის მოტივი, მიზანი, ქმედებაში მის მიერ გამოვლენილი ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი, ქმედებიდან გამომდინარე მართლსაწინააღმდეგო შედეგი, აგრეთვე მისი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობა, მისი მოქმედება დანაშაულის ჩადენის შემდგომ პერიოდში, გამოძიებისადმი და სასამართლოსადმი გამოცხადებისა და კანონისადმი მორჩილების გამოხატვის თვალსაზრისით.

სასამართლომ გაითვალისწინა შემამსუბუქებელ გარემოებად, რომ განსასჯელი წარსულში არაა ნასამართლევი.

აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ განსასჯელის მიმართ აუცილებელია გამოყენებული იქნას სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, რადგან საქმის გარემოებათა გათვალისწინებით სასჯელის შესაბამისი მიზნების მიღწევა შეუძლებელია სხვა სახის ლონისძიების გამოყენებით, ხოლო თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი სამართლიანი და კანონიერი იქნება ჩადენილი ქმედების შესაბამისად.

ამასთანავე, სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას შეაფასა და გარკვეულწილად გაიზიარა სახელმწიფო ბრალმდებელისა და განსასჯელის ინტერესების დამცველი ადვოკატის მიერ სასამართლო სხდომაზე მხარეთა კამათისას გამოთქმული მოსაზრებანი განსასჯელის მიმართ სასჯელის დანიშვნის თაობაზე.

სასამართლოს არ უმსჯელია სახელმწიფო მბრალდებლის მიერ თამაზ რუხაძის, გია თავართქილაძისა და ავთანდილ ყულჯანიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას წარდგენილ სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით აღნიშნული პირებისა და ზურაბ ზურაბიშვილის, როგორც მოპასუხეების მიმართ, ვინაიდან პროკურორის განცხადების მიხედვით იგი წარდგენილი იქნება განსახილველად დამოუკიდებლად და დადგენილი წესისამებრ ყველა მოპასუხის მიმართ ერთობლივად, ისე, რომ იგი როგორც მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი უარს არ ამბობს სასარჩელო მოთხოვნაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 495-ე, 496-ე, 497-ე, 498-ე, მე-500, 502-ე 503-ე, 505-ე, 506-ე, 509-ე, 512-ე, 523-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. ზურაბ ალექსანდრეს ძე ზურაბიშვილი დამნაშავედ იქნეს ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხიძ წლის ვადით (2003 წლის 14 აგვისტომდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის რედაქციითძ.

2. მსჯავრდებულისათვის თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადა ათვლილი იქნას მის მიმართ განაჩენით დადგენილი სასჯელის აღსრულების ფაქტობრივად დაწყების მომენტიდან.

3. ზურაბ ზურაბიშვილის მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება — წინასწარი პატიმრობა გაუქმდეს მის მიმართ განაჩენით დადგენილი თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის დანიშვნის გამო.

4. სამოქალაქო სარჩელი დარჩეს განუხილველი.

5. განაჩენის ასლები დადგენილ ვადაში ცნობისათვის გაეგზავნოს მსჯავრდებულს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მისამართზე, მის დამცველს, გაეგზავნოს სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას, აღსრულებაზე რეაგირებისათვის გაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის სასჯელაღსრულებითი დაწესებულების №5 საპყრობილეს, შს რაიგანყოფილებას მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

6. განაჩენის გასაჩივრება შესაძლებელია გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს სსსკ-ის 518-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტების მიერ, ხოლო მსჯავრდებულს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში უფლება აქვს გაასაჩივროს განაჩენი დაკავების ან სათანადო ორგანოებში გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში, თუკი განაჩენი კანონით დადგენილი წესით არ იქნება გასაჩივრებული მისი დამცველის (ან წარმომადგენლისძ მიერ.

7. განჩინება ძალაშია და აღსასრულებლად მიქცეულ იქნეს გამოცხადებისთანავე.

**მოსამართლე (რ. კაჭკაჭაშვილი)**


№ 80. ხუთშაბათი, 1 მაისი, 2008 წელი.

# ბოშები

● ბოშები დახმარებას საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლოეს დღეებში, 80-მდე ბოშა პროტესტის ნიშნად, ბავშვებთან ერთად, დედოფლისწყაროდან თბილისში ფეხით ჩასვლას და ევროსაბჭოს ოფისთან აქციის გამართვას გეგმავს



**◎ ეროვნული უმცირესობები**

## „პოლიციაში დაგვცინეს, ციგნებს კანონების რა გაგეგებათო...“

**საქართველოს არაერთი საერთაშორისო დოკუმენტით აქვს ნაკისრი ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა, მათ შორის ბოშებისაც. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს დღემდე არ აქვს შემუშავებული ბოშების უსაფრთხოების დაცვისა და საზოგადოებაში ტოლერანტული გარემოს შექმნის პოლიტიკა. ისინი კვლავაც ხშირად ხდებიან პოლიციელების უკანონოდ დაკავების მსხვერპლნი..**

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ინფორმაციით, 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით საქართველოში დაახლოებით 2 ათასამდე ბოშა ცხოვრობს, თუმცა ვარაუდობენ, რომ მათი რიცხვი გაცილებით მეტია. იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს ცნობით, ბოშები ძირითადად სახლებში მშობიარობენ. ამის გამო არ ხდება ახალშობილთა რეგისტრაცია და სამოქალაქო სტატუსის მინიჭება.

ცენტრის იურისტების თქმით, ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვები დაბადებისას არ ხდებიან საქართველოს მოქალაქეები. მათ არ აქვთ ხმის მიცემის უფლება, რადგან არ გააჩნიათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამავე მიზეზით ისინი ვერ მონაწილეობენ სახელმწიფო პროგრამებში და არ შეუძლიათ ლეგალურად გავიდნენ საქართველოს საზღვრებს გარეთ.

ბოშები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ცხოვრობენ, მათ შორის კახეთშიც. დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკაში ბოშათა 40-მდე ოჯახი, ათეული წლების წინათ დამკვიდრდა. ამჟამად იქ 18 ოჯახიღა ცხოვრობს. როგორც 24 წლის მიხაილ დენისენკომ აღნიშნა, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო, მისმა ნათესავებმა უკვე ორი წელია რაიონი დატოვეს და თბილისში გადასახლდნენ.

„ყველა ჩვენგანი უმუშევარია და ძალიან გვიჭირს. ადრე დაქირავებულ სამუშაოზე ფიზიკურად ვშრომობდით, მაგრამ ხშირად გვატყუებდნენ და თანხას აღარ გვაძლევდნენ, რის გამოც ასეთ საქმეს ჩამოვცილდით. მუშაობის სურვილი გვაქვს, კერძო საწარმოებში ადგილები იყო, მაგრამ არ დაგვასაქმეს. უკიდურესი სიღარიბის გამო ნათესავების ნაწილი აიყარა და თბილისში წავიდა. იქ ვაჭრობენ და ამ გზით ინახავენ თავიანთ ოჯახებს“.

**— მიხაილ, საქართველოში სიღარიბის დაძლევის პროგრამა ხორციელდება. რამდენადაც ვიცი, თქვენს ოჯახში პირადობის დამადასტურებელი საბუთები ყველას გაქვთ. მონაწილეობთ ამ პროგრამაში?**

— არა, ამ პროგრამაში, ჩვენი სოფლიდან არც ერთი ბოშური ოჯახი არ არის ჩართული. დოკუმენტები მხოლოდ ჩვენ გვაქვს სრულად. გასულ წელს, სოციალური დახმარების ადგილობრივ სააგენტოს მივმართეთ და ვთხოვეთ, განემარტათ, როგორ შეიძლება დახმარება ჩვენც მიგვეღო, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქციეს. ბევრმა ამ პროგრამის შესახებ საერთოდ არ იცის. ქართულად ვერ საუბრობენ. რაც შეეხება წერა-კითხვას, ალბათ აქ მცხოვრებთაგან არავინ ვიცით, არც რუსული.

**— ბავშვები სკოლაში არ დაგყავთ?..**

— რომელ სკოლაში? დედოფლისწყაროს ქართულ-რუსული სკოლა, ჩვენგან ძალიან შორსაა, იქ ფეხით სიარული შეუძლებელია. ადრე, კომუნისტების მმართველობის დროს, სოფელში, დაწყებითი კლასებისთვის სკოლა იყო, მაგრამ დაინგრა და მას შემდეგ არავის გავხსენებივართ.

**— სკოლა რომ იყოს, ბავშვებს განათლებას თუ მიაღებინებდით?**

— სკოლა რომ იყოს ბავშვებს აუცილებლად ვატარებდით და უფროსებიც მივიღებდით განათლებას.

**— სამართალდამცავებთან ხშირად გაქვთ პრობლემები?**

— პოლიციელები მუდმივად გვდევნიან. თუ კი რაიონში თვალს მოგვკრავენ და იმ, ან მომდევნო დღეებში რამე დაიკარგება, პირდაპირ ჩვენ გვადანაშაულებენ და გვემუქრებიან, რომ თუ დაკარგული ნივთის ღირებულებას არ გადავიხდით, დაგვიჭერენ. რამდენიმე დღის წინათ, ჩემი ბიძაშვილი ლონია შაბანოვი პოლიციის გამომძიებელმა ვალერი ლეკაშვილმა შანტაჟით აიძულა, ხელი მოეწერა ცარიელ ფურცელზე. დაკავებით დაემუქრა. ხელმოწერის შემდეგ ლონია თბილისში წავიდა და აღარ ჩამოდის, ეშინია“, — ამბობს მიხაილ დენისენკო.

ახლახან, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ლენინოვკაში მცხოვრები ბოშები, ადგილობრივი პოლიციას დაუპირისპირდნენ და ხელმძღვანელობას ეთნიკური ნიშნით ჩაგვრაში ადანაშაულებდნენ.

2008 წლის 21 იანვარს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ წითელწყაროში ავტოავარია მოხდა. დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა „უაზი“ რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილის თანამშრომლები მეგობრებთან ერთად გადაადგილდებოდნენ, ავტომანქანა „ვაზ 2106“-ს დაეჯახა. შეჯახების შედეგად „ვაზ 2106“-ში მსხდომი ბოშები დაშავდნენ, ყველაზე მეტად მძღოლი მიხაილ დენისენკო.. რამდენიმე ოპერაციის მიუხედავად, იგი დღემდე საწოლს არის მიჯაჭვული, დაინვალიდებულია.

მომხდარზე შს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოში, სისხლის სამართლის საქმე იმავე დღეს აღიძრა. „დადგინდა, რომ ავტომანქანა „უაზს“ მართავდა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილის მესამე ქვეგანყოფილების უფროსი ოფიცერი ზაზა ყანჩაშვილი. ორივე მძღოლიდან იმავე დღეს ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზისათვის აიღეს სისხლის ნიმუშები, რომლის დასკვნითაც მიხაილ დენისენკოც და ზაზა ყანჩაშვილიც ფხიზლები იყვნენ“, — აღნიშნავს დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსი გიორგი ბუნტური.

ბოშების მტკიცებით კი ავტომანქანა „უაზს“ არა ზაზა ყანჩაშვილი, არამედ ნასვამი მორის ბატიაშვილი მართავდა. „ყანჩაშვილი იბრალებს, მანქანას მე ვმართავდიო, რადგან თვითონ ფხიზელი იყო. სინამდვილეში, „უაზის“ საჭესთან მორის ბატიაშვილი იჯდა, რომელიც საშინლად მთვრალი იყო. შეჯახების შედეგად მე გონება დავკარგე. როცა თვითმხილველებმა მანქანიდან გადამიყვანეს, ავტომანქანა „უაზის“ კარიდან, საჭის მხრიდან ბატიაშვილი ცდილობდა ჩამოსვლას. ბოლოს ჩამოვარდა, მასაც დაზიანებები ჰქონდა. „უაზში“ მსხდომნი რესტორნიდან მოდიოდნენ. როცა დაგვეჯახნენ, პოლიციაში მისულან მეგობრებთან და უთქვამთ, მგონი ბოშები დავხოცეთ და ამ საქმიდან რამენაირად გამოგვიყვანეთო“, — ამბობს დაზარალებული ეკატერინა პროშევა უფლებათა ცენტრის იურისტებთან საუბრისას.

საჭესთან რომ ზაზა ყანჩაშვილი არ მჯდარა, ამაზე ინციდენტის ერთ-ერთი თვითმხილველიც მიუთითებს. გამოძიებას ის ამ დრომდე არ დაუკითხავს.

„შეჯახების ხმა რომ გავიგეთ, გარეთ მაშინვე გავედით. დავინახეთ, „უაზიდანაც“ მამაკაცი და ქალი როგორ გადმოვიდნენ და იქაურობას გასცილდნენ. მანქანაში ორნი კიდევ შევნიშნეთ, ერთი, რომელიც საჭის მხრის კარიდან გადმოსვლას ცდილობდა და ისიც აშკარად ძალიან მთვრალი იყო და მეორე, რაიონის საავადმყოფოს ექიმი-ქირურგი ნუკრი ბალაშვილი, რომელიც ასევე არ იყო ფხიზელი“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში ალექსანდრე მადოიანმა.

დაშავებული ბოშების თქმით, შეჯახებამდე, „უაზი“ მათ სავალ ნაწილზე იმდენად სწრაფად მოძრაობდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, იქიდან გამომდინარე, რომ მარჯვნივ გადასასვლელი ადგილი აღარ იყო, საპირისპირო მხარეს გადავიდნენ. „გადავედით თუ არა, „უაზიც“ იმავე მხარეს გადმოვიდა. ეს ყველაფერი იმდენად ჩქარა მოხდა, რომ ველარაფერს ვახერხებდი. რაც შეიძლება მარცხნივ გადავედი და მანქანა გავაჩერე. ზუსტად ამ დროს დამეჯახნენ კიდეც. მერე აღარაფერი მახსოვს“, — იხსენებს მიხაილ დენისენკო. მოტეხილობების გამო, სამი კვირის განმავლობაში ის რაიონულ საავადმყოფოში იყო მოთავსებული და სამედიცინო მომსახურებისათვის საჭირო ხარჯების გადასახდელად, ოჯახმა სახლიდან ყველაფერი გაყიდა.

გამოძიებამ, დენისენკო, მოწმის სახით, მხოლოდ მას შემდეგ დაკითხა, რაც ბოშებმა დახმარებისათვის ადამიანის უფლებათა ცენტრს მიმართეს. მიუხედავად იმისა, რომ დენისენკო ქართულად ვერ წერს და ვერ საუბრობს, მისი დაკითხვა თარჯიმნის მეშვეობით არ მომხდარა, თუმცა გამომძიებელი ვალერი ლეკაშვილი აცხადებს, რომ დენისენკო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების მიხედვით დაიკითხა.

გამომძიებლისვე თქმით, ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მძღოლ მიხაილ დენისენკოს შეეძლო მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის თავიდან აცილება. „რაც შეეხება ზაზა ყანჩაშვილს, მას მომხდარი შემთხვევის თავიდან აცილება არ შეეძლო, ვინაიდან მის სავალ ნაწილზე გადასული ავტომობილი „ვაზ 2106“ იმყოფებოდა მოძრაობაში და ზაზა ყანჩაშვილის მოქმედებაში „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობა არ აღინიშნება“, — აცხადებს დეტექტივ-გამომძიებელი ლეკაშვილი.

დედოფლისწყაროს შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს უფროსი გიორგი ბუნტური მიიჩნევს, რომ გამოძიებით დადგენილი გარემოებების მიხედვით, მიხაილ დენისენკო ხსენებული დანაშაულის სუბიექტია. „მის მიმართ ვიწყებთ სისხლისსამართლებრივ დევნას და ამიტომ ვერ იქნება ის დაზარალებულად ცნობილი“, — ამბობს პოლიციის უფროსი.

დენისენკოს ახლობლები გამოძიებას არაობიექტურობაში ადანაშაულებენ. „საქმის გასარკვევად პოლიციაში მივედით და აბუჩად აგვიგდეს, როდის იყო ციგნებს კანონების რამე გაგეგებოდათო. გამომძიებელმა ლეკაშვილმა უშვერი სიტყვებით შეგვაგინა და პოლიციაში მისვლა აგვიკრძალა. თუ არ გაჩუმდებით, თქვენც ციხეში გამოგამწყვდევთო“, — სამართალდამცავების მუქარას აპროტესტებს მიხაილ დენისენკოს მეუღლე მალინა პიდანოვა.

ბოშების ბრალდებებზე დედოფლისწყაროს პოლიციაში კომენტარს არ აკეთებენ, მათ არც უფლებათა ცენტრის იურისტებთან ისურვეს საუბარი.

გამოძიებასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს უსაფუძვლოს უწოდებენ რაიონულ პროკურატურაშიც. უფლებათა ცენტრთან სატელეფონო საუბარში პროკურორმა იოსებ გულოშვილმა ბოშებს შეაგინა. „მაგათი დედაც... მეტი საქმე არ გაქვთ?“ — იკითხა პროკურორმა.

ბოშები დახმარებას საერთაშორისო ორგანიზაციებისგან ითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლოეს დღეებში, 80-მდე ბოშა პროტესტის ნიშნად, ბავშვებთან ერთად, დედოფლისწყაროდან თბილისში ფეხით ჩასვლას და ევროსაბჭოს ოფისთან აქციის გამართვას გეგმავს. მათ ინტერესებს კი „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ კახეთის ოფისი დაიცავს.

**ილია მარტყოფლიშვილი**

**◎ ინფორმაცია**

## მთისძირი უშუქობისგან გათავისუფლდება

**გასული 4 წლის განმავლობაში აღნიშნული სოფლის მოსახლეობას თითქმის არ მიეწოდებოდათ ელექტროენერგია. აბონენტები სოფლის ტერიტორიაზე არსებული მიკროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული არასაკმარისი ელექტროენერგიით იშვიათად სარგებლობდნენ, რადგან ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მწირი და უხარისხო იყო, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.**

ოზურგეთის რაონის სოფ. მთისძირის სისტემური ელექტროენერგიით მომარაგების მიზნით, „ენერგოპრო ჯორჯიას“ ოზურგეთის მომსახურეობის ცენტრის კვალიფიციური სპეციალისტებისა და ადგილობრივი გამგეობის მხარდაჭერით გაშენდება ახალი 8 კილომეტრი სიგრძის ხაზი და დამონტაჟდება 35 ანძა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები დღეს დაიწყება და 10 დღეს გასტანს.

სამუშაოების დასრულებამდე აბონენტებს ელექტროენერგია ალტერნატიული წყაროებიდან მიეწოდებათ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 80. ხუთშაბათი, 1 მაისი, 2008 წელი.

# სპორტი

● თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით ჩაება. სამწუხაროდ, ჩვენმა ლიდერებმა იმედები ვერ გაამართლეს



⊙ ფეხბურთი

⊙ სამბო

## ლიდერებმა პოზიციები დათმეს

**თბილისის სპორტის სასახლეში გრძელდება სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით ჩაება. სამწუხაროდ, ჩვენმა ლიდერებმა იმედები ვერ გაამართლეს. 52 კილოგრამ წონით კატეგორიაში მსოფლიო და ევროპის ჩემპიონმა უშანგი კუზანაშვილმა ზედიზედ სძლია ბულგარელ ივანე ბელომაჩევს, აზერბაიჯანელ ისლამ გასიმოვს, მაგრამ ფინალში ბელარუს ანდრეი კურლიპოსთან დამარცხდა და ტიტული დათმო.**



კონტინენტის ჩემპიონობას, ასევე დაემშვიდობნენ შარშანდელი გამარჯვებულები — დავით სვიმონიშვილი (62ძ და მინდია ბოდაველი (90ძ, რომლებიც მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდნენ. სვიმონიშვილმა პირველი შეხვედრა ბულგარელ კონსტანდინ ტოპალოვს მოუგო, მომდევნო წრეში კი ბელარუს იჰარ სედოისთან დაყარა ფარ-ხმალი. სანუგეშოში რუმინელ ედუარდო როტარუს აჯობა. ბოდაველმაც ორ პაექრობაში იმარჯვა — ბელარუს იაუჰენ სიომოშკინთან და მოლდოველ რამაზან მურთაზალიევთან, ნახევარფინალში კი ესპანელ სან მარტინ რიკარდო ეჩერტესთან დამარცხდა.

სამწუხაროდ, კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ კახა მამულაშვილი (74ძ და ზვიად ჩინჩალაძე (მძიმე წონაძ. სამაგიეროდ, სპორტის სასახლის თაღებქვეშ ევროპის ჩემპიონატის პირველ დღეს რვაჯერ აჟღერდა რუსეთის ფედერაციის ჰიმნი — ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა ქალთა და ვაჟთა შორის ოთხ-ოთხ წონით კატეგორიაში გაიმარჯვეს.



**გაუწყებთ ევროპის ჩემპიონატის პირველი დღის პრიზიორ ვაჟთა ვინაობას:**

*52 კგ. 1. ანდრეი კურლიპო (ბელარუსიძ, 2. უშანგი კუზანაშვილი (საქართველოძ, 3. დენის ჩერენცოვი (რუსეთიძ და ისლამ გასიმოვი (აზერბაიჯანიძ.*

*62 კგ. 1. ვლადიმერ ლეონტიევი (რუსეთიძ, 2. იჰარ სედო (ბელარუსიძ, 3. დავით სვიმონიშვილი და ტარლან კარიმოვი (აზერბაიჯანიძ.*

*74 კგ. 1. დმიტრი ლებედევი (რუსეთი. 2. აშოტ დანიელიანი (სომხეთიძ, 3. არაზ მუხტაროვი (აზერბაიჯანიძ და ვიქტორ სავინოვი (უკრაინაძ.*

*90 კგ. 1. ასლიმ ჩერნოსკულოვი (რუსეთიძ, 2. სან მარტინ რიკარდო ეჩარტე (ესპანეთიძ, 3. მინდია ბოდაველი და იაკობ არაქელიანი (სომხეთიძ.*

*მძიმე წონა: 1. ანდრეი ვოლკოვი (რუსეთიძ, 2. ალექსანდრ ვახავიაკი (ბელარუსიძ. 3. ალექსანდრ ტიტარენკო (უკრაინაძ და ვიტალი სენაბუ (მოლდოვაძ.*

ქალთა ტურნირში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ კრისტინა კვაჩანი, ტატიანა ზენჩენკო, სვეტლანა გალიანტი, ირინა როდინა (ყველა რუსეთიძ და ოლენა საიკო (უკრაინაძ.

**გუშინ კიდევ ხუთ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზიორები.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## მოსკოვისკენ პერი, პერი!

**1958 წელს მიუნხენთან ახლოს მომხდარ ავიაკატასტროფას „მანჩესტერ იუნაიტედის" თითქმის მთელი შემადგენლობა ემსხვერპლა. 1968 წელს ამ კლუბმა პირველად მოიპოვა ჩემპიონთა თასი. მას შემდეგ, შესაბამისად, 50 და 40 წელი გავიდა. ასეთ თარიღებს ყველაზე უკეთ, დაგვეთანხმებით, ინგლისური გრანდის ახალი მიღწევა დაამშვენებს. ჰოდა, რაღა დარჩა? — სერ ალექს ფერგიუსონის გუნდი უკვე ფინალშია და 21 მაისს მოსკოვის „ლუჟნიკებში" თანამემამულეებს შეეზმება.**

სიმბოლურია, რომ ყველაზე რთული ბრძოლა მერსისაიდელებმა „ბარსელონასთან" გადაიტანეს — „წითელი ეშმაკუნების" უკანასკნელი ევროპული ტრიუმფი გასული საუკუნის მიწურულს ხომ სწორედ კატალონიის დედაქალაქს უკავშირდება. საგულისხმოა ისიც, რომ გადამწყვეტი გოლი 33 წლის ვეტერანმა ნახევარმცველმა სქოულზმა გაიტანა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში 101-ე (!ძ შეხვედრა გამართა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საპასუხო მატჩი ტრავმირებულმა რუნიმ გამოტოვა, თუმცა „ოლდ ტრაფორდზე" გაჩაღებულ მწვავე და ფრთხილ დუელში მისმა პარტნიორებმა ტოლი არაფერში დაუდეს მრისხანე მეტოქეს და დამსახურებულად მიაღწიეს მიზანს — 1:0.

რაც შეეხებათ სტუმრებს, პრიმერადივიზიონში დაწყებულ კრიზისს, როგორც ჩანს, საკმაოდ ღრმადა აქვს ფესვები გადგმული, რასაც რონალდინიოს ფაქტორიც ამძიმებს. როგორც თამაშის წინ გავრცელებული ინფორმაციით შევიტყვეთ, ბრაზილიელი ალარასოდეს მოირგებს „ბარსას" ბროწეულისფერ მაისურს, რაც, სხვათა შორის, ფრანკრაიკაარდმაც დაადასტურა.

⊙ ვემშვიდობებით

## გივი ყირმელაშვილი



**დღეს მშობლიურ მიწას მივაბარებთ სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, ამაგდარ მწვრთნელს, წლების მანძილზე აწ ყოვლადგაუმართლებლად გაუქმებული ქართული სპორტის აკადემიის პროფესორს, ჩინებულ ადამიანს გივი ყირმელაშვილს, რომელიც, როგორც პრეზიდენტი, სათავეში ედგა ასოციაციას „სპორტი ყველასათვის".**

**ბატონი გივი ჩვენი გაზეთის ძველი მეგობარი იყო. იგი ხშირად გამოდიოდა „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე, როგორც ფრიად საყურადღებო სპორტული წერილების ავტორი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა ამა თუ იმ მწვავე პრობლემისადმი თავისი უაღრესად პრინციპული მიდგომით. მან თავი სამუდამოდ დაგვამახსოვრა ახლობელ ადამიანებს, როგორც საუკეთესო სწავლულმა, იშვიათმა სპორტსმენმა და კარგმა მეგობარმა. ამიტომაც ვემშვიდობებით ბატონ გივი ყირმელაშვილს დღეს დიდი გულისტკივილით.**

„საქართველოს რესპუბლიკის" სპორტის რედაქცია

⊙ ფოტოკონკურსი

## ერთობლივი ძალისხმევით

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ინიციატივით წლეულს მეორედ გაიმართება სპორტული ფოტოკონკურსი, რომლის გენერალური სპონსორია „ელ ჯი" და მისი ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ალგორითმი".** კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც პროფესიონალებს, ისე მოყვარულებს. ნამუშევრები მიიღება 5 მაისის ჩათვლით. საუკეთესო ფოტოები 9-11 მაისს გალერეა „მუზის" პავილიონში გამოიფინება. გამარჯვებულები „ელ ჯის" სპეციალური პრიზებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოვდებიან.

⊙ ორბიტაზე

### ჩირაღდანი იყიდება

**დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ივნისში აუქციონზე „ბონემს" გამოიტანენ 1948 წლის ლონდონის ოლიმპიადის ჩირაღდანს.**

ლითონის ჩირაღდანი ოლიმპიური რგოლებით მორთული გრძელსახელურიანი თასის სახით მაშინ



მიჰქონდა ბრიტანელ სპორტსმენს ჯონი ჯენკინს. მისი სახელი ამოტვიფრულია თასის ძირზე. იქვეა წარწერაც „ოლიმპიიდან ლონდონში სამადლობელად 1948 წლის XIV ოლიმპიადის მეჩირაღდნეს". ჯენკინს ოლიმპიური ცეცხლი ქალაქ კენტერბერის ქუჩებში მიჰქონდა ესტაფეტის ბოლოსწინა დღეს, ლონდონის უემბლის სტადიონზე თამაშების საზეიმო გახსნის წინადღეს.

აუქციონის მომწყობნი მსოფლიო სპორტის ისტორიის ამ რელიკვიაში დაახლოებით 2 ათასი გირვანქა სტერლინგის მიღებას ფიქრობენ.

### გამოცოცხლდნენ!



**ბაქოში მიმდინარე ფიდეს გრან-პრის გათამაშებაში თითქოს ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევდნენ ბულგარელი ივან ჩეპარინოვის წაგებებს, მან ხომ ზედიზედ ოთხი პარტია დათმო. თანაც ის ყველანაირ პოზიციაში აგებდა. მაგრამ მისმა სახელგანთქმულმა მწვრთნელმა და მენეჯერმა სილვიო დანილოვმა სოფიიდან მას „ყურში" ისეთი რამ წასჩურჩულა, რომ ყველაფერი 180 გრადუსით შემობრუნდა. ივანმა ჯერ ერნესტო ინარკიევი დაამარცხა, შემდეგ კი მსოფლიო საჭადრაკო ელიტის პირველი ათეულის წარმომადგენელი შახრიარ მამედიაროვი.**

შეიძლება ითქვას, ასევე გამოცოცხლდა იქამდე „ჩრდილში" მყოფი 17 წლის ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი. მან შავებით მძიმე დამარცხება აგემა ტურნირის კიდევ ერთ ფავორიტს, ასევე ბაქოელ თეიმურ რაჯაბოვს. იქამდე კი რუსი ინარკიევი „იმსხვერპლა". ტურნირის პირველ ნახევარში ნორვეგიელმა ვუნდერკინდმა ოთხი ყაიმი გააკეთა.

მე-7 ტური კიდევ იმითაც გამოირჩევა, რომ გაშიმოვმა (აზერბაიჯანიძ ტურნირის ყოფილი ლიდერი გატა კამსკი არ დაინდო და ლიდერთა ჯგუფში მისი ადგილი დაიკავა.

### გამარჯვებისკენ მოუწოდებს

**ცნობილმა მომღერალმა, თანაც „შეთავსებით" ცსკა-ს ნახევარმცველის ევგენი ალდონინის ცოლმა იულია ნაჩალოვამ ძალზე გაბედული ნაბიჯი გადადგა — 27 წლის ლამაზმანი, ისეთი ჰიტების მონაწილე, როგორიცაა „ვიცეკვოთ, ვიცელქოთ" და „სიყვარული-რაკეტა", გაშიშვლებული გადაიღეს მამაკაცების ჟურნალისთვის MAXIM.**

მიუხედავად იმისა, რომ 2006 წელს მან გოგონა გააჩინა, ფორმა სწრაფად აღიდგინა და ახლა ეროტიკულ გადაღებებშიც მონაწილეობს, თანაც ფეხბურთზე დიდი მცოდნესავით მსჯელობს. თუმცა ალდონინის გუნდის საქმეები რუსეთის ჩემპიონატში მაინც და მაინც ბრწყინვალედ არ მიდის, იულია იმედს მაინც არ კარგავს. მისი თქმით: „კარგი ცოლი სწორედ გმირობისთვის, მათ შორის სპორტშიც, უნდა ასულდგმულებდეს ქმარს. მწამს, რომ ჩვენები ყველას აჯობებენ, ყველას მიანგრევენ!". შემდეგ იმასაც ამატებს, რომ, რასაკვირველია, ის ექსპერტი არაა, და რომ ფეხბურთს არც კი უყურებდა, სანამ ჟენიას (ალდონინსძ არ შეხვდა.



# ამ დღეებში

● დავდიოდი თბილისის ქუჩებში და იმის მიუხედავად, რომ დიდი ხანია აქ არ ვყოფილვარ, მაინც მცნობდნენ. ეს ძალიან მახარებს. მინდა, რომ თქვენი ქვეყანა აყვავებული ვნახო, ხალხი კი ბედნიერი. და კიდევ, ძალიან მინდა, კვლავაც ჩამოვიდე თბილისში




◎ შეხვედრა

## ელდარ რიაზანოვი: გაწყვეტილი კავშირები უნდა აღვადგინოთ

**„ენა ვერ იტვის, ისე მიხარია, რომ მალე შევხვდებით. ძალიან მიყვარს საქართველო, მისი არტისტული, ლამაზი ხალხი. მე არაერთი მეგობარი მყავს ქართველ კინემატოგრაფისტთა შორის. იმედი მაქვს, რომ თბილისის საზოგადოებრიობა ყურადღებას გამოიჩენს ჩემი შემოქმედებითი საღამოს მიმართ, რომელიც გაიმართება ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. მოუთმენლად და სიხარულით ველოდები ამ შეხვედრას,** — უთქვამს თბილისში ჩამოსვლამდე თანამედროვეობის ერთ-ერთ გამორჩეულ რუს კინორეჟისორს ელდარ რიაზანოვს, რომლის კინოშედევრები დღეს მსოფლიო კინოხელოვნების შენაძენია. მან შექმნა საკუთარი კინემატოგრაფი. კინოს შესძინა არაერთი ნიჭიერი მსახიობი. საბჭოური წნეხის პირობებში რეჟისორი იუმორითა და ირონიით ამხელდა იმდროინდელი ყოფისა და იდეოლოგიის ჩრდილოვან მხარეებს, ობივატელებს, მეშჩანებს, ამიტომაც ხშირად იკრძალებოდა მისი ფილმები, თუმცა, ბოლოს მაინც პოულობდა გზას მაყურებლამდე. მაყურებელს უყვარს რეჟისორი.



ელდარ რიაზანოვთან შეხვედრას ასევე მოუთმენლად ელოდნენ თბილისელები. მით უფრო, რომ იგი საქართველოში ლამის 25 წელია არ ყოფილა. თანაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეჟისორს შვიდი ფილმი გადაუღია, რომელსაც ჩვენი მაყურებელი ნაკლებად იცნობს. სწორედ ბოლოდროინდელი ფილმების მცირე რეტროსპექტივა ჩაიფიქრა რეჟისორმა თბილისში.

**— როცა საქართველოში ჩამოსვლის ეს მშვენიერი იდეა გაჩნდა მე და ჩემს ქართველ მეგობარს შორის, მაშინ ვთქვი, ერთი პირობით ჩავალ-მეთქი, როცა აღდგებოდა პირდაპირი მიმოსვლა რუსეთ-საქართველოს შორის და თბილისში სხვა ქვეყნების გავლით არ მომიხდებოდა ჩამოსვლა. ჰოდა, რაკი მიმოსვლა აღდგა, მეც არ დავაყოვნე,** — ამბობს იგი.

რეჟისორს მიაჩნია, რომ ხელოვან ხალხს შესწევს უნარი და ძალა აღადგინოს გასული საუკუნის 90-იან წლებში გაწყვეტილი კავშირები, **„ჩვენ უნდა აღვადგინოთ ხიდები ორ ქვეყანას შორის კულტურის სფეროსა და ურთიერთობებში“,** — გვითხრა მან ჟურნალისტებთან შეხვედრისას.

აი უკვე სამი დღეა, რაც ელდარ რიაზანოვი კულტურის სამინისტროსა და კომპანია „დი ელ ეი ფაიფერის“ მოწადინებით თბილისშია და რეტროსპექტივაში მონაწილე ფილმებს (სულ ოთხი ფილმიაძ თავად წარადგენს კინოთეატრ „რუსთაველში“. მაყურებელმა უკვე ნახა სურათი „შეაწიეთ სიტყვა საწყალ ჰუსარს“, რომელშიც, თავად რეჟისორის თქმით, არის ყველაფერი — გულის განგმირავი ისტორია, მოვლენებისა და ხასიათების კალეიდოსკოპი, გასაოცარი აქტიორული ნამუშევრები, გონებამახვილური გამონათქვამები. ფილმს, რომელსაც ცენზურის მითითებით „ჭრიდნენ და კერავდნენ“ და დიდხანს არ უშვებდნენ ეკრანზე. მაყურებელმა ასევე ნახა რეჟისორის ერთ-ერთ მწარე ფილმი „აღთქმული ზეცა“, რომელსაც შეიძლება „ფსკერზე“ ან „საბრალონიც“ კი ერქვას.

თბილისელი საზოგადოებრიობა ელდარ რიაზანოვს ოპერის თეატრში შეხვდა. თბილისელებმა თადარიგი დაიჭირეს და ყველა ბილეთი წინდაწინ გაიყიდა. საღამოს წამყვანიც და მთხრობელიც თავად კინოხელოვანი იყო. მაყურებელი მოწმე გახდა იუმორით შეზავებული თხრობის იმ მომაჯადოებელი ხიბლისა, რომელიც ასე ახასიათებს მას. ამ ხიბლის „ბრალი“ იყო ის, რომ იგი არაერთი პოპულარული სატელევიზიო პროგრამისა და ციკლის წამყვანი იყო (200-მდე საავტორო გადაცემაძ. მან აუდიტორიას უამბო ფილმებზე და მსახიობებთან მუშაობის საინტერესო ეპიზოდებზე. გაიხსენა საბჭოური იდეოლოგიის კურიოზები.

რეჟისორს არ დაჰკლებია აღიარება და ჯილდოები, სახელმწიფო პრემიის ორგზის მფლობელმა ხელოვანმა საღამოზე გაიხსენა, საქართველოს „ღვაწლი“.

**— რომ არ ყოფილიყო საქართველო, მე სახელმწიფო პრემიას ვერ მივიღებდიო,** — თქვა მან და დარბაზს უამბო:

**— 1977 წელს რუსეთს ამოეწურა ლიმიტი და სახელმწიფო პრემიაზე ჩემი ფილმის „ბედის ირონიის“ წარდგენა არ მოხერხდა, საქმე ის იყო, რომ იმ წელს ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავი აღინიშნებოდა და რუსეთმა სატელევიზიო პროგრამა „ვრემია“ წარადგინა პრემიაზე. მაშინ ეს ფილმი საქართველომ, კერძოდ, კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ წარადგინა. ეს რეზო ჩხეიძის დამსახურება იყო. საამისოდ მიზეზიც ჰქონდა. იმხანად თბილისში მიმდინარე სატელევიზიო ფილმების ფესტივალზე „ბედის ირონიამ“ მაყურებლის სიმპათიის პრიზი მიიღო. ეს მხარდაჭერა ძალიან კარგად მახსოვს.**

რეჟისორმა დიდი სითბოთი გაიხსენა სოფიკო ჭიაურელის ნიჭიერებაც. უპასუხა დარბაზის შეკითხვებს. აუდიტორიის ინტერესს ყველაზე მეტად რომელ მსახიობთან უყვარდა მუშაობა, მან უპასუხა:

**ყველა მსახიობი მიყვარს, ვისაც ვიღებდი ჩემს ფილმებში, ასე, მაგალითად, ოლეგ ბასილაშვილი 6-ჯერ მყავს გადაღებული, ლია ახიტჯაკოვა 5 ჯერ და ა.შ.**

კინორეჟისორი სცენარების, მოთხრობების, ლექსებისა და სიმღერების ავტორიც არის. მან ამჯერად საკუთარი ლექსები აამეტყველა. კმაყოფილმა მაყურებელმა ხელოვანი ტაშითა და ყვავილებით შეამკო.

**— ძალიან მიყვარხართ, — მიმართა მან საზოგადოებას, დავდიოდი თბილისის ქუჩებში და იმის მიუხედავად, რომ დიდი ხანია აქ არ ვყოფილვარ, მაინც მცნობდნენ. ეს ძალიან მახარებს. მინდა, რომ თქვენი ქვეყანა აყვავებული ვნახო, ხალხი კი ბედნიერი. და კიდევ, ძალიან მინდა, კვლავაც ჩამოვიდე თბილისში.**

ელდარ რიაზანოვს კვლავ ელის შეხვედრა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებთან მასტერკლასებით და „რუსთაველში“ წარადგენს კიდევ ორ ფილმს „საძინებლის გასაღებს“ და „ანდერსენი — სიცოცხლე უსიყვარულოდ“. იგი საქართველოს 3 მაისს დატოვებს.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

◎ რას წერენ თავიანთ თავზე

## ილიჩი თუ ივანიჩი?

**საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის დაბადების წინადღეს ერთ-ერთ რუსეთულ ტელეარხზე უჩვენებიათ დოკუმენტური ფილმი „აუტანელი ბელადი“. ჰოდა, „კომსომოლსკაია პრავდამ“ რამდენიმე საგულისყურო ნაწყვეტი გამოაქვეყნა სურათის სცენარიდან.**



ვინც ჩემსავით რუსეთულ პრესას ასე თუ ისე თვალს ადევნებს, ეგებ დამეთანხმოს, რომ ჩვენს დიდ ჩრდილოელ მეზობელს ერთი უცნაური ზნეცა სჭირს: ამ დიდი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან ფაქტობრივად არც ერთი მმართველი არ დარჩენიათ გაუკრიტიკებელი, გაუქილიკებელი, გაუმასხარავებელი, ქოქოლამიუყრელი და მოდით, ჟარგონიც ვიხმაროთ — გაუშაყირებელი: გინდა ივანე მრისხანე, გინდა პეტრე პირველი, ეკატერინე მეორე, ორი ნიკოლოზი, ლენინი, სტალინი, ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, „ერთჯერადი“ ანდროპოვი, გორბაჩოვი, ელცინი; ხომ შთამბეჭდავი ნუსხა გამოვიდა! ჯრჯეროზით პუტინს ვერ უბედავენ გაშაყირებას, თუმცა უთუოდ მისი ჯერიც მოვა...

„კომსომოლკას“ ამ პუბლიკაციიდან ვგებულობთ, რომ ეჭვს ქვეშ დგას ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვის... „ილიჩობა“ და მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი იქნება სულაც ივანიჩი იყოს, ილია ნიკოლოზის ძე ულიანოვის მრავალრიცხოვანი ოჯახის ახლო მეგობრისა და საოჯახო ექიმის ივანე სიდორის ძე პოკროვსკის სახელის მიხედვით. მოგვყავს ეჭვის გამამაგრებელი რამდენიმე ამონარიდი.

ბავშვობიდან ნაცნობია ულიანოვების სანიმუშო ოჯახის იდილიური სურათი: პიანინოსთან ზის დიასახლისი მარია ალექსანდრეს ასული; უფროსი შვილები გატაცებით კითხულობენ წიგნებს, უმცროსები მუყაითად ამზადებენ გაკვეთილებს; საიდანღაც გვერდიდან კი, შელებულ კარში, ოჯახის უფროსის ფიგურა მოჩანს, ილია ნიკოლოზის ძისა, ჩვეულებისამებრ სამუშაო მაგიდასთან მიმჯდარისა.

ოღონდ სინამდვილეში რა ხდებოდა ულიანოვების ოჯახში? თითქოს შვილების თვალწინ შესანიშნავი მაგალითი იყო: იმათი მამა ილია ნიკოლოზის ძე ულიანოვი გახლდათ სახალხო სასწავლებლების დირექტორი, კაცი დიდად პატივცემული, შრომისმოყვარე და წესიერი.

მარტო რუსეთში კი არა, მსოფლიოშიც ვერ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ერთ ცალკე აღებულ გუბერნიაში ილია ულიანოვისავით შეექმნას 434 სკოლა. არის თუ არა დიდებული პიროვნება? არის! შინ კი არარაობა ყოფილა ნამდვილად ყველასათვის, ცოლით დაწყებული და შვილებით დამთავრებული. ეგ იმიტომ, რომ ყველაფერი ერთ რამეზე მეტყველებს: არც ერთი შვილი მისი არ იყო.

და აი, მივადექით შესაძლოა, ყველაზე დიდ საიდუმლოს ვლადიმერ ულიანოვის ცხოვრებაში — მისი გაჩენის საიდუმლოს. იყო თუ არა ვლადიმერ ილიას ძე ღვიძლი ვაჟი ილია ნიკოლოზის ძე ულიანოვისა? და თუ არ იყო, მაშინ ვინ არის იმ კაცის მშობელი მამა, ვინც მთავარი როლი შეასრულა რუსეთის ახალ ისტორიაში?

ლენინის ცენტრალურ მუზეუმში (მოსკოვიძ ინახება ვლადიმერ ულიანოვის დიპლომი სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის დამთავრების თაობაზე. ეგ კია, რომ დიპლომის მიმღები ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი კი არ გახლავთ, არამედ ვლადიმერ ივანეს ძე ულიანოვი. ამასთან, მამის სახელი „ივანოვიჩი“ დიპლომში წაშლილია და ზემოდან ხელითაა გაკეთებული წარწერა „ილიჩი“. იყო კი ვლადიმერ ულიანოვი ილიას ძე?

რატომ არ აღუდგა მფლობელი ამ დიპლომს წინ და არა თქვა: არა, ბატონებო, ეს ხომ მე არ ვარ? სულაც არ დაუწყია გაპროტესტება, აიღო დიპლომი და — მორჩა. ეგ ყალბისმქმნელებმა გადაწყვიტეს ჩასწორება — იგულისხმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. აქ ლენინის ხელი არ ურევია — იმას საკუთარი ცოდვებიც ეყოფა, მეტიც კი მოუვა...

მაშ ვინ არის ეს იდუმალი ივანე, რომელსაც ვლადიმერ ულიანოვი თურმე ნამდვილ მამად თვლიდა? ლაპარაკია ულიანოვების საოჯახო ექიმზე. გასაკვირია, რომ არც ერთი შვილი მოგონებებში არ ახსენებს იმათთვის საკმაოდ ახლობელ კაცს. ეს ადვილად აიხსნება იმით, რომ ბელადზე ნათესავების მოგონებები მკაცრ ცენზურას გადიოდა... ამ ექიმის სახელი კი გახლდათ ივანე სიდორის ძე პოკროვსკი. სწორედ მას მოიხსენიებენ ვლადიმერ ულიანოვის მამად, აგრეთვე მარია ალექსანდრეს ასულის სხვა შვილების შესაძლებელ მშობლად.

მარია ჯერ კიდევ ნიჟნი ნოვგოროდში გაუცნია ივანეს, რომელიც ქმარსაც ასევე კარგად იცნობდა. იმ წლების თვითმხილველთა მოგონებების მიხედვით, პოკროვსკი ხშირად იყო ულიანოვების სახლში.

მაშინდელი სიმბირსკი პატარა ქალაქს წარმოადგენდა და იქ ყველამ ყველაზე ყველაფერი იცოდა. მარია ულიანოვას და ივანე პოკროვსკის რომანი იქაური ქალების ცენტრალური საჭორაო თემა გახდა. შუბი ხალთაში არ დაიმალებაო: მთელი ქალაქი ხედავდა, როგორ დასეირნობდნენ ორნი მაშინ, როცა ილია ნიკოლოზის ძე ულიანოვი სკოლებს აშენებდა. შეყვარებულები არც ცდილობდნენ სადღაც სიბნელეში მიმალვას, ყველას თვალწინ ერთობოდნენ...

ჰოდა, თუ ყველაფერი მართლაც ასე იყო, გამოდის, რომ სინამდვილეში ყველა ბავშვი ულიანოვი პოკროვსკები ყოფილან?

... დავძენთ, რომ დოკუმენტური ფილმის „აუტანელი ბელადის“ სცენარი ეკუთვნის აკიმ არუთინოვს, ლენინის ბიოგრაფიის მკვლევარს.

**რუსული პრესის მიხედვით**

№ 80. ხუთშაბათი, 1 მაისი, 2008 წელი.

# სხვადასხვა

● ყველა უნდა მიეჩვიოს, რომ როდესაც მგზავრობთ, ტელეფონით საუბარი არ შეიძლება, რადგან ავტომობილის დახურულ სივრცეში არეკლილი ტალღების ზედდების გამო ელექტრომაგნიტური ტალღის ინტენსივობა მნიშვნელოვნად იზრდება, რაც ყველა მგზავრის ჯანმრთელობისთვის სახიფათოა!



◎ მეცნიერები გვაფრთხილებენ

## „სამარის ტელეფონი“

**ასეთი სათაურით გამოქვეყნდა ინტერნეტში სტატია მობილური ტელეფონების შესახებ, რომელშიც ნათქვამია: „არის ახალი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მობილური ტელეფონები მომხმარებლებისთვის მეტად სახიფათოა“.**

ეს ინფორმაცია გვარწმუნებს, რომ მობილური ტელეფონი თამბაქოს მოწევაზე და აზბესტის მტვერზე უფრო საშიშია. ის ნერვულ სისტემაზე მოქმედებს და ტვინის ავთვისებიანი სიმსივნის გამოწვევა შეუძლია. თუ ინდუსტრია და მრეწველობა დაუყოვნებლივ არ გადადგამს განსაკუთრებულ ნაბიჯებს, უახლოეს წლებში მსხვერპლთა რაოდენობამ შესაძლოა მილიონებს გადააჭარბოს, თუმცა მობილური ტელეფონების ოპერატორთა ასოციაცია ამას არ ეთანხმება.

ცნობილი ექსპერტი კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში დოქტორი ვინი კურანა ასზე მეტი კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ მობილურ ტელეფონებს „სამარის ტელეფონები“ შეიძლება ვუწოდოთ. „კიბოს სიმსივნის განვითარება 10 წლის განმავლობაში ხდება. ეს სპობს უსაფრთხოების გარანტიას, რასაც ადრინდელი კვლევები იძლეოდნენ. ამიტომ, ხალხი უნდა ერიდოს მობილური ტელეფონების ყოველდღიურ მოხმარებას, ხოლო მობილური კავშირგაბმულობის ინდუსტრიამ დაუყოვნებლივ უნდა იზრუნოს, რათა ადამიანზე საშიში გამოსხივების გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდეს“, – ამბობს ექიმი ვინი კურანა.

მრავალრიცხოვანი კვლევების შედეგად დაგროვილი მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რომელთა რაოდენობა განუხრელად იზრდება, მობილური ტელეფონების გამოსხივებას ტვინის სიმსივნეს უკავშირებს. ამასთან, ამ სასიკვდილო გავლენის პირველი შედეგები უახლოეს წლებში გამოვლინდება.

ინფორმაციის თანახმად, „ამჟამად შეიქმნა პრაქტიკულად არაკონტროლირებადი და სერიოზული სიტუაცია: რამდენიმე წელიწადში მსოფლიოში შეიძლება ტვინის კიბოს დაავადების აფეთქების მოწმენი გავხდეთ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ საშიშროებას გაცილებით უფრო ცუდი შედეგები შეიძლება მოჰყვეს, ვიდრე აზბესტის მტვერს ან თამბაქოს მოწევას“.

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მობილური ტელეფონების საშიშროების შესახებ სერიოზული ლაპარაკი წარმოებს. ადრე მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მობილური ტელეფონების გამოსხივება ხელს უშლის დაძინებას, ზრდის ღრმა ძილში გადასვლის ფაზის ხანგრძლივობას და ამცირებს ძილის დროს, თანაც თავის ტკივილის მიზეზიც ხშირად ხდება. ეს განსაკუთრებით სახიფათოა ბავშვებისა და მოზარდებისთვის, რომელთათვისაც ძილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ძილის უკმარობამ შეიძლება გამოიწვიოს ყურადღების დეფიციტის სინდრომები ჰიპერაქტიურობით. ამასთან, იწვევს დეპრესიებს, დაბნეულობას და სწავლაში ჩამორჩენას. კვლევების ეს შედეგები მიღებულა კაროლინის და უპსალის უნივერსიტეტებში (შვედეთი) და მიჩიგანის უნივერიტეტში (აშშ). კვლევების ხელმძღვანელი პროფესორი ბენგტ არნეტცი აღნიშნავს: „ჩვენ დავადგინეთ, რომ მობილური ტელეფონები ნამდვილად ახდენენ გავლენას ადამიანის ორგანიზმზე და მისი ზემოქმედების სიდიდე ტვინზე შეიძლება გაიზომოს“.



რატომ არის საშიში ელექტრომაგნიტური ტალღა, რომელსაც მობილური ტელეფონის ანტენა ასხივებს?

ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითი ზემოქმედების წყარო არის ულტრაბგერა, რომელსაც სხეულში მობილური ტელეფონის ანტენის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ტალღა აღძრავს. ულტრაბგერის სიხშირე ელექტრომაგნიტური ტალღის სიხშირის ტოლია, ხოლო ტალღის სიგრძე – ორგანიზმის უჯრედის ზომების რიგისაა. უჯრედი ამ აკუსტიკური ტალღის ზემოქმედებით რხევას იწყებს, რაც მის დეფორმაციას იწვევს. სწორედ ძლიერი დეფორმაციის შედეგად უჯრედი იმდენად ზიანდება, რომ ის შეიძლება მოკვდეს, ან, რაც უარესია, სიმსივნის უჯრედად გადაგვარდეს.

რა შეიძლება გავაკეთოთ დღეს? როგორ ავიცილოთ თავიდან მობილური ტელეფონების ეს საშიში ზემოქმედება?

უნდა გვახსოვდეს, რომ ანტენის მიერ გამოსხივებული ტალღის ინტენსიობა მანძილის კვადრატის უკუპროპორციულია და ყველა ზომა უნდა მივიღოთ, რომ საუბრისას მაქსიმალურად მოვაცილოთ ყურს მობილური აპარატი. ამისთვის საჭიროა გამოვიყენოთ ყურსასმენი, რაც ევროპაში საყოველთაოდ მიღებულია, ან ისეთი ტელეფონები, რომელთა მოსმენა 30-50 სანტიმეტრი მანძილიდან არის შესაძლებელი. ზოგ ტელეფონს გარე ანტენაც აქვს და ასეთი ტელეფონით საუბარი, როცა ანტენა სხეულიდან დაცილებულია, ნაკლებად სახიფათოა. განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ ბავშვებს და მოზარდებს და ყველა უნდა დავარწმუნოთ, რომ მობილური ტელეფონით დიდხანს საუბარი ძალზე სახიფათოა, თუ ყურსასმენს არ გამოიყენებენ.

ყველა უნდა მიეჩვიოს, რომ როდესაც მგზავრობთ, ტელეფონით საუბარი არ შეიძლება, რადგან ავტომობილის დახურულ სივრცეში არეკლილი ტალღების ზედდების გამო ელექტრომაგნიტური ტალღის ინტენსივობა მნიშვნელოვნად იზრდება, რაც ყველა მგზავრის ჯანმრთელობისთვის სახიფათოა!

რაც შეეხება მობილური ტელეფონების გამავრცელებელ ფირმებს, კარგი იქნება, თუ ისინი მოსახლეობაში ისეთ ტელეფონებს გაავრცელებენ, რომელთა მოხმარება ადამიანის ჯანმრთელობას ნაკლებ ზიანს მოუტანს. მაგალითად, თუ ეს შესაძლებელია, გავრცელდეს მობილური ტელეფონები მხოლოდ გამოტანილი ყურთსასმენებით ან გამოტანილი ანტენებით.

**მერაბ ჯიბლაძე,**
**„ქართული აკადმია“**

◎ ინფორმაცია

### იჩეხება კარალეთის ტყეები

**კარალეთის ტყეების გაჩეხვას ადგილობრივი მცხოვრებლები აპროტესტებენ.**

როგორც „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან“ იტყობინებიან, კარალეთის მკვიდრი ფირუზ ბაზანდარაშვილი, რომელიც ადრე მეტყევედ მუშაობდა, მათ გორის ოფისს დაუკავშირდა და დახმარება ითხოვა.

– მისი თქმით, 350 ჰექტარი ტყიდან ამჟამად მხოლოდ 150 - 100 ჰექტარია გადარჩენილი. ბაზანდარაშვილმა ტყეების დაცვა სცადა, მაგრამ გარკვეულმა პირებმა მას გაჩუმება უბრძანეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ლიკვიდაციით დაემუქრნენ. ფირუზ ბაზანდარაშვილის თქმით, კარალეთში ლიახვის პირზე გაშენებულ კაკლის ხეებსაც ბულდოზერებით ანადგურებენ, – აღნიშნეს ორგანიზაციაში.



„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ გორის ორგანიზაცია მიმართავს ადგილობრივ ხელისუფლებას, რათა მოახდინოს რეაგირება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და დროულად შეაჩეროს უნიკალური ტყის განადგურება.

### გარდაიცვალა კიდევ ერთი პატიმარი

**სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი მამუკა ნ. გარდაიცვალა.**

როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახური იუწყება, ავადმყოფს დასმული ჰქონდა დიაგნოზი: ტუბერკულოზური მენინგოენცეფალიტი. ექიმების პირველადი დასკვნით პატიმრის გარდაცვალების მიზეზი ტუბერკულოზური მენინგოენცეფალიტის ფონზე განვითარებული გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა გახდა. მამუკა ნ. 2008 წლის 14 აპრილს ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა-მოხმარებისთვის იყო დაკავებული.

### გაძარცვეს სპორტის მუზეუმი

**საქართველოს სპორტის მუზეუმი ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა გაქურდეს. შემთხვევა 29 აპრილს დღის მეორე ნახევარში მოხდა.** წაღებულია მსოფლიო, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონების – ზვიად ზვიადაურის, გიორგი ასანიძის და სხვა სპორტსმენების მიერ მოპოვებული მედლები. შემთხვევის დროს დეპარტამენტის ხელმძღვანელობა სპორტის სასახლეში, სამბოში ევროპის ჩემპიონატს ესწრებოდა. სავარაუდოდ, შენობაში არ იმყოფებოდნენ დაცვის სამსახურის – „ჯორჯია სექურითი სერვისი“ თანამშრომლებიც.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით



**შვილები შარლოტა, შორენა ქორჩილავები ოჯახებით იუწყებიან დედის**
**მედეა (მედიკო) ქორჩილავას**
**გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30 IV, დაკრძალვა 1 V, 15 სთ. აბაშის რაიონის სოფ. მარანში.**

**რუსუდან, ნატო, ზემფირა, გურამ პიტავები ოჯახებით იუწყებიან**
**მედეა ქორჩილავას**
**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს.**

**დარეჯან, გიორგი, მიხეილ დუნდუები, მარინა, კახა კუპრავები იუწყებიან**
**მედეა ქორჩილავას**
**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს.**

**ჟანა, ნონა, თემურ ბრელიძეები, მარინა კანდელაკი ოჯახებით თანაუგრძნობენ შარლოტა და შორენა ქორჩილავებსა და მათი ოჯახის წევრებს დედის**
**მედეა ქორჩილავას**
**გარდაცვალების გამო.**

**რეკლამა**
*„საქართველოს რესპუბლიკაში“*
**98-65-87; 899 32-85-76.**
*კოსტავას 12*



**ოჯახის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ამაგდარი მწვრთნელი, სპორტის აკადემიის პროფესორი, ასოციაცია „სპორტი ყველასთვის“ პრეზიდენტი**
**გივი ყირმელაშვილი**
**გამოსვენება დღეს, 1 V, 15 სთ. მისამართი: წყნეთის ქ. 2 კორპუსი, 2 სად. VII სართული.**

**შვილები გუბაზ, ქეთევან გოგატიშვილები, შვილიშვილი ალექსანდრე გოგატიშვილი, ნათესავები და ახლობლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უმაღლესი სკოლის ღვაწლმოსილი მუშაკი**
**სალომე მიხეილის ასული ყურშავიშვილი**
**პანაშვიდი 1, 2 V, 16 სთ. გამოსვენება 3 V, 15 სთ. მისამართი: გორგასლის ქ.№91, IV სადარბაზო, ბ.57.**

**ავთანდილ წერეთელი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა**
**რევაზ კონსტანტინეს ძე კუნჭულია**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**ვახტანგ წერეთელი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა**
**რევაზ კონსტანტინეს ძე კუნჭულია**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**კავშირი „ჯგუფი სამგორი-94“ იუწყება, რომ გარდაიცვალა**
**რევაზ კონსტანტინეს ძე კუნჭულია**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# ბოლო გვერდი

● პირველი ნათლობა პატრიარქმა ნათლისღების დღეს ჩაატარა, რომლის დროსაც მისი ნათლული 500-ზე მეტი ჩვილი გახდა. ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში სავარაუდოდ მესამე ნათლობაც გაიმართება, რომლის დროსაც ასევე 250-მდე ახალშობილი მოინათლება. სულ პატრიარქის მოწოდებას 1000-მდე მშობელი გამოეხმაურა



## ◉ მათქმევინეთ!

### უცხოელი მეცნიერის აღიარება



**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება კიდევ ერთ უცხოელ პროფესორს მიენიჭება.**

როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იტყობინებიან, საპატიო დოქტორის წოდება ფრანკფურტისა და ლონდონის უნივერსიტეტების პროფესორს გუნთერ ტოიბნერს მიენიჭება. უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით, იგი მიმდინარე წლის 6 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექციას წაიკითხავს.

### „რუსთაველის ფონდს“ ახალი სამეცნიერო საბჭო ჰყავს

**პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდისძ სამეცნიერო საბჭოს ახალი შემადგენლობა დამტკიცდება.**

საბჭოს წევრები არიან – ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი დავით დარჩიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ნოდია, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევების ფონდის“ პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი დავით აფრასიძე და ეკონომიკური განვითარების მინისტრი ეკატერინე შარაშიძე.

პრემიერ მინისტრის ბრძანების თანახმად, რუსთაველის ფონდის სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა, საქართველოს მთავრობაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით შეიცვალა.

### კულტურის მინისტრს სამი მოადგილეღა დარჩა

**პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, კულტურის მინისტრის მოადგილე თანამდებობიდან გათავისუფლდა.**

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე მირზა (პაპუნაძ დავითაია თანამდებობიდან საქართველოს საარჩევნო კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე გათავისუფლდა, რადგან იგი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიის წევრია.

კულტურის მინისტრს ამჟამად სამი მოადგილე – ლევან დავითულიანი, დავით ანდღულაძე და გიორგი უდესიანი ჰყავს.

დაკავებული თანამდებობებიდან პრემიერ-მინისტრის ბრძანებით ოფიციალურად გათავისუფლდნენ საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ბაქრაძე და ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანიც, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიის პირველი და მეორე ნომრები არიან.

### ბობოხიძე ქუთაისში სამინისტროების გადატანას გეგმავს

**ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი აკაკი ბობოხიძე თბილისიდან ქუთაისში ორი სამინისტროს გადატანას გეგმავს.**

იმერეთის ყოფილი გუბერნატორი აცხადებს, რომ დიასპორისა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროების ქუთაისში გადატანით ქუთაისისთვის ფუნქციის დასაბრუნებლად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

ბობოხიძემ მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა, რომ თუ ის ტენდენცია გაგრძელდა, რაც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებმა დაამკვიდრეს, ოპოზიციური კანდიდატის დეპუტატად არჩევა ქუთაისს უკან დახევს.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენ-ს მიხედვით**

## ◉ ნათელ-მირონი

### პატრიარქის ნათლულები სიკეთითა და სასოებით უნდა გამოირჩეოდნენ

**პატრიარქის ნათლულები სიკეთითა და სასოებით უნდა გამოირჩეოდნენ, – ამის შესახებ 29 აპრილს პატრიარქმა ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში ბრძანა, სადაც 250-მდე ჩვილის ნათლობის რიტუალი შესრულდა.**

თავად უწმინდესი ტაძარში ნათლობის დასრულების შემდეგ მიბრძანდა და მან მისი ნათლულების მშობლებსა და იქ მყოფ მრევლს სიტყვით მიმართა. პატრიარქმა ქადაგებაში ნათლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რათა მისი ნათლულები ქვეყნისთვის ღირს მამულიშვილებად გაიზარდონ. პატრიარქმა იქ შეკრებილი საზოგადოება და თითოეული ნათლული პერსონალურად დალოცა.

მონათლულმა ჩვილებმა პატრიარქისგან ნათლობის მოწმობისა და დალოცვის სიგელიც მიიღეს. გარდა ამისა, პატრიარქის ახალი ინიციატივით, უახლოეს პერიოდში ოთხ და მეტშვილიან ოჯახებს „ერისთვის თავდადებულის“ მოწმობაც გადაეცემათ.

პირველი ნათლობა პატრიარქმა ნათლისღების დღეს ჩაატარა, რომლის დროსაც მისი ნათლული 500-ზე მეტი ჩვილი გახდა. ბრწყინვალე შვიდეულის კვირაში სავარაუდოდ მესამე ნათლობაც გაიმართება, რომლის დროსაც ასევე 250-მდე ახალშობილი მოინათლება. სულ პატრიარქის მოწოდებას 1000-მდე მშობელი გამოეხმაურა.

**ინტერპრესნიუსი**


## იყიდება!

5-ოთახიანი ბინა, ბელეტაჟზე, დიდი აივნით (საერთო ფართობი 200 კვ.მ.ძ.

ვაკე. ატენის ქ.№3. ტ: 23-03-12, 38-09-01, 855 52-87-92.

ფასი შეთანხმებით.



რეკლამა კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.


## ◉ ანეკდოტები

– როგორ ჩაიარა დასვენების დღემ?

– აბა, როგორ გითხრა, მე მუზეუმში მინდოდა წასვლა, ცოლს – კინოში.

– მერე მოგეწონა ფილმი.



* * *

ქმარი დილის ოთხ საათზე ბრუნდება შინ სასიყვარულო შეხვედრიდან. კართან ჩერდება, ხელს ჩამოუსვამს თეთრად შეფეთქილ კედელს, მერე გათეთრებულ ხელის გულს შუბლზე, პიჯაკსა და შარვალზე მოისვამს და ზარს დარეკავს.

კარს ცოლი უღებს.

– მაპატიე, ძვირფასო, გუშინ ჩემს პირველ სიყვარულს შევხვდი და თავი ვერ შევიკავე...

– კარგი, გეყოფა ტყუილი, კვლავ საბილიარდოში გაატარე მთელი ღამე, ხომ?

* * *

ზოოპარკის დარაჯი ტირის.

– ასე რამ დაგამწუხრა? – ეკითხებიან.

– სპილო მოკვდა.

– შენი საყვარელი ცხოველი იყო?

– არა, საქმე ის არის, რომ მისთვის საფლავის გათხრა მე დამევალა...

* * *

ორი ელექტრიკოსი საიქიოში შეხვდა ერთმანეთს

– რაო, ფაზამ მოგკლა? – თანაგრძნობით ეკითხება ერთი.

– არა, მიწამ!

– კარგი რა, მიწა კაცს არ კლავს.

– კლავს და თანაც როგორ! განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბოძიდან ჩამოვარდნილი მიწაში თავით ჩაერჭობი.

* * *

– შენ ვერ მიტან! ვიცი, სულმოუთქმელად ელოდები ჩემს სიკვდილს, რათა მერე მოხვიდე და საფლავზე დამაფურთხო!

– ვერ მოესწრები! ვერ ვიტან რიგში დგომას!

## ◉ კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.